

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ელექტრონული ჟურნალი №3



რედაქტორი - ინგა გოგიბერიძე

რედკოლეგია: ლ. ჭყონია

ნ. ჩიკვაიძე

რ. ქინქლაძე

მ. ჩხატარაშვილი

ნ. კაკიტაძე

ნ. ვაშაყმაძე

ს. ინაიშვილი

ბ. ხუციშვილი

სარჩევი

რუბრიკები

კითხვის დრო ინგასთან ერთად

#იკითხეთჩვენთანერთად	7 გვ
კითხვის საათი ხელოვნების ფესტივალ „არგანზე“	8 გვ
„კითხვის დრო“ ქობულეთის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში	9 გვ
„კითხვის დრო“ ღია საზაფხულო-სამკითხველო ეზოში	10 გვ

შენი სივრცე

ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა - „იგი“	11 გვ
შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილი“	12 გვ
გურამ დოჩანაშვილის მოთხრობების განხილვა	13 გვ
„კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“	14 გვ
„ბიჭი ზოლიან პიუამაში“	15 გვ

ღია კარის დღე

საქართველოში ამერიკის საელჩოს საინფორმაციო ოფიცერ ქალბატონ ალთეა ქოლი მარფრის სტუმრობა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში	15 გვ
ახალგაზრდა ხელოვანის ლევან მიშავას სტუმრობა — ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში	17 გვ
ბიბლიოთეკას სტუმრად ბატონი მირიან ხოსიტაშვილი ეწვია	18 გვ
სტუმრები ქარელიდან	19 გვ
სტუმრები ბაქოდან	20 გვ
„ჩვენი სახლის“ აღსაზრდელები	21 გვ
„ჩვენი სახლის“ აღსაზრდელები	22 გვ
ბიბლიოთეკა და ბიბლიოგრაფიული ძიებანი	
მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა	23 გვ
დალაი ლამა	24 გვ
„ცეკვა ჩემი სიკვდილის შემდეგ“	25 გვ
ლიტერატურული ჟურნალი „ებგური“	26 გვ
ჯინ ბერდსოლი „პენდერუიკების ოჯახი“	28 გვ
მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი“	29 გვ
ტრეისი შევალიეს „გოგონა მარგალიტის საყურით“	34 გვ
ნაპოლეონ პილი „იფიქრე და გამდიდრდი“	35 გვ

ალექსანდრე ყაზბეგი	36 გვ
უცხოური საბავშვო ლიტერატურა	38 გვ
აშშს პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილი	39 გვ
დავით გარეჯი	41გვ
ბათუმი	42 გვ
პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი - ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა	45 გვ
რაიმერ რიგბი - ბიზნესმოაზროვნე	46 გვ
ილია ჭავავაძე	47 გვ
იაკობ გოგებაშვილი - დედა ენა	48 გვ
„1001 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“	49 გვ
გზა ადამიდან ადამიანამდე	50 გვ
ნოდარ დუმბაძე	54 გვ
საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული	55 გვ
ჟურნალი „ჩემი სამყარო“	56 გვ
ივანე ჯავახიშვილს	57გვ
„წარმატების 365 გასაღები“	58 გვ
#ყოველიდღემნიშვნელოვანია	
გოდერძი ჩოხელი	59 გვ
30 სექტემბერი მთარგმნელთა საერთაშორისო დღეა	61 გვ
ჯანსულ ჩარკვიანი	62 გვ
გრაცია დელიდა	63 გვ
ჯორჯ გერშვინი	65 გვ
ტომას სტრენზ ელიოტი	66 გვ
ჰედრო ალმადოვარი	68 გვ
უილიამ ფოლკნერი	70 გვ
სკოტ ფიცჯერალდი	76 გვ
რეი ჩარლზი	78 გვ
ვერიკო ანჯაფარიძის იუბილე	80 გვ
სერ უილიამ ჯერალდ	83 გვ
17 სექტემბერი სესილია თაყაიშვილის დაბადების დღეა!!	85 გვ
ანასტასია თუმანიშვილი	88 გვ
მე მზად ვარ ჩემი გული გადაგიშალოთ...	

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ეკა კვიციანთან-----	90 გვ
ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ზურაბ მარტიაშვილთან -----	92 გვ
შათუმის ამერიკული კუთხე	
2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების გახსენება-----	96 გვ
ამერიკის დამოუკიდებლობის დღე-----	96 გვ
ინგლისურენოვანი ლიტერატურის ონლაინ კატალოგი -----	98 გვ
საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება	
"კინო - კლუბი „ფილმების საღამოები“-----	99 გვ
დისკუსია აჭარის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცლები -----	100 გვ
პატარებს წაუკითხეს „სიზარმაცეს მათხოვრობა ახლავს“ -----	101 გვ
კინოკლუბი ფილმების საღამოები -----	102 გვ
შეხვედრა კლუბ „საზღაპრეთში“ აქტიურ მკითხველებთან -----	103 გვ
ვისაც სამაგიდო თამაშები გიყვართ -----	104 გვ
ახალი წიგნების წარდგენა -----	105 გვ
კლუბ „საზღაპრეთის“ გასვლითი შეხვედრა -----	106 გვ
აბონემენტის განყოფილება	
აბონემენტის განყოფილება -----	107 გვ
ბიბლიოთეკის ღონისძიებები და აქტივობები	
მუსიკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული საღამო -----	108 გვ
თეა ჭანტურიშვლის საჯარო ლექცია - იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს შემოქმედება ---	109 გვ
პოეტ დავით თედორაძის 70 წლის იუბილე -----	110 გვ
„ბიჭი ზოლიან პიუამაში“ ნოველისა და ფილმის განხილვა-ჩვენება-----	111 გვ
შეხვედრა პოეტ ია ეკელთან-----	112 გვ
ჩვენი დილის სტუმარი, პოეტი ცირა მამალაძე-ნუცუბიძისა-----	113 გვ
შეხვედრა მწერალ ლევან ლორიასთან-----	114 გვ
თანამედროვე ავტორების ავტოგრაფიანი წიგნების გამოფენა-----	115 გვ
შეხვედრა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარესთან -----	116 გვ
შეხვედრა მწერალ ანზორ კუდბასთან -----	117 გვ
სიახლეები	
საბიბლიოთეკო შეხვედრა - "საჯარო ლექციებისა და ტრენინგების კვალდაკვალ -----	119 გვ
ესეების კონკურსი - „ფიქტები ერთ წიგნზე“-----	120 გვ
2019 წლის სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული გამოფენა -----	121 გვ

ბიბლიოთეკის განახლებული შემოსასვლელი -----	122 გვ
ჟურნალების ანალიტიკური აღწერილობის ელექტრონული კატალოგები-----	123 გვ
E-რესურსები -----	124 გვ
„იმედი მაქვს, ბიბლიოთეკა არასოდეს დაიცლება” -----	125 გვ
საბიბლიოთეკო ტრენინგი -----	126 გვ
ბიბლიოთეკას გაზეთების ახალი საცავი შეემატა -----	127 გვ
საზაფხულო-სამკითხველოს გახსნა -----	128 გვ
შემოქმედებითი მასტერკლასი ღია სამკითხველო სივრცეში -----	129 გვ

#იკითხეთჩვენთანერთად

2019 წლის 3 სექტემბერს, 17 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში, ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ახალმიღებული, ყველა თაობისათვის განკუთვნილი მხატვრული ლიტერატურის საჯარო გამოფენა-წარდგენა გაიმართა.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნატალია ჭყონია გამოფენაზე მოსულ ახალგაზრდებს ახალ გამოცემებსა და თანამედროვე კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების შესახებ ესაუბრა.

ბიბლიოთეკის უცხოური განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნანა ჩიკვაიძემ, კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების წამყვანმა ბიბლიოთეკარებმა თამარ ბუთურიშვილმა და ნათია დევაძემ ბავშვებს და მოზარდებს განახლებული წიგნადი ფონდი და ბიბლიოთეკაში დაგეგმილი ახალი პროექტები გააცნეს.



კითხვის საათი ხელოვნების ფესტივალ „არგანზე“

ბათუმის ხელოვნების ფესტივალ „არგანში“, რომელიც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება, 2019 წლის 19 აგვისტოს, მონაწილეობა მიიღო ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ. ბათუმის ცენტრალურ პარკში, ფესტივალზე მოსულმა პატარებმა და ახალგაზრდებმა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“ მოისმინეს.



„კითხვის დრო“ ქობულეთის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში

2019 წლის 19 ივლისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმი საჯარო ბიბლიოთეკაში არსებული პროექტი „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ სტუმრად ქობულეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკას ეწვია.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე, ბიბლიოთეკაში მოსულ პატარებს ბიბლიოთეკისა და წიგნის სიყვარულსა და აუცილებლობაზე ესაუბრა. წაუკითხა ჩვენი დროის ყველასათვის საყვარელი მწერლის, ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრების“ გმირის - დაჩის დაბადების ამბავი, „როგორ გახდა დაჩი მონადირე“ და ბესიკ კეკელიძის „კეთილი სტუმარი“.

ბავშვებს მთხოვნელის გაშვება არ სურდათ და შოთა ხოდაშნელის გამოცანებსაც სიამოვნებით უპასუხეს.

ბავშვები ყურადღებით და დიდი ინტერესით უნდენდნენ სასიამოვნობმიან „მეზღაპრეს“.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბიბლიოთეკა.

ინგა გოგიბერიძემ პროექტით, #წიგნიავტორიმკითხველი ბიბლიოთეკას ჭაბუა ამირეჯიბის შვიდტომეული გადასცა საჩუქრად.



„კითხვის დრო“ ღია საზაფხულო-სამკითხველო ეზოში

საჯარო ბიბლიოთეკის ახლადგახსნილ ღია საზაფხულო-სამკითხველო ეზოში, პროექტში „კითხვის დრო ინგასთან ერთად“ მონაწილეობისათვის სტუმრად საბავშვო სტუდია „ბემბი ლენდის“ და „მეგა სკოლის“ საზაფხულო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ.

საჯარო ბიბლიოთეკის დერექტორმა ინგა გოგიბერიძემ ბავშვებს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“-დან პირველი სამი თავი წაუკითხა. ნაწარმოების უფრო საინტერესოდ აღქმისათვის პატარებს მოთხრობის სიუჟეტებზე შექმნილი ნახატები და „უფლისწული თოჯინა“ ვაჩვენეთ.

შეხვედრის დასასრულს მოხდა შეთანხმება, რომ კითხვას საზაფხულო სკოლაში პედაგოგთან ერთად დაასრულებენ და მიღებულ შთაბეჭდილებებს წერილობით გამოუგზავნიან ბიბლიოთეკას.

პატარებმა ბიბლიოთეკის განყოფილებები, სივრცეები, საცავები დაათვალიერეს. დარეგისტრირდნენ ბიბლიოთეკის მკითხველებად და სასიამოვნო შთაბეჭდილებებით მომდევნო შეხვედრამდე დაგვემშვიდობნენ.



შენი სივრცე

ჯემალ ქარჩხაძის მოთხოვა - „იგი“

27 ივლისს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურულ კლუბში „შენი



სივრცე“ გაიმართა შეხვედრა, სადაც გამოჩენილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და ესეისტის ჯემალ ქარჩხაძის მოთხოვა „იგი“ განიხილეს.

ჯემალ ქარჩხაძის „იგი“ ერთ-ერთი შთამბეჭდავი მოთხოვაა. ნაწარმოების მთავარი შინაარსი ყველა დროის აქტუალური საკითხია, რომელიც თან სდევს ეპოქას.

კლუბის წევრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წერის სტილმა და ნაწარმოების მხატვრული ხერხებით გაჯერებულმა სიუჟეტებმა;

ყველაზე დასამახსოვრებელი კლუბის წევრებისათვის კი, ნაწარმოების ფინალი იყო, სადაც ნათლადაა ასახული, რომ ადამიანისგან საბოლოოდ ის კვალი რჩება რასაც დატოვებს.

ლიტერატურული კლუბის - „შენი სივრცე“ შეხვედრები განახლდება სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად.

გისურვებთ სასიამოვნო და შინაარსიან დასვენებას!

#იკითხეთწიგნები

#გაიღამაზეთდღეები

შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილი“

2019 წლის 20 ივლისს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში არსებულ ლიტერატურულ



კლუბში „შენი სივრცე“, განიხილეს მე-20 საუკუნის უდიდესი ავსტრო-გერმანელი მწერლის, შტეფან ცვაიგის, ყველაზე პოპულარული მოთხრობა „უცნობი ქალის წერილი“. მოთხრობა ცნობილ მწერალ რ-ზე შეყვარებული უცნობი ქალის გულიდან ამოთქმული და ათრთოლებული ხელით დაწერილი წერილი.

მოთხრობა, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება, რომლის წაკითხვისას ზოგი თავის თავს აღმოაჩენს, ზოგიც კი იტყვის, რომ სიყვარულისთვის მსხვერპლის გაღება დიდი სიგიჟეა. ეს არის წიგნი, სადაც გადმოცემულია სიყვარულის უაღრესად ნატიფი ფსიქოლოგიური ანალიზი. ბევრი რომანი დაწერილა მსგავს თემატიკაზე, მაგრამ ცვაიგის ამ გენიალურმა ნოველამ დიდებული შთაბეჭდილება დატოვა კლუბის წევრებზე.

გურამ დოჩანაშვილის მოთხოვების განხილვა

14 ივლისს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაში არსებულ ლიტერატურულ კლუბში „შენი სივრცე“ მორიგი შეხვედრა ჩატარდა. კლუბის წევრებმა



განიხილეს გურამ დოჩანაშვილის მოთხოვები „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა“ და „ცალკ-ცალკე და ერთად“.

გურამ დოჩანაშვილი ჩვენი დროის უდიდესი ქართველი კლასიკოსი მწერალი და უდიდესი შემოქმედია; მისი ნაწარმოებების ძირითადი თემებია: ლიტერატურა, სიკეთე, სიყვარული და თავისუფლებისკენ სწრაფვა.

ნაწარმოები, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ გულგრილს არცერთ მკითხველს არ დატოვებს. მასში ჩადებულია უდიდესი სიბრძნე,

გაჯერებულია ირონიითა და სარკაზმით; ეს ყველაფერი კი მოთხობას დამატებით ელფერს სძენს და უსაზღვრო ემოციას აღმრავს მკითხველში.

„- იყო მკითხველი ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი - ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი, ეს - სასწაულია და მეტსაც გეტყვი, ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე ინება.“

იარეთ ჩვენს კლუბში და იკითხეთ საინტერესო წიგნები.

„კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“

30 ივნისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში



არსებულ ლიტერატურულ კლუბში „შენი სივრცე“, კლუბის წევრებმა განიხილეს ამერიკელი მწერლის ერნესტ ჰემინგუეის გენიალური მოთხრობები „მოხუცი და ზღვა“ და „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“; ეს, ის ნაწარმოებებია, რომელიც უნდა წაიკითხო თინეიჯერულ ასაკში; სწორედ ამიტომ ახალგაზრდებს ძალიან დიდ ემოციებს და სასიამოვნო განცდებს უტოვებს.

კლუბის შემდეგი შეხვედრა კვირას, 7

ივლისს, 12 საათზე შედგება. განხილული იქნება ჯონ ბოინის შემოქმედება და ნაწარმოები - „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“; ასევე გაიმართება ფილმის ეკრანიზაცია და საინტერესო მსჯელობა.

#რეცეპტიზაფხულისათვის

#განტვირთვაწიგნებით

#კითხვაშეუზღუდავად

#დააგროვეთკარგიეროციები საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად!

ზაფხული ამისთვის წელიწადის საუკეთესო დროა!

"ბიჭი ზოლიან პიუამაში"

"ბიჭი ზოლიან პიუამაში"- ჯონ ბოინის საოცრად პოპულარული წიგნია, რომლის მიხედვითაც ასევე არანაკლებ პოპულარული ფილმია გადაღებული. ეს არის სულისშემძვრელი, სუნთქვისშემკვრელი და ძალიან მძიმე ისტორია ორი პატარა ბიჭის მეგობრობაზე. მეორე მსოფლიო ომის დროს დატრიალებულ საშინელებაზე უამრავი წიგნია დაწერილი, მაგრამ ჯონ ბოინის წიგნი ყველა მათგანისგან განსხვავდება. წიგნმა და ფილმაც, სასაუბროდ შეკრებილ კლუბის „შენი სივრცე“ ყველა წევრზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.



ღია კარის დღე

საქართველოში ამერიკის საელჩოს საინფორმაციო ოფიცერ

ქალბატონ ალთეა ქოლი მარფრის

სტუმრობა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში

2019 წლის 25 სექტემბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, სამუშაო ვიზიტით ეწვია, საქართველოში ამერიკის საელჩოს საინფორმაციო ოფიცერი, ქალბატონი ალთეა ქოლი მარფრი. ქალბატონმა ალთეამ ბიბლიოთეკის დირექტორთან, ქალბატონ ინგა გოგიბერიძესთან და ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკული კუთხის“ კოორდინატორებთან ერთად დაათვალიერა ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი, გაეცნო რესურსს და დაისახა ახალი სამომავლო გეგმები.

საუბარი გულთბილ და საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

შეხვედრა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებით დასრულდა.



ახალგაზრდა ხელოვანის ლევან მიშავას სტუმრობა

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში

2019 წლის 17 სექტემბერს ქალაქ ბათუმს და აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას სტუმრად ეწვია მრავალმხრივ ნიჭიერი და გამორჩეული ხელოვანი ლევან მაშავა. ახალგაზრდა ხელოვანმა საინტერესო ლექსებითა და მხატვრობით გაჯერებული ახალი კრებული გააცნო ბიბლიოთეკარებს და დამსწრე საზოგადოებას. ლევან მიშავამ კრებული საჩუქრად გადასცა ბიბლიოთეკას და ახლა უკვე ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ახალგაზრდა მწერლისა და მხატვრის შემოქმედებას.

#იკითხეთჩვენთანერთად

#ყოველიდღესიახლეებითასავსე



ბიბლიოთეკას სტუმრად ბატონი მირიან ხოსიტაშვილი ეწვია.

2019 წლის 16 აგვისტოს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას სტუმრად



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე, ბატონი მირიან ხოსიტაშვილი ეწვია.

ბატონმა მირიანმა პრესის საცავი მოინახულა, სადაც პერიოდულ გამოცემათა დაკაბადონებაზე ვისაუბრეთ. ამის შემდეგ იგი ბიბლიოთეკის ძირითად საცავს ეწვია და რარიტეტული წიგნები დაათვალიერა.

ძალიან მალე, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, წიგნის მუზეუმის

სივრცის შექმნაში მონაწილეობის მისაღებად და ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან კვალიფიციური თანამშრომლები ეწევიან.

სტუმრები ქარელიდან

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, 2019 წლის 23 აგვისტოს ქარელის რაიონის სოფელ „აბანოს“ საჯარო სკოლის პედაგოგები: მანანა ხაბალაშვილი და ნათია სხირტლაძე ესტუმრენ.

პროექტით „წიგნი, ავტორი, მკითხველი“ და „ეკვილიბრიუმი“ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ საჩუქრად გადასცა ქარელის რაიონის სოფელ „აბანოს“ საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას 28 ეგზემპლარი წიგნი, 207 ლარის (ორას შვიდი ლარის) ღირებულების.

#აკეთესიკეთე

#ჩვენთანკარგია



სტუმრები ბაქოდან

ბაქოს საზაფხულო სკოლის მოსწავლეები სტუმრად ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში



„ჩვენი სახლის“ აღსაზრდელები

2019 წლის 18 ივლისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას „ღია კარის დღის“ ფარგლებში ქ. ბათუმის კერძო ბაღის - „ჩვენი სახლი“

საზაფხულო სკოლის მოსწავლეები ეწვივნენ.

საჯარო ბიბლიოთეკის დერექტორმა ინგა გოგიბერიძემ ბავშვებს ოტია იოსელიანის „დედის ზღაპარი“ წაუკითხა, ისაუბრეს დედა-შვილურ ურთიერთობებზე, მეგობრობისა და ერთგულების შესახებ.

„დაჩის ზღაპრები“ ერთ-ერთი ყველაზე

პოპულარული საბავშვო ნაწარმოებია. ესაა ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე დაწერილი დედამიწის, ზღვის, ვარსკვლავების, მთვარის, მზის არსებობის, სილამაზის, სიყვარულის საჭიროების და მარადიულობის ზღაპარი.

შეხვედრის დასასრულს ბავშვებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკის სხვადასხვა განყოფილებები, წიგნადი ფონდი და საცავები. დარეგისტრირდნენ მკითხველებად და აიღეს მკითხველის ბარათები.



„ჩვენი სახლის“ აღსაზრდელები

2019 წლის 16 ივლისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას „ღია კარის დღის“ ფარგლებში ქ. ბათუმის კერძო ბაღი „ჩვენი სახლის“ 4-7 წლის აღსაზრდელები ესტუმრნენ.

თავდაპირველად, პატარებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკის სხვადასხვა განყოფილებები და წიგნადი ფონდის საცავები, შემდეგ კი გადაინაცვლეს ბიბლიოთეკის ღია სამკითხველოში, სადაც უცხოური განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნანა ჩიკვაიძემ პატარებს წაუკითხა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „სოფლის მაშენებელნი“

ახალი

სამკითხველო

სივრცით

აღფრთოვანებულმა ბავშვებმა, მთავარ სპეციალისტთან ერთად, შეხვედრის დასასრულს ხალისით ისაუბრეს სიკეთეზე და წიგნის კითხვის აუცილებლობაზე.



„მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“

ჩვენო მკითხველებო! გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას!

დამეთანხმებით, განათლება და პიროვნული განვითარება წიგნის მოყვარულთათვის სასიამოვნო და მუდმივი პროცესია.

ძირითადი წიგნსაცავის ფონდში ბევრ საინტერესო წიგნს მოიძიებთ. დღეს კი მინდა შემოგთავაზოთ „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ უნივერსალური პროექტი, რომლის ანალოგიც საქართველოში არ არსებობს. მასში მხატვრული, ისტორიული, ფილოსოფიური და რელიგიური ხასიათის ნაწარმოებები ქრონოლოგიურად არის განთავსებული. ეს სერია უძველესი დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე შექმნილ ყველა მნიშვნელოვან ნაწარმოებს მოიცავს.



„ილიადათი“ იწყება „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ ქვესერია „ანტიკური მწერლობა“, რომელიც შედგება 33 წიგნისაგან.

იკითხეთ ჩვენთან!

განათლება ყველაზე დიდი ფასეულობაა...

წარმატებულ ახალ სასწავლო წელს გისურვებთ!


ნ. გიორგაძე

ძირითადი წიგნსაცავი

დალაი ლამა

დალაი ლამა

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო.



„თუ გსურს, სხვა ბედნიერი იყოს, თანაუგრძნე მას, თუ გსურს, შენ იყო ბედნიერი, თანაუგრძნე სხვას.“ - დალაი ლამა.

„დალაი ლამა“ - ამ ცნებას ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. ნაწილისთვის იგი ცოცხალი ბუდას განსახიერებაა, ზოგი მას „ღმერთ მეფედ“ მიიჩნევს. სინამდვილეში „დალაი ლამა“ ძნელად სატარებელი ტიტულია. ჩვენს მიერ შემოთავაზებული წიგნი მოგითხოვთ ადამიანზე, რომელსაც ბავშვობიდან დაეკისრა ვალდებულება თავისი ქვეყნის სულიერი ლიდერისა. იგი ცხოვრობდა ისე, როგორც სხვა ტიბეტელი ბუდისტი ბერები. დღეს ძალიან ბევრი

ინტერესდება ბუდისტური მოძღვრებით, ადამიანებს სურვილი აქვთ მეტი ინფორმაცია მიიღონ ტიბეტზე და საერთოდ, სურვილი აქვთ იცოდნენ დალაი ლამას მისის შესახებ უფრო ვრცლად - ეს წიგნი მხოლოდ ერთი მოღვაწის ცხოვრების ისტორია არ არის. წიგნში აქტუალური ისტორიული მოვლენებია აღწერილი. ტიბეტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში - აქტიურად იყო ჩართული დალაი ლამა (ტენზინ გიაცო) სწორედ ამის გამო იგი დევნილი იქნა სამშობლოდან და ინდოეთში ცხოვრობდა. დალაი ლამა დევნილობაშიც - თავის წმინდა მისია ასრულებს.

იგი ტიბეტის ერთ მიყრუებულ სოფელში, ღარიბი გლეხის ოჯახში იზრდებოდა, მას დიდი ვალდებულება დაეკისრა - უნდა ყოფილიყო ტიბეტელი ხალხის სულიერი წინამდღოლი. „მე რომ არჩევნებში მიმეღო მონაწილეობა, ხმას რომელიმე ეკოლოგიურ პარტიას მივცემდიოუთქვამს. ადამიანებს ყველაზე მეტად ბუნება ჭირდებათ, თუ მას წონასწორობიდან გამოვიყვანთ კაცობრიობის ტანჯვას ბოლო არ ექნება. შთამომავლობას ჯანმრთელი დედამიწა სჭირდება.“ ჩვენ კი ასე ვერჩით მას. დალაი ლამას კი როგორც ბუდისტ ბერს, მთლიანად ადამიანთა მოდგმის ბედი აწუხებს.

„ქვეყნიერების რომელ კუთხეშიც არ უნდა ვცხოვრობდეთ, ჩვენ, ადამიანები, არსებითად ერთნი ვართ.“ თუ ადამიანები არ დავივიწყებთ ამას, სამყარო სასიკეთოდ


შეიცვლება. ასე რომ მოხდეს, ადამიანებმა უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ, იმ პლანეტის მიმართ, რომელზეც ვცხოვრობთ. არა აქვს მნიშვნელობა ვინ ხარ, საიდან მოსულხარ, უბრალოდ, გიყვარდეს, ჩვენ ერთნი ვართ და ერთ მიწაზე დავაბიჯებთ. გვიყვარდეს ერთმანეთი და ვიზრუნოთ დედაბუნებაზე, მოყვასზე. აი, მოვალეობა რითაც ამ ქვეყანაზე მოდიხარ. აღასრულე. ამასვე გვასწავლის ყველა რელიგია და ამაზე გვესაუბრება ტიბეტელი ხალხის სულიერი ლიდერი დალაი ლამა.

წაიკითხეთ, ეს საინტერესოა!

საერთო სამკითხველო დარბაზი

ელეონორა ძიგუა

„ცეკვა ჩემი სიკვდილის შემდეგ“



ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის კოლექტივი, ულოცავს ჩვენი ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარს, ელეონორა ძიგუას ახალი წიგნის - „ცეკვა ჩემი სიკვდილის შემდეგ“ გამოცემას.

წიგნი ეძღვნება გივი ჩხაიძეს და ჯოჯოხეთურ დროში დაკარგული მისი მეგობრების ხსოვნას. წიგნი სავსეა ტკივილით, სევდით და უდიდესი სიყვარულით.

ქალბატონო ელიკო, ამ წიგნის მომავალი მკითხველი ღრმად გაიაზრებს და დააფასებს თქვენს დედობრივ სიმამაცეს.

ლიტერატურული ჟურნალი „ებგური“

შემოქმედებითი გაერთიანება



„ებგურის“ საზოგადოებრივ-სალიტერატურო ჟურნალი „ებგური“ გამოდის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მხარდაჭერით. 2019 წლის პირველი ნომრის ყდას კარლო კაჭარავას აბსტრაქცია ამშვენებს. სარედაქციო კოლეგია: ხათუნა გოგია, ნიკა ლაშხია, ჯანსულ ჭურლულია, ზაალ ჯალალონია, რედაქტორი - ზეინაბ სარია. დაიბეჭდა გამომცემლობა „საარის“ სტამბაში.

ჟურნალი აცხადებს კონკურსს პოეზიაში ტერენტი გრანელის პრემიის მოსაპოვებლად. კონკურსის მიზანია დღევანდელ სინამდვილეში საუკეთესო

ავტორების გამოვლენა, პოპულარიზაცია. რედაქტორი ზეინაბ სარია წინასიტყვაობაში წერს: „ებგურს სურს შექმნას ალტერნატიული ლიტერატურული სივრცე; ცხადი გახადოს, რომ მნიშვნელოვანი ლიტერატურული პროცესი შეიძლება რეგიონშიც მიმდინარეობდეს..... თუ ვინმე დავბეჭდეთ, იგულისხმება, რომ მან ჩვენი ყურადღება მიიპყრო მხოლოდ და მხოლოდ თავისი საინტერესო ნაწარმოებებით“.

რუბრიკით პოეზია, პროზა წარმოდგენილია ახალგაზრდა პოეტების: კარლო კაჭარავას, ნატა ვარადას, ნინა სამხარაძის, ბექა ჩანტლაძის, ელენე ამყოლაძის, ილია ჭანტურიას, ნინი ჩანტლაძის, ზაალ ჯალალონიას, ზეინაბ სარიას, გივი ქავთარაძის, შოთა წურწუმიას, სოფო წულაიას ლექსები. უილიამ ჰენრი დეივისის ლექსები თარგმნა მაია ცეცხლაძემ.

მალიან საინტერესოა ბელა წიფურიას წერილი „კარლო კაჭარავა კულტურული პოეზია და კონტექსტი“ და თამარელა წოწორიას ორი წერილი: „ჟამი მოთმენით მოილოდინე“, „გია ლომაძის ერთი ლექსის ანალიზი“.

2019 წლის მეორე ნომერში რუბრიკით პოეზია ჟურნალი გვთავაზობს დალილა ბედიანიძის, ია ჯინჭარაძის, ნატალია დარასელიას, ბელა ჩეკურიშვილის, ზაალ ჯალალონიას, ზაზა ბიბილაშვილის, ნიკა ლაშხიას, ქეთინო ნაჭყებიას ლექსებს.

პროზის განყოფილებაში დაბეჭდილია ოთარ ჯირკვალიშვილის „გალაკტიონი“, რომელსაც ავტორი აკაკი ბაქრაძის ხსოვნას უძღვნის.

ჟურნალში გამოქვეყნებულია ენ სექსტონისა და სილვია პლათის ლექსები, რომლებიც თარგმნეს ხათუნა გოგიამ და ზეინაბ სარიამ. ბაბო შერვაშიძის მემუარები ინგლისურიდან თარგმნა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო მაია ცერცვაძემ.

„ებგურის” მეოთხე ნომერი მკითხველს სთავაზობს ტერენტი გრანელის ლექსს „გულიდან სისხლის წვეთები”, რომელიც ინგლისურად თარგმნა სანდრო შელიამ. აქვეა წარმოდგენილი ხათუნა როგავას, ია ჯინჭარაძის, ნიკა ლაშხიას, არჩილ თოდუას, გიორგი კეკელიძის, თორნიკე სიბაშვილის, ზეინაბ სარიას, ზაალ ჯალალონიას, ელლა ელლენის, ბექა ახალაიას, ქეთი ნაჭყებიას ლექსები. გია ხუბუას მოთხოვობები და არჩილ ფირცხალავას „გადაჭრილ ვენახს შეხსნილი სახვევი” (პოემის პირველი ნაწილი).

მეორე ნომერში ასევე წაიკითხავთ ხათუნა გოგიასა და სერგო წურწუმიას თარგმანებს. ზეინაბ სარიას, სოფო წულაიას, ბექა ახალაიას, ტატო ჩანგელიას, დიმიტრი ხატონსკის წერილებს. ბოლოს, რუბრიკით არქივიდან მანანა გვარამია სტატიაში „ვინ არის ნიკოლოზ (კოლია) ბუკია?” მკითხველს მოუთხოვობს ზუგდიდელი მოღვაწის ნიკოლოზ ბუკიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული

და სამხარეთმცოდნეო განყოფილების უფროსი


რუსულან ქინქლაძე



ჯინ ბერდსოლი „პენდერუიკების ოჯახი“

მოგესალმებით მოსწავლეთა დარბაზიდან!

ჩვენო ერთგულო მკითხველო, დღეს ჩვენი ბიბლიოთეკის ახალმიღებული



ლიტერატურიდან, თანამედროვე ამერიკელი მწერალის ჯინ ბერდსოლის წიგნს „პენდერუიკების ოჯახს“ გთავაზობთ. ნაწარმოებში აღწერილია ოთხი დის, ორი ბოცვრისა და ერთი ძალიან საინტერესო ბიჭის საზაფხულო ამბავი.

ზაფხული ხომ იმისთვისაა, რომ სადმე განსაკუთრებულ ადგილას წავიდეს ადამიანი? – ფიქრობენ დები პენდერუიკები და სიხარულს ვერ მალავენ, როცა მისტერ პენდერუიკი, მათი ბოტანიკოსი მამა, საზაფხულო აგარაკის პოვნასა და დაქირავებას მოახერხებს. პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე თორმეტი წლის

როზალინდს, თერთმეტი წლის ანც სკაის, ათი წლის მომავალ მწერალ ჯეინს, ოთხი წლის მორცხვ ბეტის და მათ ძაღლს, ჰაუნდს, თავგადასავლებით აღსავსე აგვისტო ელით. კოტეჯი „არუნდელი“, რომელიც პენდერუიკებმა იქირავეს, მებალეობით გატაცებული, ძალიან მკაცრი მისის ფრემლის მამულში დგას. მისის ფრემლის ბაღებში დაუკითხავად ხეტიალი ბავშვებისთვის აკრძალულია, მაგრამ, რა თქმა უნდა, პენდერუიკები აკრძალვას არ უფრთხიან...

„პენდერუიკების ოჯახი“, სიკეთისა და მეგობრობის კლასიკური ამბავი, საუკეთესო საკითხავია, როგორც ბავშვებისთვის, ასევე – მათი მშობლებისთვის.

მობრძანდით, ჩვენთან ბიბლიოთეკაში და წაიკითხეთ ეს საინტერესო წიგნი.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა მოამზადა
მთავარმა ბიბლიოთეკარმა ჟუჟუნა მამუჭაძემ


08. 08. 2019

მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი“

წასაკითხად მხოლოდ იმათთვის, ვინც შეამჩნია რომ აქ არ ვიყავი და კიდევ იმისთვის, ვინც
მარკუს ზუზაკის „წიგნის ქურდი“

წაიკითხა...

ნაწილი პირველი-ალბათ ფერადი,
მხიარული და ცოტა სევდიანი.
... ადამიანები ხშირად იღლებიან,
ქოთქოთობენ, რომ მათი დაღლა
სევდისფერია, ან კიდევ ყავისფერი,
რომელსაც ალაგ-ალაგ ყვითელი
ზოლები დაჰყვება. მიდიან შორს
დასასვენებლად ოჯახთან,
მეგობრებთან ერთად.... ან კიდევ
სულ მარტო... მიეშურებიან იქ,
სადაც არ ელიან, იქ სადაც არ
იცნობენ, მაგრამ ასეა „....თუ გინდა
სიცოცხლე შეიგრძნო, სუნთქვას
უნდა მიუგდო. ყური“(მ.ზ)
ასე აღვმოჩნდი, სადღაც შორს, მთის
სუნთქვის მისაყურადებლად.....
მთის წვერზე შეფენილი ნახირი.
ხის კევი.



მტვრიანი უკიდეგანო უსასრულო გზები.

ხის ლამაზი სახლები. ნაძვნარი.

კაიმალი.

ყველი.

მაწონი.

აღმოვჩნდი მთის იმ ნაირფერ სამყაროში, რომელშიც არასოდეს ვყოფილვარ.

მთა არ მელოდებოდა. არ მელოდებოდა იმ ლოდინით, რითაც ლიზელი, წიგნის ქურდი,
ელოდებოდა მაქსს. არ მელოდებოდა მთები, ულამაზესი სოფლები, მწვანე ტბა, ტალახის ვანები
მთებში, რომელიც გულმოდგინედ იცდილებს მომავალში, ჩემს სახეზე ნაოჭების გაჭიმვას.

პირველი შეხვედრისას არ მომეწონა. ქალაქიდან გრძელი და დამქანცველი გზის შემდეგ რას ველოდებოდი, არ ვიცი, მაგრამ სული გამექანა, რაღაცამ შემძრა და გავიფიქრე:

-ნეტავ, აქ სიღარიბე ხომ არ სახლობს მეთქი, სიღარიბე, რომელსაც ლიზელი, რუდი და მაწანწალა პატარები, ვაშლის და კარტოფილის მოპარვით ახშობდნენ, ანაც კიდევ ჰანს ჰუბერმანის თვალებით უყურებდნენ, თვალებით, „რომელიც გადამდნარი წმინდა ვერცხლითა და სიკეთის შუქით იყო ნაქსოვი“(მ.ზ.)

მოკლედ, მოვედი იქ, სადაც არ მელოდნენ, მოვედი თბილ, ერთგულ და საყვარელ ადამიანებთან ერთად. ისიც ვიცი, არ მელოდებოდნენ მოხუცები, რომლებსაც ჩვენთან კაიმალი და ყველი მოჰკონდათ.

...კაიმალი

...ყველი

...მაწონი

მოხუცებმაც არ იცოდნენ, რომ იქ დავხდებოდი. მოდიოდნენ... მათი დაჭორფლილი და დამჭკნარი ხელებით ჩვენთვის, ქალაქელებისათვის, საკვები მოჰკონდათ, ისეთი თავად, რომ გემრიელად მიირთმევენ, ისეთი, რომელზეც გაზარდნენ. ეს საკვები მთლიანად თეთრი ფერისა გახლდათ და ამ მოხუცებს თავზე თეთრი ფერი დასტრიალებდათ. „დიახ, თეთრი იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დედამიწამ თეთრი კაბა გადაიცვა. ლიანდაგებს თოვლში ჩაფლული ნაფეხურები მიუყვებოდა. ხეებს ყინულის საბანი ეხურა“(მ.ზ) ვამჩნევდი ამ სითეთრეს, როგორ არა, მაგრამ გვერდით ვიმზირებოდი, იქ, სადაც ხის სახლებზე ნაკუწებად აწყობილი ფერად-ფერადი საბნები, ჭრელ-ჭრელი ტანსაცმელი ფრიალებდა. თვალი იმ ფერადოვნებისაკენ გამირბოდა, რომელიც მხოლოდ სამი ფერისგან შედგებოდა და ეს ფერები მხოლოდ წითელი, თეთრი და შავი არ იყო, ისე როგორც წიგნის ქურდში-

წითელი

თეთრი

შავი -„ერთმანეთზე ედება-ბატიფეხური შავი ნიშანი, დედამიწასავით მრგვალი, დამაბრმავებლად თეთრი და აგურისფერი, ბლანტი წითელი“. (მ.ზ.)

მოხუცები. მთა. ის წუთები მიდგება თვალწინ, როგორ რუდუნებით და სიყვარულით ზრდიან აქ თამბაქოს, როგორ სათუთად ახვევენ სახლში თუთუნს და როგორ უყვართ ის დრო, როცა ფურცელზე ენას წაუსვამენ და შეაწებებენ მათი ნეტარების საგანს. მათი ჭორფლიანი და ალაგ-ალაგ ყვითელი თითები სწორედ ჰანს ჰუბერმანს მახსენებს, გაყიდული თუთუნით ნაყიდ წიგნებს და ლიზელის ბედნიერების ღიმილს.

ფერების გარჩევის შემდეგ, თითქოს გამიადვილდა აქ ყოფნა, თანდათანობით ვერძნობდი, როგორ ივსებოდა უცხოობის სიცარიელე, იქ მწვანე ტბაზე, როგორ მესაუბრებოდნენ ნაძვები და მიყვებოდნენ იმ ისტორიებს, რომლებიც აქ მოსულ ყველა სტუმარს თავს გადახდა. ახლა, ალბათ ჩვენს ისტორიასაც დაიმახსოვრებდა, სხვას მოუყვება როგორ ნება-ნებით დაჰყავდა მშვენიერ ქალბატონს მწვანე ტბაზე არსებული ერთადერთი ნავი, Nona Zosidze როგორ გულომოდგინეთ გვპატრონობდა ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც ყველა ჩვენს მოქმედებას აკვირდებოდა, თითქოს უნდოდა დაემახსოვრებინა....როგორ ულამაზეს ფოტოებს იღებდა თავად ულამაზესი ქალბატონი Marina Tsivadze და როგორ გულომოდგინეთ ვიღიმოდით ჩვენ, რათა თქვენთვის ბუნების სილამაზე, კიდევ უფრო საოცრად წარმოგვედგინა.

ყმაწვილი განსაკუთრებული გახლდათ, რადგან მან იმ განმარტების შინაარსი იცოდა, რომელიც განმარტების ლექსიკონში არ იძებნება-

„არდატოვება: ნდობისა და სიყვარულის აქტი, რომელსაც მაშინვე გრძნობენ ბავშვები“. (მ.ზ.) მან და ჩემმა უცნობმა ქალბატონმა ცირა ქობულაძემ „მეგობრობის სურნელით გამჟღენთა“, ისეთი სურნელით, რომელსაც მთის ყვავილების სილამაზე და მთის დიდებულება მოსდევს.... აქ ჰანს ჰერმანის ნამუშევარი უნდა წარმოიდგინოთ-გოგონა, რომელსაც თვალები არა აქვს ნახატზე.....

„-მამა,-დაიჩურჩულა გოგონამ,-თვალები არ მაქვს!

ჰანსმა თმაზე გადაუსვა ხელი, ლიზელი მის მახეში გაება.

-სამაგიეროდ ისეთი ღიმილი გაქვს, თვალები არ გჭირდება.= (მ.ზ) სწორედ ასეთი ღიმილი აქვს ჩემს ახალ მეგობარს, რომელიც თავზე ხელის გადაუსმელად უსიტყვოთ მოიპოვებს ჩემს კეთილგანწყობას და სიყვარულს, ბედნიერება სიყვარულშია, კიდევ პირველ რიგში საკუთარ თავში, სიტყვის ძალის აღმოჩენაში-„რა ბედნიერებაა, საკუთარ თავში სიტყვის ძალა, რომ აღმოაჩინა.(მ.ზ)

სწორედ, ასეთი ბედნიერებით მივდევ უსწორმასწორო გზებს, ვეფერები შორიდან მთებზე შეფენილ ნახირს და ცნობილი ექსტრემალის ძალისხმევით ვლახავ ჩემს გულში წარმოუდგენლად გადასალახავ წინაღობებს- კლდოვან ნაპირებს, მთის გაუვალ განივ ბილიკებს, ქარიან და მზიან ადგილებს, სადაც მზე ისე ახლოსაა, შენი დაც კი გგონია Nadejda Gogiberidze, მხოლოდ ეს არის, რომ წინააღმდეგობრივი ადამიანი არ ვარ და მხოლოდ სიკეთისთვის მჭირდება წყლის დამატება. „წინააღმდეგობრივი ადამიანების კიდევ ერთი მაგალითი. ბევრი სიკეთე, ბევრი ბოროტება. მხოლოდ წყალი დაამატეთ გასაზავებლად.(მ.ზ) ჩემი და „წიგნის ქურდის“ ამზებიც ერთმანეთში ავურიე რომ კარგად დაგანახოთ მზის სხივი, რომელიც საოცრად ლამაზია მთაში. სხივი, რომელიც მალულად ჩამოდის ნაძვების შორის და ოცნებებს

და სინამდვილეს ორ ნაწილად ჰყოფს. ...მთავარია, ბოლოს და ბოლოს განთიადზე, გავცვალოთ სიზმრები, გავცვალოთ ჯვალოს პერანგები და ავისრულოთ სიზმრებიც და ოცნებებიც.

აქ ხომ „ცა ლურჯია. დიდი გრძელი ღრუბელი თოკივითაა ზედ გადაჭიმული და ბოლოში ყვითელი, ნახვრეტივით მზე მოჩანს(მ.ზ.)

ნაწილი მეორე-თეთრი და უფრო სევდიანი

„არ იფიქროთ, რომ გემუქრებით, მაგრამ გახსოვდეთ, თქვენ მოკვდებით“ (მ.ზ.)

მთა თურმე ხილვადობას გიუმჯობესებს. სიკვდილთან უფრო ახლოს ცხოვრობ, შეიძლება მისი სუნთქვაც კი გაიგონო, რომელსაც „ნამგალი თუ ცელი“ სულაც არა აქვს, თვითონ მომიყვა-„შავი, კაპიშონიანი მოსასხამიც მხოლოდ მაშინ მაცვია, როცა ცივა. არც ისეთი ჩონჩხისებური სახე მაქვს, თქვენ რომ გელანდებათ შორიდან“. საიდან ვიცი? ეს რომანი, რომელზეც გიყვებით გოგონაზე,

აკორდეონისტზე,

ზოგიერთ ფანატიკოს გერმანელზე, ებრაელ ჩხუბისთავსა და

არაერთ ქურდობაზე

თვით სიკვდილის მოთხოვნილია.

აქ, მთაში, მოხუცებს და ახალგაზრდა, ორსულ ქალბატონებს ერთნაირად დააქვთ

კარტოფილი.... კაიმალი.....

ხის კევი.... ყველი.....

მწვანილი.... მაწონი.....

საკუთარი ზურგით ეზიდებიან, აღმართებში, განივი ბილიკებით დადიან, იღლებიან, ისვენებენ, ოღონდ ხანმოკლე შესვენებით, შემდეგ კი ისევ მოიგდებენ ტომარას მხრეზე, როგორც „დედა საკუთარი მხრებით ეზიდებოდა შვილის ხსოვნას. აი, დაუვარდა, დაინახა, როგორ ჩამოცურდა ბიჭუნა, ტერფებით, სხეულით დაენარცხა ბაქანს.

ნეტავ ამ, ქალს სიარული როგორდა შეძლო?

ნეტავ როგორ მოძრაობდა“ (მ.ზ)

ნეტავ ამ მოხუცებულსაც ამდენი სიარული როგორ შეუძლიათ, ნეტავ სიკვდილთან გარიგებაზე ხომ არა აქვთ ხელი მოწერილი, რომ დაიგვიანოს, ნეტა?

ვმძიმდები.

უფრო მაღალ მთებში მივდივარ, სადაც ზოგიერთები საერთოდ არ ტოვებენ თავიანთ სახლ-კარს, ისე, როგორც სიკვდილი არ ტოვებს დედამიწას, ისე როგორც მაქსი ვერ ტოვებდა სარდაფს....

მაგრამ აქ სიმშვიდეა, არც ბომბების ხმა ისმის და არც ნაცისტური გერმანიაა გვერდითაქ ქვეყანა სუნთქვაშეკრული არ არის.... აქ ქალები აკორდეონზე უკრავენ, ისე როგორც ჰანს ჰუბერმანი. აქ სიკვდილი იგვიანებს, იქ კი ომია, ის დროა, როცა სიკვდილი მოუცდელი არასოდეს ყოფილა.

„ომი ლოგიკასა და ცრურწმენას შორის ადვილად შლის ზღვარს.

ომი. სიკვდილის საუკეთესო მეგობარია“. საკონცენტრაციო ბანაკიც...

აქ მშვიდობაა.

მთაში შეფენილი იაილები. სიცოცხლე. ხანგრძლივი, თანაც დამღლელი, მაგრამ ტკბილი....

დაუძლურებული ხელებით აკრეფილი კლავიძები აკორდეონზე. დაჭორფლილი ხელებით ამოყვანილი ყველი.

სიცოცხლე.

მზის სხივი.

კაიმალი.

ყველი.

მაწონი.

ისე იცოდეთ, სიკვდილი წიგნის ქურდს სამჯერ მიაკითხავს.... ჩვენ, ადამიანებს, მგონი

სიკვდილის გაცურებაც კი შეგვძლებია.

ინგა გოგიბერიძე

აგვისტო. მთა. 2017 წელი

ტრეისი შევალიერ „გოგონა მარგალიტის საყურით“

მინდა წარმოგიდგინოთ ძირითად წიგნსაცავში დაცული წიგნი „გოგონა მარგალიტის საყურით“.

რომანმა ამერიკელ მწერალს ტრეისი შევალიერ საყოველთაო აღიარება მოუტანა. ნაწარმოები დიდი ჰოლანდიელი მხატვრის, იოჰანეს ვერმეერის ამავე სახელწოდების ნახატის შექმნის საინტერესო ვერსიას გვთავაზობს. ისტორიის მოსათხრობად მწერალმა ორიგინალურ ხერხს მიმართა. ამბავს თვით ვერმეერის ნახატზე გამოსახული მშვენიერი გოგონა გვიყვება. არავინ იცის სინამდვილეში ვინ არის აღბეჭდილი ამ ტილოზე, მაგრამ გმირის მონათხრობი იმდენად საინტერესო, ცოცხალი და გრძნობებით აღსავსეა რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მართლაც ასე იყო. მობრძანდით და იკითხეთ ჩვენთან.

ძირითადი წიგნსაცავი

ნ. ვაშაყმაძე




ნაპოლეონ ჰილი „იფიქრე და გამდიდრდი“

ეს წიგნი ფულის შოვნის საიდუმლოს გაგანდობთ, ბევრ რამეზე სხვანაირად დაგაფიქრებთ და მერე იქნებ ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლაშიც დაგეხმაროთ.

ნაპოლეონ ჰილმა ნაშრომი „იფიქრე და გამდიდრდი“ თავისივე ცნობილი წიგნის „წარმატების კანონის“ მიხედვით შექმნა. მასში წარმატებული და მდიდარი ადამიანების გამოცდილება, ნააზრევი თუ რეკომენდაციები საინტერერესოდ და დახვეწილი სტილით არის გადმოცემული, ეს კი წიგნს განსაკუთრებით საინტერესოს ხდის. ეს წიგნი მხოლოდ იმას კი არ გასწავლით რა უნდა მოიმოქმედოთ, არამედ იმასაც, როგორ გააკეთოთ ეს. წიგნში მოცემულ მარტივ მეთოდს თუ დაისწავლით დაგამოიყენებთ, ხელთ ჭეშმარიტი და ხანგრძლივი წარმატების საიდუმლო გექნებათ და ყოველთვის მოიპოვებთ იმას, რასაც ისურვებთ.

ნაპოლეონ ჰილის „იფიქრე და გამდიდრდი“ საჯარო ბიბლიოთეკის ძირითად წიგნსაცავში ინახება. ნუ გაუშვებთ შანსს ხელიდან, წაიკითხეთ ეს წიგნი და გამდიდრდით. ძირითადი წიგნსაცავი
ნ. ვაშაყმაძე



ალექსანდრე ყაზბეგი

გერგეტის სამების სულიერი და ფიზიკური სიდიადე, გიგანტური კლდეები, ღრიალა



თერგი, ლეგენდად ქცეული დარიალი და ბოლოს ნიკო ლორთქიფანიძის ული შეფასება მყინვარწვერისა: ჩემი ოთახის ფანჯრიდან, ხშირად მოჩანს თეთრი, თოვლით დაფარული, მზის სხივით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ნაზი ქალწულისა-მოუარეთ საქართველოს. ეს ნიშნავს, გვიყვარდეს, ვისწავლოთ, ვიცოდეთ საქართველო და მისი ღირსეული შვილები. ამ ღირსეულთაგან ერთ-ერთი ალექსანდრე ყაზბეგია. მე-19 საუკუნის კოლორიტი, რომელშიც თავს იყრის ქართველის ყველა კარგი თვისება და ღირსება, რომელიც გადასცა თავის ყველა გმირს:

ხევისბერში, ელგუჯაში, მოძღვარში, ელისოში, მამის მკვლელში და ა.შ.

ჩვენი მიზანია გაგაცნოთ ყაზბეგის ცხოვრება, ყრმობა, ახალგაზრდობა და ცხოვრების შემდგომი პერიოდი. უკვე შემდგარი ალექსანდრე და ქვეყნის ტკივილი, ცხოვრების მძიმე წლები. იყო ბავშვობა, ნებიერი და ფუფუნებით მოსილი. ის ხომ ხევის ზვიადი მებატონის, მიხეილ ყაზბეგის მხოლოდმობილი ძე და განათლებული, წიგნიერი ქალბატონის, ელისაბედ თარხნიშვილის ვაჟია, რომლის მხრიდანაც მარღვებში ერეალე მეფის სისხლი ჩქეფს. ეკუთვნოდა უმაღლეს არისტოკრატიას.

ვფიქრობთ, უნდა გაგიჩნდეთ ინტერესი წიგნისადმი-, „ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა“, რომელიც დაიწერა თანამედროვეთა მოგონებებზე დაყრდნობით. კიდევ არის მეორე წიგნი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ალექსანდრე კალანდაძე-, „ცეკვა ხანჯლებით“.

დავუბრუნდეთ ბავშვობის წლებს, დაწყებული საწოლით და სუფრით დამთავრებული. მისთვის ყველაფერი განსაკუთრებული იყო. ყავდა რამდენიმე გამდელი. ცალკე ორი მასწავლებელი ფრანგულსა და რუსულში. ამიტომ იყო, რომ უკვე თორმეტი წლიდანვე ფლობდა ორთავე ენას. ჩაცმულობითაც გამორჩეული, ერთნაირად იხდენდა ქართულს-ეროვნულს და ევროპულსაც. ისე ყმაწვილებო, დააკვირდით, ქართველისათვის ევროპა ძველია და არახალი, როგორც დღეს წარმოუდგენიათ. მიუხედავად ამისა, გამოირჩეოდა უბრალოებით. გული გლეხობისაკენ და გლეხი ბიჭებისაკენ მიუწევდა. არ შეიძლება არ გავიხსენოთ 7-8 წლიანი პერიოდი მისი მეცხვარეობისა, რომელიც აღწერა, „ნამწყემსარის მოგონება“-ში. როგორ გააოცა მთაში მატყლის საყიდლად ამოსული ორი ევროპელი ფრანგულის ცოდნით. თან დასძინა, დანარჩენები ჩემზე კარგად საუბრობენო. არადა ამათთვის საქართველო იყო ველური, მთაგორიანი ქვეყანა, ბარბაროსებით დასახლებული.

ყაზბეგის ცხოვრება გადაბმული იყო მისსავე ქვეყანასთან. ის რაც ტკიოდა ერს და ქვეყანას, ტკიოდა მას.“თუ ერი კვნესის, მისი შვილიც უნდა კვნესოდეს. კვნესა ერისა არის კვნესა თითოეულისა. წმინდა მოვლენის შეხება უწმინდურის ხელითა, არის კაცისათვის უღირსი საქციელი, მისსივე დამმარცხებელი“. იცხოვრა რწმენით, სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულით. მე-5 მცნებით, რასაც ადასტურებს მისი წერილები დედისადმი, გამზრდელისადმი. ერთერთ წერილში დედას წერს:“ საყვარელო დედავ, ვფიცავ ყველა ციურსა და მიწიერს, რომ ჩემი გული და გონება იმ აზრისა არის, როგორ მოვაგვარო საქმე ისე, რომ თქვენ სიბერები მოგცეთ პატივი და დიდება, როგორიც შეეფერება თქვენს შთამომავლობას. გამზრდელს კი მიმართავს:“ ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო, შემიძლია სიამაყით გითხრა, შენს გაზრდილში თუ იპოვება რამე რიგიანი, ამის მიზეზი შენ ხარ, რომლისთვისაც გმადლობთ“.

საინტერესოა ყაზბეგის სატრფიალო სიყვარული, რომელიც რუსეთში ეწვია და უდიდესი კვალი დაატყო მის ფაქიზ სულს. შეუყვარდა სილამაზით, სიფაქიზით და მემკვიდრეობით გამორჩეული, გრაფის შეუდარებელი ასული. სანდრო ცაში დაფრინავდა. დღითიდღე ედებოდა სიყვარული მის გულს. მოულოდნელად ეჭვის ჭია შეუჩნდა, საქართველოში იქნება კი ჩემი ნინო ბედნიერი? არ დაჭვნება ყვავილივით მამას და ახლო მეგობრობს მოშორებული? მიყვარხარ ნინო, სიცოცხლეზე მეტად, მაგრამ ვერ გავუძლებ შენს ნაღვლიან მზერას, შენს ცრემლებს, როცა ახლობლები მოგენატრება. ხელები დაუკოცნა საყვარელ არსებას და განადგურებულმა დატოვა გრაფის სასახლე...

ყმაწვილებო, თქვენის ნებართვით აქ შევჩერდები. დანარჩენს წიგნიდან გაიგებთ. მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებებს, იმ მძიმე, გაუსაძლის და ფსიქიატრულ საავადმყოფოში გადატანილ დღეებს. სათქმელს კი დავასრულებ იმ სიტყვებით, რითაც ილია ჭავ ჭავაძემ, “ივერიის“ ფურცლებიდან ამცნო ქართველ ერს მწერლის სიკვდილი:“ გარდაიცვალა, ვინ მოიგონა ეს სიტყვა? უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს? ორჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხებულს, ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას.

ზღვა ხალხი შეჰქარა მისმა გარდაცვალებამ. ხალხის მსვლელობაში კუბოს დამჭერნი არ ჩანდნენ. გეზვენებოდათ, თითქოს კუბო ზეციურის ძალით თავისთავად მიცურავსო.

საგვარეულო სამარხში დასაკრძალავად გაასვენეს.

მთებში 50 ცხენოსანი და ძამებში ჩაძირული, თეთრ თმებგაშლილი, მწარე ცრემლით მტირალი გამზრდელი ნინო შეხვდა, გამქრალი ოჯახის ჭირისუფლად შთენილი.

29. 07. 2019

მთავარი ბიბლიოთეკარი

ნანა კვაჭაძე

უცხოური საბავშვო ლიტერატურა

როგორც ვიცით პატარებს თამაშთან, გართობასთან, სკოლასთან, ჯანსაღი ცხოვრების წესთან ერთად დღის წესრიგში მშობელი წიგნის კითხვასაც ურჩევს. ამისათვის საჭიროა ისეთი



ლიტერატურა, რომელიც ბავშვის ასაკისთვისაა შესაფერისი და მსუბუქი წასაკითხი იქნება. ყურადღება მინდა გავამახვილო უცხოურ საბავშვო ლიტერატურაზე. საბავშვო მკითხველის ასაკობრივი თანმიმდევრობაც გათვალისწინებული უნდა იყოს. თავდაპირველად პატარებს იტაცებს ზღაპრების ჯადოსნური სამყარო, შემგეგ უკვე სათავგადასავლო, მერე უკვე

აქტიურდება მათი გონება და ფანტეზის, ჯადოქრობის და სხვა ჟანრის ლიტერატურას ირჩევენ. მსოფლიოს სახვადასხვა მწერლები პატარებს თავიანთი ნაშრომებით ახარებენ და ამოგზაურებენ ილუსტრირებული წიგნების ფერად სამყაროში. გარდა იმისა, რომ ამ წიგნებით იპყრობენ პატარების ყურადღებას, ასევე მათ სურვილი უჩნდებათ უცხო ენის შესწავლისა, ეხმარებათ უცხოური სიტყვების წარმოთქმასა და დამახსოვრებაში. ბიბლიოთეკაში პატარები ძირითადად მშობლებთან ერთად მოდიან ხოლმე და მშობლებს მინდა ვუთხრა, რომ როცა არჩევანი უცხოურ საბავშვო ლიტერატურაზე დგება, განყოფილება ყოველთვის მზადაა წიგნების არჩევაში დაეხმაროს პატარა მკითხველებს. ბოლოს მინდა გითხრათ, რომ მრავალი თაობა აღიზარდა იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც საბავშვო ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებადაა აღიარებული და მათ როგორც პატარები კითხულობენ, ასევე უფროსებიც სიამოვნებით იხსენებენ.


იკითხეთ ჩვენთან...

საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის
განყოფილების უფროსი ქეთევან ხოსრუაშვილი

აშშს პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილი

აშშს პრეზიდენტისადმი ბატონ დონალდ ტრამპისადმი ქალბატონ დენიზა სუმბაძის მიწერილი წერილისათვის.

„ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“.



აშშს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის საინაოგურაციო სიტყვის შთაბეჭდილებიდან იწერება ეს წერილი. მას მოსწონს დონალდ ტრამპის სახელმწიფოებრივი აზროვნებაც და პოლიტიკური კურსიც. ის წერს: „ის დიდი პოლიტიკური ტემპერამენტი, რომლითაც თქვენ ამერიკელი ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვეთ დღეს შესულია სრულიად ახალ ფაზაში: ამერიკელი ხალხის არჩევანისა და გადაწყვეტილების სისწორე უნდა დაადასტურონ უკვე მსოფლიოს ხალხებმა და მათ შორის პატარა ხალხებმა, თვით ჩვენმა პატარამ და დაპყრობილმა ქვეყანამაც. თქვენ, თქვენი ახალი სახელმწიფოებრივი ხედვით, ახალი

მსოფლმხედველობით, კაცობრიობის საფუძვლის პოლიტიკას დაუპირისპირდით და ცვლით კაცობრიობას სიყვარულის ქრისტიანული პოლიტიკით, რომელიც თქვენდამი, ტრამპამდე მსოფლიო პოლიტიკის გაკეთილშობილებას ითხოვს.

როგორც ნამდვილი პატრიოტი ქართველი, მართლმადიდებელი, ქართული კულტურისა და ისტორიის ღრმად მცოდნე მეცნიერი, პროფესორი დ. სუმბაძე წერილში აღნიშნავს: „ჩვენი ცივილიზაციის მსოფლიო ისტორიული პროცესები ისე წარიმართა, რომ საქართველო მსოფლიო საზოდაგოებრიობამ არგონავტების ბერძნული მითით იცის. მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთაგან კი მსოფლიომ გაიგო ერთი, რამ, რომ საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა... სითბო, სიყვარული და თანადგომა არასოდეს დაუკლიათ ქართველებს 26 საუკუნის განმავლობაში საქართველოში შემოხიზნული ებრაელთათვის. საქართველო ნამდვილად არის მფლობელი ღვთით მომადლებული მიწა წყლისა, მაგრამ საქართველო ნამდვილად არ გახლავთ მხოლოდ ოქროს საბადოების ქვეყანა თავისი მიწის წიაღში. ეს შუმერებისა და ქალდეველების მოდგმის ერი, ქართველი ერი, რომლის ისტორიაც ლამის კაცობრიობის ისტორიას უტოლდება,

ათასწლეულების განმავლობაში ამაოდ როდი იღწვოდა თავისი არსებობისათვის, ის ათასწლეულებში აწრთობდა საკუთარი ეროვნული ცხოვრების ადათებსა და წესებს, ხვეწდა და ჰქმნიდა საკუთარ ეროვნულ- ზნეობრივი თვითმყოფადობის სამყაროს.

პროფესორი ს. დუმბაძე იმედოვნებს, რომ ტრამპის ახალი მსოფლმხედველობით, ახალი ზნეობრივი პრინციპების გატარებით დღის წესრიგში დადგა მსოფლიოს ე.წ. „ახალი წესრიგის“ შეცვლა ღვთის მიერ დაწესებული ახალი მსოფლიო წესრიგით, ანუ მსოფლიო ქვეყნების პოლიტიკაში ღვთის საწინააღმდეგო პრინციპების აკრძალვით და ღვთით დაწესებული ზნეობრივი პრინციპების გატარებით. - ეს გახლავთ დღეს პრეზიდენტ ტრამპის გზა დედამიწის გადარჩენის.

ღია წერილი პრეზიდენტისადმი წარმოადგენს მხარდაჭერას აშშ-ს პრეზიდენტის, რომელმაც დ. სუმბაძის აზრით მოახდინა გადატრიალება მსოფლიო ახალი წესრიგის ებრაულ-სიონისტურ იდეოლოგიაში, აღიარა რა ნებისმიერი ერის უფლება, თავის ქვეყანაში დაიცვას საკუთარი უფლებები, ნებისმიერ ხალხს დაუბრუნა ერად ყოფნის უფლება, რომელიც წაართვა სოროსულ-სიონისტურმა თეორიამ, უეროვნებო მსოფლიო საზოგადოების შექმნის საკუთარი იდეალით.

ქალბატონი დენიზა სუმბაძე, რომელიც თავისი ქვეყნის სიყვარულით სულდგმულებს ღია წერილში ახდენს ჩვენი სამშობლოს წარმოჩინებას, მის სულიერ მისიას და სჯერა რომ ჩადგება ერთა თვითგამორკვევის და უფლებების ავანგარდში, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ნამდვილი სახე.

ღია წერილში მიმართავს ტრამპს: - „მოგვეცით უფლება, ჩვენი ცხოვრების გზა წარვმართოთ, როგორც ქართველ ერს, ათასწლეულებგამოვლილი ცივილიზაციების შემოქმედ ხალხს გვესმის და გვწამს. მხოლოდ სამართლიანი და ჭეშმარიტების მწყურვალი კაცობრიობა შესძლებს კაცობრიობის მიერ ჩადენილი უსამართლობითა და უგუნურებით დასწულებული ჩვენი დედამიწის განკურნებას სწორებათაგან“.

ჩვენო მკითხველებო, თუკი თქვენ დაგაინტერესებთ ეს წიგნი, მას ჩვენ ფონდში იხილავთ.

ფონდების დაკომპლექტების და

კატალოგების ორგანიზების განყოფილების

უფროსი ნუნუ მალაყმაძე

დავით გარეჯი

ძირითადი წიგნსაცავის ფონდში ჩემი ყურადღება მიიქცია ლამაზი ფორმატის წიგნებმა გარეჯის შესახებ:

1. გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები ტ.1, თბ. 1999
2. გარეჯის ისტორიული დოკუმენტები ნაკვ.1 თბ. 2008
3. გარეჯის ისტორიული დოკუმენტები ნაკვ.2 თბ. 2011
4. დავითგარეჯის მონასტრები თბ. 2008

დღევანდელი აქტუალობიდან გამომდინარე მსურს, თქვენც გაგაცნოთ ისინი.

გარეჯის საგანძურის V-VI ტომებში შეგიძლიათ გაეცნოთ ქრონოლოგიური პრინციპით თავმოყრილ 606 საბუთს (XIII-XVIII სს), რომლებიც უჩვენებენ ამ სამონასტრო კომპლექსის ისტორიას-მის უფლებრივ მდგომარეობას, ორგანიზაციულ მოწყობას, მართვის სისტემას, ეკონომიკურ და სამეურნეო საქმიანობას, ყოველდღიურ ცხოვრებას. ამასთანავე გარეჯის საბუთებში ასახულია საუკუნეების მანძილზე ქართული საზოგადოების დამოკიდებულება გარეჯისადმი, როგორც საერთო ქართული, გამორჩეული საკრალურობით აღბეჭდილი ადგილისადმი.


კორპუსში „გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები“ კი წარმოდგენილია ექსპედიციების მიერ მრავალმთის მონასტრებში აღნუსხული VII-XIX სს ფრესკული, ნაკაწრი და ლაპიდარული წარწერები, რომლებიც ასევე პირველწყაროს წარმოადგენს როგორც გარეჯის სამონასტრო ცხოვრების, ისე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეთნიკური და კულტურის ისტორიის, პალეოგრაფიის საკითხთა შესასწავლად.

გელოდებით ისტორიული წარსულით დაინტერესებულ მკითხველებს...

და ბოლოს, გარეჯი-საქართველოა!

ნატო გიორგაძე

ძირითადი წიგნსაცავი



ბათუმი

ძველი პორტო-ფრანგულ-ქალაქი 1878 წლიდან, "ბათუმი, რომელსაც საუცხოო ციტადელი ჰქონდა"-ასე მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი.

საოცარი ქალაქი შავი ზღვისპირეთში თავისი დიდი წარსულით: ოსმალთა ბატონობა, საქართველოს საზღვრებში დაბრუნება, პირველი რესპუბლიკა და აჭარის გათავისუფლება. ბათუმის ნავსადგური ქალაქის ღირშესანიშნაობით, უნიკალური ბოტანიკური ბაღი, მუზეუმები, უმაღლესი სასწავლებლები-ეს და სხვა მრავალი რაც ჩვენს ქალაქს და



ბათუმელებს ეხება ჩვენს საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება. არქიტექტურა,

ქუჩები, თეატრები, სკვერები, ყველა პოეტის თუ მწერლის შემოქმედებაც აქ ელოდება მკითხველს ვისაც დააინტერესებს ჩვენი ლამაზი, უმველესი და უკვე მაღალგანვითარებულ თანამედროვე ქალაქის ისტორია, რომელიც ფეხს უწყობს თანამედროვეობას.

გელით, ისიამოვნეთ და გაეცანით ბათუმს და ბათუმელებს.

მთავარი ბიბლიოთეკარი

ნანა გვარიშვილი

პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი - ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა

პოეზია შემოქმედებითი ნიჭია, ღვთისგან ბოძებული. მეცნიერების სხვადასხვა დარგებს ჩაუჯდები და შეისწავლი, პოეზიას ვერ ისწავლი, ისწავლი პოეზიის პროდუქტს, ლექსს. გაატარებ სულში, გულში და გონებაში. ის სულის და გულის მკვებავია. მოგანიჭებს სიამოვნებას, დაგაფიქრებს, აგამაღლებს, აგატირებს და გრძნობათა მორევში შეგიტყუებს.

„ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით. მთქმელიც ტყუილად მოცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი“ - ილია ჭავჭავაძე, ილია მართალი.

უფრო დაწვრილებით პოეზიის შესახებ შეიძლება ესტუმროთ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ორტომეულს, ტ. 2 - „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“. გვ. 77-79. ან გადაშალეთ გიორგი ლეონიძის მოთხრობა - „ნატვრის ხე“ და წაიკითხეთ ბოლო აბზაცი: „პოეტები მხოლოდ ქადალდზე რითმით მოღაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით, პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე“.

ყმაწვილებო, მინდა შემოგთავაზოთ პოეზიის მადლით გასხივოსნებული სულნათელი, გულწრფელი, სამშობლოზე, მოყვასზე და სიყვარულზე ამღერებული პოეტების ლექსები: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, კოლაუ ნადირაძე, მამია გურიელი, გურამ კლდიაშვილი, მანან ჩიტიშვილი და კიდევ უფრო ცნობილი და დიდი პოეტების ლექსები. გთავაზობთ წიგნებს: „ეს სიმღერაა საქართველოსი“ - ქართული პოეზიის მცირე ანთოლოგია. რუსუდან დარჩიაშვილი - „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“ - ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი... „მიყვარხარ“ - ქართული სატრფიალო პოეზია. ვიხსენებთ იმ პოეტებს რომელთა სუნთქვაც ამ წიგნებში იგრძნობა. ისინი ჩვენი წარსულიცაა და მომავალიც, სახელი და ღირსება ჩვენი ქვეყნისა. ასეთებზე რევაზ ინანიშვილი ამბობს: „დედამიწა მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის ადამიანებს, ან თუ გვეკუთვნის მხოლოდ იმ პირობით, ჩვენ ერთადერთი გონიერი არსებანი ვართ სხვებს შორის. მაშინ კეთილ ვინებოთ და გონივრულად მოვეპატრონოთ ამ საოცარ პლანეტას“. ამ ადამიანებმა მართლაც მოიხადეს ვალი ქვეყნისა და ერის წინაშე. ჩენი მოვალეობაა მათი პოეზიის უკვდავყოფა. ჩემო ძვირფასო გოგო-ბიჭებო ისარგებლეთ მოსწავლეთა დარბაზით, ბიბლიოთეკარების კეთილი ნებით, მობრძანდით, დავსხდეთ და წავიკითხოთ ქართული პოეზია. დავარქვათ მას პოეზიის ხუთი წუთი და ვიმსჯელოთ ლექსის შინაარსზე, ვის ან რას ეძღვნება ესა თუ ის ლექსი. მეტი დაინტერესებისათვის შემოგთავაზებთ ამონარიდებს ლექსებიდან: მამია გურიელი - „ადამიანი“, რადგან ადამიანის ადამიანურობა, კაცთმოყვარეობა და ერთმანეთის წინაშე მოვალეობა არის ყველაზე მთავარი ამ ქვეყნად:

„...იყავი ტურთა, იყავ უებრო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჭკვიანი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი!“

.....
.....

„ნუ დაეცემი, დასდექ, გამაგრდი
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!“

თუ არა ადამიანის არაადმიანურობა, სიმართლისა და მოყვასის უსიყვარულობა, არ დაიწერებოდა კოლაუ ნადირაძის - „წიწამურიდან საგურამომდე“.

„წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?“

ვაგლახ რომ გაჭირდა ამ გზის გავლა. ქართველის ხელით დაიქცა წმინდა სისხლი ღირსეული ქართველისა, ის ვინც იყო ქართველთა აზრი და სინდისი, ილია ჭავჭავაძე.

პოეტს მანანა ჩიტიშვილს აქვს ასეთი ლექსი „ქართლი“.

„...საქართველო ქართლით არის!“

ცა მიმოწმებს:

„ჭეშმარიტად“

.....

„უწინ ბევრჯერ ნაწამები,
მაინც მუდამ მთქმელი მართლის,
ერის მრჩენი,
გადამრჩენი - ქართლი,
მშვენიერი ქართლი“.

ყმაწვილებო, ქართლში სრულიად საქართველო მოიხსენიებოდა - „თავი და თავი ქართლოსიანთა“.

„ისე ცოტა მიწა გვაქვს, საყვავილედ არ გვყოფნის...“

ისე ცოტა ზეცა გვაქვს, საფრენადაც არ გვყოფნის...“

ისე ცოტა ვაზი გვაქვს, საჭაშნიკოდ არ გვყოფნის...“

ისე ცოტა წყალი გვაქვს, დასახრჩობად არ გვყოფნის“ - გურამ კლდიაშვილი, „ჩემო მიწავ!“

ჩემო მკითხველებო არ შეშინდეთ, მიწაც გვაქვს, წყალიც გვაქვს, ვაზიც გვაქვს შვილივით ნაზარდი, ყველაფერი გვაქვს, ოღონდ გულგრილობამ დაგვრია ხელი, არ ვუფრთხილდებით,

სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ იკლო ჩვენს გულებში, არადა ეს ყველაფერი თქვენია წინაპართაგან ბოძებული: სისხლით, ცრემლით და ოფლით მოტანილი დღემდე. თქვენ უნდა იყოთ ამ სიმდიდრის მეპატრონე, გაუფრთხილდით და დაიცავით ქართველთა ეროვნული სიმდიდრე. აქ შევწყვეტ თხრობას. დანარჩენი ერთად წავიკითხოთ და ერთად ვისაუბროთ. მე კი ჩემსას გეტყვით: მე რომ ლექსის წერა, სიმღერა და ხატვა შემეძლოს, მთელ საქართველოს შემოვივლიდი ლექსით და სიმღერით. დავხატავდი ყველა ძველ ეკლესიას, ციხესიმაგრესა და კოშკს. დავხატავდი ყველაზე ლამაზ ადგილებს, საქმიან მოხუცებს, ვაზს და მუხას, დავხატავდი ქართლის დედას. მერე კი ყველას ერთად გამოვფენდი ჩემი ოცნების საქართველოში. ჩემი ოცნების საქართველო არის ერთიანი არა მარტო ტერიტორიით, უწინარეს ყოვლის ხალხის სულისკვეთებით.

„....როგორ მიყვარს ეს ლომგულთა საბუდარი...

ჩემო ჩანგო, ვაჟკაცური დაუკარი,
და თუ ვინმემ ვერ გაიგოს ეს სიმღერა
და ეს ჩემი სიყვარული გაიოცოს,
უთხარი, რომ საქართველომ ამამღერა -
დაილოცოს!“-ნოდარ დუმბაძე.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა მოამზადა მთავარმა ბიბლიოთეკარმა


ნანა კვაჭაძემ 18. 07. 19



რაიმერ რიგბი - ბიზნესმოაზროვნე

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ძირითად წიგნსაცავში გვაქვს ბრიტანელი

ჟურნალისტის რაიმერ რიგბის წიგნი სახელწოდებით „28 ბიზნესმოაზროვნე, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო“. ვინ შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესმოაზროვნედ? ის ვინც საფუძველს უყრის ბიზნესს, თუ ის ვისაც შეუძლია მისი ახლებურად გააზრება? როგორ ჩამოვყალიბდეთ ბიზნესმოაზროვნეებად და როგორ ვიმუშაოთ საკუთარ თავზე, გავუმკლავდეთ თანამედროვე ინტელექტუალურ, ტექნოლოგიურ თუ სოციალურ გამოწვევებს? ყველა ამ კითხვაზე პასუხს იძლევიან წიგნში შესული მენეჯმენტის გურუები და თავისუფალი აზროვნების ადამიანები, რომლებმაც ჩვენი ბიზნესხედვა შეცვალეს.



თუ ბიზნესის სფერო გაინტერესებთ, მაშინ ეს თქვენი წიგნია. წარმატების ფორმულა არ არსებობს, თუმცა პასუხებს კითხვებზე, რომლებიც გაღელვებთ, ამ წიგნში მოთხოვილ საქმიან ბიოგრაფიებში აუცილებლად ამოიკითხავთ. ეს წიგნი დაგარწმუნებთ, რომ შეუძლებელი არაფერია, თუკი არსებობს მიზანი, ამბიცია, მისწრაფება და ნებისყოფა!

ძირითადი წიგნსაცავი

ნინო ვაშაყმაძე

ილია ჭავავაძე

დღეს ილია ჭავავაძის გარდაცვალების დღეა. 112 წლის წინათ, 1907 წლის 30 აგვისტოს, წიწამური-საგურამოს გზაზე მოკლეს ადამიანი, რომელმაც საქართველოს ისტორიაში და მისი თანამედროვე ერ-სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

ილია ჭავავაძე იყო მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი და ბოლოს წმინდანიც.

საბანკო რეფორმა, ენის რეფორმა, განათლების რეფორმა, მოღვაწეობა სასამართლოში, გაზეთის დაარსება, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა- არ არსებობდა ცხოვრების არცერთი სფერო, რომელშიც ილია ჭავავაძემ თავისი კვალი არ დატოვა და ხელი არ შეუწყო მათ მოდერნიზაციას და განვითარებას.

”თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, ამასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სიკვდილი უწერია... მაშინ ნეტავი შენ!...“- ეს სიტყვები წარმოთქვა აკაკი წერეთელმა ილიას დაკრძალვისას.

ილიას მკვლელებს, რომ შეეძლოთ საქართველოს მოკლავდნენ, თქვა ვაჟა-ფშაველამ. იაკობ გოგებაშვილი ილიას ტრაგიკულ აღსასრულს გამოეხმაურა ღრმა აღშფოთების გამომხატველი წერილით - „შურისძიება ისტორიისა“.

ილია ჭავავაძე მთაწმინდის პანთეონშია დაკრძალული. შერაცხულია წმინდანად, სახელით წმინდა ილია მართალი.



იაკობ გოგებაშვილი - დედა ენა

„დედა ენა“ - პირველი საკითხავი წიგნი, ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის,



შექმნილია იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოიცა 1876 წელს.

1906 წლიდან „დედა ენა“ 2 წიგნად გამოიცა: პირველში მოთავსებულია წერა-კითხვის შესასწავლი მასალა, მეორეში — საყმაწვილო მხატვრული თხზულებები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები და საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული, ისტორიული და ეთნოგრაფიული

შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული სტატიები.

„დედა ენას“ საფუძვლად უდევს მაღალი დიდაქტიკურ-მეთოდიკური პრინციპები, გამსჭვალულია ხალხურობის სულისკვეთებით.

- ავტორის სიცოცხლეში (1912 წლამდე) იგი 33-ჯერ გამოიცა.
- 1876-1925 წლებში „დედა ენა“ 45-ჯერ გამოიცა.

იაკობ გოგებაშვილის ”დედაენა“ ყოველმხრივ სრულყოფილებაზე ისიც მიუთითებს, რომ თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგაც თანამედროვე ”დედაენა“ ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს პრინციპებს ემყარება.

საანბანე ნაწილის აგების პრინციპი, წიგნის თემატური მხარე იყო საფუძველი იმისა, რომ 1960 წელს ვენესუელის ქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე იაკობის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილმა სახელმძღვანელომ პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა.

სწორედ ამიტომ, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ არ კარგავს აქტუალობას, ქართველი ხალხის სამაგიდო წიგნია და დღეს იგი სიყვარულით უბრუნდება სკოლას.

„1001 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“

ტურთა გაზაფხული მოვა, ტურთა გაზაფხული მოდის!.....

მურმან ლებანიძე.

გაზაფხულიც მოვიდა, ზაფხულიც და
შვებულების დროც დადგა-ჰამაკში ნებივრობისა და
სულიერად დასვენების დრო. ეხლა თუ არა მაშ როდის
უნდა განვიტვირთოდ მთელი წლის დაძაბული
ფიქრებისაგან, ეხლა თუ არა როდის უნდა მოვამზადოთ



ჩვენი ორგანიზმი ახალი სამუშაო თუ სასწავლო პერიოდისთვის. ყველამ ვიცით, რომ
დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება წიგნის კითხვაა. ეგებ წაკითხულის გახსენება
გსურთ ან ვერ გადაგიჩყვეტათ, რომელი ნაწარმოებით დაიწყოთ კითხვა?! ამ საკითხს
მოაგვარებთ, თუ ეწვევით ჩვენი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს ან ღია სამკითხველოს
ეზოში და მოითხოვთ წიგნს „1001 წიგნი რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“. ეს
წიგნი გთავაზობთ არჩევანს, შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი მხატვრული ტექსტი. იგი 1001
ნაწარმოების მოკლე შინაარსს გვამცნობს, ყველა ლიტერატურულ სტილს ეხმიანება და
მსოფლიოში საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებზე გვიყვება. ამ წიგნის თითოეულ სტატიას
თავისი ავტორი ჰყავს, მაგრამ მთავარი რედაქტორი პიტერ ბოქსალია. შეიძლება გაგიჩნდეთ
კითხვა: რატომ მაინცდამაინც 1001 წიგნი, ხომ შეიძლება სხვა ციფრი ყოფილიყო? იმიტომ ხომ
არა, რომ უძველეს დროიდან დამყარდა კავშირი მაგიურ თხრობასა და ციფრ 1001 -ს შორის.
გავიხსენოთ შეკრაზადე, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, ათას ერთი გრძელი არაბული
ღამის ზღაპრის მთხრობელი. ამ წიგნშიც თითოეულ ნაწარმოებს უწევს ბრძოლა თავისი
ადგილის დასამკიდრებლად. მკითხველის გულში, თითქოს საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს
ეხებოდეს ისე, როგორც შეკრაზადეს.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, გავიხალისოთ თუნდაც გავიხანგრძლივოთ ბედნიერი
წუთები და ვიკითხოთ წიგნები 1001 ღამიდან და ამავე თემატიკით დატვირთული ქეთევან
ლეფსვერიძის წიგნები:

1. მსოფლიო ლიტერატურის ასი შედევრი
2. მსოფლიო კლასიკის შედევრები წ.1. წ.2. წ.3.
3. ლიტერატურული შედევრები (ქართული)
4. ლიტერატურული შედევრები (უცხოური)

სასიამოვნო შვებულების გატარებას გისურვებთ წიგნებთან ერთად ძვირფასო მკითხველებო....

გზა ადამიდან ადამიანამდე

„წარსულდაკარგულ ერს მომავალი ვერ ექნება.“

ანზორ კუდბა-ჩრდილს ნუ მომიკლავთ!

სულ ახლახანს გამოქვეყნდა აჭარაში მოღვაწე ეროვნებით აფხაზი, თუმცა მსოფლმხედველობით, მენტალიტეტით ჭეშმარიტად ქართველი მწერლის ანზორ კუდბას რომანი „ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“ მისი უმთავრესი თემა, პრობლემა თუ მოტივი ერთია - გზა უფლის ქმნილებიდან - ადამიდან ადამიანამდე. ეს გზა სავსეა შენაძენებითა და დანაკარგებით, სიხარულითა და სევდით, ამბოხითა და სინანულით, დამარცხებებითა და გამარჯვებებით, სიყვარულითა და სიძულვილით, სულიერი ამაღლებითა და დაცემით, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ესაა უნივერსალური გზა, რომელსაც გადის ნებისმიერი ადამიანი თავის ცხოვრებაში. ესაა ერთი კაცის გზა, რომელიც სწორედ მისი ადამიანობის გამოცდისათვის უნდა გაიაროს თითოეულმა ახალმა ადამმა დაბადებიდან სიკვდილამდე. ეს გზა იოლი და ვარდ-ყვავილებით მოფენილი რომ არ იყო, ადამიანის კრებითი სახის – კაცობრიობის ისტორიაც ადასტურებს.

„ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“ ტიპური პოსტმოდერნისტული ტექსტია – დაწყებული მრავალგანზომილებიანი სათაურით და დამთავრებული ღია ფინალით:


„ნაბიჯს ნაბიჯი მიაყოლა და მერე სულმაც წინ გაუსწრო.

მირბოდა უკვე. ძირს დაიხედა: რკინის ქალამნები ეცვა.

ნაბიჯიც უგრძელდებოდა სულ უფრო და უფრო. ლამის დედამიწისთვისაც გადაებიჯებინა...“, ასე – რკინისქალამნებამოცმული დაიარება ცხოვრების გზაზე ახალი

ადამი, რომელიც განწირულია მარადიულად ეძებოს თავისი ღვთაებრივი ნაწილი.

წიგნის სათაურმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ჩრდილდაკარგული ანუ ეშმაკისათვის სულმიყიდული მურმანის სახემდე მიგვიყვანა. ჩრდილის დაკარგვა ეშმაკთან შეკვრას ნიშნავდა, სატანის ერთგულებას. ახლა გავიხსენოთ ქართული ფოლკლორისა და მწერლობის ამ მრავალმხრივ საყურადღებო პერსონაჟის გურამ ასათიანისეული დახასიათება. მურმანი ეგოცენტრიზმითაა გამორჩეული, მხოლოდ, პირადი ბედნიერებისთვის იბრძვის, აქედან



გამომდინარე, მისი აქტიურობა უდღეული და უპერსპექტივოა, მისი „ენერგია, ხალხის თვალში, ბოროტი ენერგიაა. ამის გამო მას არაფრის წარმოქმნა არ შეუძლია. მისი „ბროლის ციხე“ მხოლოდ მირაჟია, მხოლოდ ეფემერული ხუხულაა“. ასეთივე ხუხულაა ბაბილონის გოდოლიც, რომელსაც ნიმროდად გარდაქმნილი ადამი აშენებს. ერთი შეხედვით, მისი მიზანი კეთილშობილურია: მას უნდოდა ღმერთამდე აემაღლებინა ადამიანი, ლამის მიზანსაც მიაღწია, მაგრამ საბაოთმა ხერხს მიმართა: ენა აურია ანუ სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა გოდოლის მშენებლები და ასე აღკვეთა ამპარტავანი ნიმროდის პატივმოყვრული გეგმები. ანზორ კუდბა ზუსტად მიგვანიშნებს, რომ შურიანი, კადნიერი, ვნებებისა და სურვილების მონად ქცეული, ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი ადამ-იანი ღმერთამდე ვერ ამაღლდება.

„ყოვლისმხილველი, ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე“ ცაბაოთი კი ასე აფრთხილებს ამბოხებულ ადამ-ყოფილს: „ნიმროდ, გონს მოდი: მებრძოლო მე, ნიშნავს ებრძოდე საკუთარ თავს. შენ დროის მიღმა დარჩენილხარ“, რაზეც ნიმროდი თავხედურად პასუხობს: „დროის გარეშეც იოლას გავალ. შენ კი აღარ მჭირდები!... მაგრამ გპირდები, ცაბაოთ: ამოვმაღლდები მე შენამდე ადამ-იანი და: გაგისწორდები!“ როგორც ვნახეთ, ვერ ამაღლდა. ანზორ კუდბას ტექსტში ადამ-ის ჩრდილიც მრავალპლანიანია, ის ქალსაც განასახიერებს: ჯერ – ევას, შემდეგ – რეას. თავად უფალი საბაოთი ეუბნება ადამს, რომ ევა მისი „ჩრდილივითა!“ ჩრდილი, როგორც ვთქვით, ასევე ადამიანის სულია, რომლის გარეშე ცხოვრება სირცხვილია, ამიტომ მზის სინათლეზე გამოსვლას ერიდება ადამი და ეს ნაკლოვანება შინაგანადაც აფორიაქებს, წონასწორობას ურღვევს მას. ჩრდილის – სულის – ევას, საყვარელი ქალის, თავისი სხეულის ნაწილის გარეშე ხომ მისი პიროვნება არასრულყოფილია, მას ცარიელი ადგილი სტკივა. დიახ, ადამიდან ადამიანობამდე გზაზე მიმავალმა კაცმა ჩრდილი – საკუთარი სული დაკარგა და, როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობაშივე აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნეში ჩრდილ/სულდაკარგული ადამი უკვე „ჰომო ფაბერად“ მოგვევლინა.

ანზორ კუდბას ახალი რომანი მითოლოგიზებულია. მასში, ფაქტობრივად, მოცემულია სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის მითოლოგიების მიქსი: აქ შეხვდებით პერსონაჟებს ბიბლიური, შუამდინარული, ბერძნული, ეგვიპტური, ქართული მითოლოგიდან. ზოგის სახელი შეცვლილია, ზოგისაც – არა, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს საერთო სურათზე. ნაწარმოები იწყება სამოთხიდან ადამისა და ევას გამოძევებისა და მათი დასჯის სცენით. როგორც ვთქვით, საბაოთმა ადამს ჩრდილი მოუკლა და სიცოცხლე მიუსაჯა, ესეც არ აკმარა და მეხსიერება წაართვა: მიუხედავად მებორნის გაფრთხილებისა, „სურვილების მონა,“ „გამოყეყეჩებული ორფეხა ცხოველი“, როგორც მას ეშმაკი უწოდებს, შესვამს დავიწყების მდინარის წყალს, შედეგად, ადამს თავისი წარსული დაავიწყდება, ამიტომ მის „შორეულ

წარსულში ძალიან ბნელა, შიშისმომგვრელი წყვდიადია“. ძალიან გაუჭირდა უწარსულოდ, უდროოდ დარჩენილ ადამს და ის ნიმროდად იქცა, ევა – ქურუმთქურუმის უმშვენიერეს, ბრძენ ასულ რეად, რომელიც დედოფლად და ქალღმერთად, სწორფერ მეუღლედ დაისვა ნიმროდმა, იშთარის ტაძარშიც კი დააბრძანა.

ნიმროდი მოკვდავი და აღდგომადი ღვთაებაა: დუმუზის მსგავსად ისიც უნდა ჩავიდეს ქვესკნელში. მას სწორედ თარგამოსი კლავს, მაგრამ ცაბაოთი ბოლომდე ვერ იმეტებს თავის ქმნილებას და რეას გააცოცხლებინებს.

იქმნება პარადოქსული და უდავოდ დამაფიქრებელი ვითარება: საბაოთის წინააღმდეგ ამხედრებული, ცნობადის ნაყოფმირთმეული ადამი, ვისაც თავისუფლება უკვე აუცილებლობად გადაქცევია, თავად ხდება ბაბილონელებისთვის ტირანი: მან ქურუმებს სხვაგვარად ფიქრიც კი აუკრძალა: „ქურუმნო! მე თქვენგან აწი ვეღარ მოვითმენ ჩემგან განსხვავებულად ფიქრსაც კი!“ – მწერალი ამით გვიჩვენებს, თუ რა მოსდის სულიერებადაკარგულ ძალაუფლებას, როგორ გარდაიქმნება ის დიქტატურად.

ნიმროდმა ჩრდილის უქონლობაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა: მან თავი უზენაეს ღმერთად გამოაცხადა, უფრო ზუსტად, თავად ბაბილონელები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უჩრდილო მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს; აი, ავტორიტეტული მოხუცის დასკვნა: „ჩრდილი მხოლოდ და მხოლოდ არ უნდა ჰქონდეს უფალ ღმერთს... ხალხო! უფალი ღმერთი მიწაზე ჩამოსულა და ადამიანებმა კინაღამ ვერ ვიცანით...“ ამის დაჯერება ბაბილონელებს არ გაჭირვებით, რადგან ნიმროდი ჩვეულებრივი მოკვდავიც არ იყო: მას შეეძლო სხვისი ფიქრების წაკითხვა, დროში მოგზაურობა, გავიხსენოთ: „უდროობის თვალუწვდენელ ველზე მიაჭენებდა ბედის ბედაურს“, ფრენა, ის ხე-კაციც იყო – კედარს შერწყმოდა, მას მელამი ჰქონდა მოფენილი ანუ მადლფენილი იყო და ა.შ.

ტექსტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია: მართალი ებერი, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული ანბანის შენახვა-გადარჩენა. „ებერ, ეს ჩვენი ანბანია... შენ დიდი მისია გეკისრება: ანბანი უნდა გადაარჩინო, რომელიც უფალმა ღმერთმა ცაბაოთმა შეგვიდგინა“. ღმერთი მეორედ მოსვლისას ამ ენაზე ისაუბრებსო – ასე შემოდის იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ანზორ კუდბას პოსტმოდერნისტულ ტექსტში. ებერი იაფეტის შვილთაშვილის, თარგამოსის ქვეყანაში, ქარდუში წავიდა. მან შვიდი შვილი (ალბათ, საქართველოს შვიდი სამეფოს მეფე) გააჩინა და იბერია დააარსა.

ანზორ კუდბას „ჩრდილს ნუ მომიკლავთ“ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ტექსტიცაა და მასში ახალი რაკურსითაა დანახული და დახატული საყოველთაოდ ცნობილი ამბებიცა და პერსონაჟებიც. ვფიქრობთ, რომანში ერთი საინტერესო სახეა საბაოთის

„ხელდასხმული... განდობილი” – ეშმა-კი, რომელიც სხვადასხვა სახელით გვხვდება: ბელზებელი, ვოლანდი, ლიუციფერი, მეფისტოფელი, სატანა. ის უცილობლად გაგვახსენებს ბულგაკოვისეულ ვოლადს „ოსტატი და მარგარიტადან.” ვნახოთ, რას ეუბნება ვოლანდი ლევი მათეს: „რას იზამდა შენი სიკეთე, რომ არ არსებობდეს ბოროტება და რას დაემსგავსებოდა დედამიწა, მისგან რომ გაქრეს ყველა ჩრდილი?” – ეს, რა თქმა უნდა, რიტორიკული კითხვაა, რომელიც კაცობრიობას გაჩენის დღიდან მოსდევს. ბინარული ოპოზიცია: კეთილი და ბოროტი, ნათელი და ბნელი მარადიული თანმდევია ადამიანური არსებობისა და რადგან ლიტერატურაც – იქნება ის რეალისტური, მოდერნისტული, პოსტმოდერნისტული თუ მომავალში, დავუშვათ, „დიგიმოდერნისტული” – მაინც ამ ადამიანურ არსებობას უტრიალებს ირგვლივ, ვერც ის აუვლის გვერდს ამ უკვდავ „სიამის ტყუპს.”

ასე რომ, ანზორ კუდბას ტექსტში გვაქვს უმთავრესი ბინარული ოპოზიცია: კეთილი და ბოროტი, ნათელი და ბნელი, რომელიც მარადიული თანმდევია ადამიანური არსებობისა და რადგან ლიტერატურაც – იქნება ის რეალისტური, მოდერნისტული, პოსტმოდერნისტული თუ მომავალში, დავუშვათ, „დიგიმოდერნისტული” – მაინც ამ ადამიანურ არსებობას უტრიალებს ირგვლივ, ვერც ის აუვლის გვერდს ამ განუყოფელ წყვილს.

დასასრულ, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანზორ კუდბა დგას იქ, საიდანაც მოდის ქართული მწერლობა და თავისი რომანით კიდევ ერთხელ გვახსენებს უცილო ჭეშმარიტებას, გვინერგავს რწმენას – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!” – ამ რწმენის გარეშე ხომ ძალიან გაუჭირდება ქართველ ხალხს უახლესი საუკუნის ახალი, კიდევ უფრო რთული გამოწვევების გამკლავება.

შორენა მახაჭაძე -ბსუ-ს პროფესორი

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა-ს ფოტო.

ნოდარ დუმბაძე

14 ივლისს, ყველა თაობის საყვარელი მწერლის ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეა.

ნოდარ დუმბაძემ 1950 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა.

1956-1957 წლებში გამოსცა იუმორისტული მოთხრობების სამი კრებული. 1967-1972 წლებში იყო სატირული ჟურნალი „ნიანგის“ რედაქტორი. თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკართან“, იყო მწერალთა კავშირის მდივანი, შემდეგ კი თავმჯდომარე.

ნოდარ დუმბაძემ პირველი ლიტერატურული წარმატება საბავშვო პოეზიაში მოიპოვა. მწერალს პოპულარობა თხრობის ლირიზმა და განუმეორებელმა იუმორმა მოუტანა, მან გულიანად აცინა და კიდეც ატირა მკითხველი. ერთი ამოსუნთქვით, ცრემლიანი ღიმილით იკითხება მისი ნაწარმოებები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ლამე“, „მარადისობის კანონი“, „თეთრი ბაირალები“. დუმბაძის ოთხი რომანი პიესებად გადაკეთდა და დაიდგა საქართველოსა და უცხო ქვეყნების სცენებზე, აგრეთვე შეიქმნა მისი რომანების ეკრანიზაციებიც.

საინტერესო ფაქტები ნოდარ დუმბაძეზე:


✓ თვითმფრინავის გატაცების ცნობილი მოვლენების დროს ნოდარ დუმბაძე ერთ-ერთი იყო ქართველ ინტელექტუალთა შორის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას დამნაშავეთა შეწყალებას სთხოვდა.

✓ ამბობდა, იუმორი იმიტომ ავირჩიე,

რომ თავისუფლება მინდოდაო.

✓ ნოდარ დუმბაძეს, თურმე, „შავად“ წერა არ უყვარდა. როგორც თავად ამბობდა, "მარადისობის კანონზე" 9 წელი იფიქრა, მერე კი ორ თვეში დაწერა. ნაწარმოებზე მუშაობისას ბევრს ეწეოდა — დღე-ღამეში თითქმის სამ კოლოფ სიგარეტს.

✓ 1954 წლის 14 აპრილს ზემელზე მდებარე რესტორან "გემოში" მკვლელობა მოხდა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მილიციამ რესტორანში მყოფი 48 კაცი დააპატიმრა. მათ შორის იყო 26 წლის ნოდარ დუმბაძეც, რომლის პიჯაკზე სისხლის ლაქები აღმოჩნდა. ამის გამო მკვლელობაში მთავარ ეჭვმიტანილად მიიჩნიეს. ნოდარმა ციხეში გაიცნო ადამიანები, რომლებიც შემდგომ "თეთრი ბაირალების" გმირებად იქცნენ. ორთაჭალის ციხეში ექვს თვეზე მეტი დაპყო. დაკავებიდან 134 დღის შემდეგ ძიებამ დაადგინა, რომ ნოდარ დუმბაძე უდანაშაულო იყო.



საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული

14 ივლისს ფრანგები მოიხსენიებენ ბასტილის დღედ. ეს დღე უდიდესი დღესასწაულია საფრანგეთში.

წარმოგიდგნთ მოკლე ისტორიას.

1789 წლის 14 ივლისის აჯანყებისას აიღეს ბასტილის ციხე. ეს იყო უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი აჯანყებულთათვის, რადგანაც ბასტილის ციხის აღება მეფის წინააღმდეგ ღია გამოსვლას ნიშნავდა. ამ მოვლენის პირველი წლისთავი აღნიშნული იყო როგორც „Fête de la Fédération“, რაც ქართულად „ფედერაციულ დღესასწაულს“ ნიშნავს. 1970 წლის 14 ივლისის შემდეგ, ფრანგები ამ დღესასწაულს ყოველწლიურად აღნიშნავენ. 21-ე საუკუნეში საფრანგეთის ეროვნული სახელცვალებადი დღესასწაული, იგივე ბასტილის დღე კვლავ აღინიშნება 14 ივლისს. ფრანგ ხალხს ვულოცავთ ამ დღესასწაულს.

შათუმის საჯარო ბიბლიოთეკის

უცხოური განყოფილების გამგე

ქეთევან ხოსრუაშვილი



ჟურნალი „ჩემი სამყარო“

ადამიანი პიროვნებად ბავშვობიდან ყალიბდება, მისი ცოდნა თავისთავად არ მოდის. ამას ემსახურება სკოლა, საბავშვო ლიტერატურა და ა. შ. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ხელი მიუწვდებოდეთ საინტერესო წიგნებსა თუ პერიოდულ გამოცემებზე, სადაც მათთვის მნიშვნელოვან საკითხებსა თუ თემებს მიაგნებდნენ თუ აღმოაჩენდნენ.



სწორედ ასეთი ჟურნალია „ჩემი სამყარო“, რომლის მთავარი მიზანია კითხვის ინტერესის გაღვივება ახალგაზრდებში და მათთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ჟურნალი მოიცავს სხვადასხვა თემასა და სფეროს. მასში გამოქვეყნებული სტატიები შეეხება პოლიტიკას, ეკონომიკას, ლიტერატურას, მეცნიერებას, ხელოვნებას, საინტერესო ამბებსა და მოვლენებს, დიდ და ქვეყნისა თუ კაცობრიობისათვის მნიშვნელოვან ადამიანებს. „ჩემი სამყარო“ გამოდის სამ თვეში ერთხელ, ყოველ ნომერში არის ცხრა რუბრიკა. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის საცავში დაცულია ჟურნალი „ჩემი სამყარო“ 2013 წლიდან დღემდე.

ვფიქრობ, რომ ეს ჟურნალი დაეხმარება დაინტერესებულ ახალგაზრდებს, გაიღრმავონ ცოდნა, გაეცნონ ახალ-ახალ თემებსა და საკითხებს ან თუნდაც სხვაგვარად დაინახონ მათთვის კარგად ნაცნობი მოვლენები თუ პიროვნებები.

მაშ ასე, გელოდებით.....

#იკითხეთჩენთანერთად

კულტურული პროგრამების და

სამკითხველო დარბაზებით

მომსახურების განყოფილების უფროსი:

მაია ჩხატარაშვილი

ივანე ჯავახიშვილს

ბევრი დაწერილა ივანე ჯავახიშვილის შესახებ, უამრავი გამოკვლევა მიუძღვნიათ მისი


ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობისათვის, ბევრი საინტერესო ფაქტი თუ მოვლენაც შემოუნახავს მის ნამოწაფართა თუ თანამებრძოლთა მოგონებებს უაღრესად საინტერესო პიროვნების, მოღვაწისა და მეცნიერის ცხოვრებიდან, მაგრამ ბუნებრივია ყველაზე გამორჩეულად მაინც ივანე ჯავახიშვილი მისმა შვილებმა დაიმახსოვრეს.

საჯარო ბიბლიოთეკის ძირითად საცავში დაცულია წიგნი სახელწოდებით „მამა“-შვილების მოგონებები ივანე ჯავახიშვილის შესახებ.

მკითხველის წინაშეა ივანე

ჯავახიშვილის შვილების ნათელასა და

ალექსანდრეს ემოციური და დაუვიწყარი



მოგონებები მამაზე. აქვეა ნათელას ბავშვობის დროინდელი წერილები, რომლებსაც მამას უგზავნიდა. ჩანაწერები საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს ჩვენი ისტორიის გამორჩეული პიროვნების ოჯახური ცხოვრების ისეთ საინტერესო ფაქტებს, რომლებიც საზოგადოებისათვის სრულიად უცნობია.

მოგონებების წიგნს უამრავი პერსონაჟი ჰყავს, რომელთა გარემოშიც გაატარეს ბატონი ივანეს შვილებმა ბავშვობა და ახალგაზრდობის წლები, ბევრი მათგანი საქვეყნოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწეა, თუმცა ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი ჰინდუისტი, ამის მიუძღვნა, ან შემოუტარებული და მას საზოგადოების უდიდესი წერტილების წევა.

გირჩევთ წაიკითხოთ და უფრო მეტი გაიგოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრის, ივანე ჯავახიშვილის შესახებ.

ძირითადი წიგნსაცავი ნ. ვაშაყმაძე

„წარმატების 365 გასაღები“

ამ ბოლო დროს ყურადღება მივაქციე, რომ ახალგაზრდები ხშირად კითხულობენ რამაზ გიგაურის წიგნს „წარმატების 365 გასაღები“. გადავწყვიტე, თქვენთვისაც გამეცნო იგი.


ავტორმა შეაგროვა და წარმატებისადმი ჩვენს ინტერესსა და სწრაფვას 365 გასაღებად „მოარგო“ კაცობრიობის ცოდნა და გამოცდილება. ამ მეთოდებისა და იდეების ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებისას თქვენ უფრო ძლიერი, მიზანსწრაფული, თავდაჯერებული, ორგანიზებული, ბედნიერი და, რაც მთავარია, წარმატებული გახდებით.

ეს არის წიგნი, რომელსაც თქვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია.

მობრძანდით ბიბლიოთეკაში და გაეცანით ...

ძირითადი წიგნსაცავი

ნატო გიორგაძე



გოდერძი ჩოხელი

1954 წლის 2 ოქტომბერს დიდი სევდის და საოცარი მხატვრული ენის მატარებელი



გოდერძი ჩოხელი დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში დაიბადა. სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფასანაურის საშუალო სკოლაში. 1972 წელს ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში,

კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, 1974 წლიდან კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც 1979 წელს დაამთავრა. იმავე წელს მიიღეს კინოსტუდია "ქართულ ფილმში" დამდგმელ რეჟისორად. 1981 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია, ხოლო 1980 წლიდან კინომატოგრაფისტთა კავშირის წევრი. 1997 წლიდან იბეჭდება მისი მოთხრობები ჟურნალ-გაზეთებში.

1980 წელს გამოიცა პირველი წიგნი "წერილი ნამვებს". წიგნს წლის საუკეთესო პირველი წიგნის პრემია მიენიჭა. 1981 წლიდან წიგნი რუსულ ენაზე ითარგმნა. გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: "ბინდისფერი სოფელი", "თევზის წერილები", "შემინახე, დედაო მიწავ!", "სულეთის კიდობანი", "არჩევნები სასაფლაოზე". ლექსების კრებული "ბედი მდევარი", მოთხრობების კრებული იტალიურ ენაზე "შავი არაგვი", რომელიც ითარგმნა სხვა ენებზეც. რომანები: "მგელი", და "მღდვლის ცოდვა".

გოდერძი ჩოხელს გადაღებული აქვს ფილმები: "ნამეხარი მუხა", "ადგილის დედა", 1982 წელს გერმანიაში ქ. ობერჰაუზენში, მოკლემეტრაჟიანი საერთაშორისო ფესტივალზე მიიღო გრანპრი.

1980 წელს გადაიღო "ბაკურხეველი ხევსური".

1981 წელს - "აღდგომა".

1984 წელს - "ადამიანთა სევდა".

1986 წელს - "წერილი ნამვებს".

1988 წელს - "უცხო".

1989 წელს - "თეთრი ალამი".

1990 წელს - "ცოდვის შვილები". ფილმს მიღებული აქვს პრიზი:

1990 წელს მონტე-კარლოში კინოფესტივალზე მიიღო 2 პრიზი, ვერცხლის ნიმფა და საერთაშორისო კათოლიკური ეკლესიის პრიზი.

1992 წელს იაპონიაში ქ. ხიროსიმაში ჟიურის სპეციალური პრიზი.

1992 წელს მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სახელმწიფო პრემია თბილისში გამართულ კინოფესტივალზე, სახელწოდებით „ოქროს არწივი“, საუკეთესო სცენარისათვის ჟიურის სპეციალური პრიზი.

1997 წელს გამოვიდა „სამოთხის გვრიტები“.

1998 წელს - „ლუკას სახარება“. ფილმმა კინოშოკზე მიიღო პრიზი საუკეთესო სცენარისათვის.

1999 წელს მართლმადიდებელ კინოფესტივალზე რუსეთის პატრიარქის ალექსეი მეორის მიერ დაწესებული პრიზი.

1999 წელს გადაიღო „მიჯაჭვული რაინდები“, რომელიც ორი პრიზით დაჯილდოვდა, ერთი საუკეთესო პროდიუსერისათვის და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის .

2003 წელს კი ბოლო ნამუშევარია ფილმი „სიყვარულის ცეცხლი“.


გოდერძი ჩოხელი გარდაიცვალა 2007 წელს, დასაფლავებულია მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში.

30 სექტემბერი მთარგმნელთა საერთაშორისო დღეა

„პროგრესის საფოსტო რაშები“ - ასე მონათლა ალექსანდრე პუშკინმა მთარგმნელების პროფესია, რომლის მნიშვნელობაც კაცობრიობის ისტორიაში ბაბილონის გოდოლის დაწერევის შემდეგ, უზარმაზარია, თუმცა - შეუმჩნეველი.

1991 წელს მთარგმნელების საერთაშორისო ფედერაციამ (FIT) 30 სექტემბერი მთარგმნელების საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. თარიღი შემთხვევით არ შერჩეულა, სწორედ ამ დღეს, 420 წლის 30 სექტემბერს, გარდაიცვალა იერონიმე სტრიდონელი, ეკლესიის ოთხი ლათინელი მამიდან ერთ-ერთი, მწერალი, ისტორიკოსი, მთარგმნელი. იერონიმე სტრიდონელი მთარგმნელების მფარველად ითვლება.

იერონიმე სტრიდონელი ბევრს მოგზაურობდა. მოგვიანებით, ის ოთხი წლით ქალკიდიკის უდაბნოში განმარტოვდა, სადაც ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა.



386 წელს იერონიმე ბეთლემში დასახლდა. სწორედ ამ ადგილას, მრავალი წლის განმავლობაში, ძველსა და ახალ აღქმას ლათინურ ენაზე თარგმნიდა. თერთმეტი საუკუნის შემდეგ მისეული ვერსია ტრიდენტის ტაძარმა აღიარა, როგორც წმინდა წიგნის (ბულგატის) ოფიციალური ლათინური ტექსტი.

ჯანსულ ჩარკვიანი

ქართველი პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი-დაიბადა 1931 წლის 30 სექტემბერს სურმუში, საქართველოს სსრ, სსრკ.

1953 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მისი პირველი

ლექსი 1947 წელს გამოქვეყნდა.

1959 წელს გამოვიდა პოეტის პირველი წიგნი „ერთი ღამის სიჩუმეში“. ასევე, გამოცემული აქვს წიგნები: „რწმენის კედელი“ (1970), „დიდი ნათელი“ (1980), „ერთტომეული“ (1981), „რჩეული პოემები“ (1983), „მე და შენ“ (1984), „არცა ვმსახურობდე სხვას!“ (1989), პუბლიცისტური წიგნი „თავისუფლება ლომთა ხვედრია“. 1991-1993 წლებში გამოიცა მისი თხზულებათა ორტომეული. პოეტის ლექსები თარგმნილია მრავალ ენაზე. 1962-63 წლებში იყო ჟურნალ „ცისკრის“ პასუხისმგებელი მდივანი, 1963-67 წლებში – ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორი, 1967-77 წლებში – ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, 1977-87 წლებში – საქართველოს მწერალთა კავშირის

მდივანი, ჟურნალ „დროშას“ მთავარი რედაქტორი. იყო მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი, საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი.

1978 წელს მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია, 1985 წელს, 1983-84 წლებში გამოქვეყნებული ლექსების ციკლისთვის მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. 1998 წელს მიიღო შალვა დადიანის ლიტერატურული პრემია. არის ღირსების ორდენის კავალერი. თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა 1996 წელს. 1995 და 1999 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი.

გარდაიცვალა 2017 წლის 6 ნოემბერს, 86 წლის ასაკში.

გრაცია დელედა

იტალიელი მწერალი, 1926 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის
დარგში გრაცია დელედა დაიბადა 1871 წლის 27 სექტემბერს.
გაიზარდა ნუოროში, იტალიაში, ბურჟუაზიულ ოჯახში. მას შემდეგ, რაც დაამთავრა დაწყებითი
სკოლა, განათლება მიიღო კერძო მასწავლებლისაგან.

მან პირველი
ნოველები გამოაქვეყნა
ჟურნალში „ლ'ულტიმა
მოდა“. იგი იმავდროულად
ბეჭდავდა პროზაულ
ნაწარმოებესა და ლექსებს.
მისი ერთ-ერთი პირველი
ნამუშევარი არის *Paesaggi
sardi* (სარდინიის მიწა),
რომელიც დაბეჭდა *Speirani-*
მ (სპირანი) 1896 წელს. 1899



წლის ოქტომბერში გრაცია შეხვდა პალმირო მადეზანის, სამხედრო მინისტრს, რომელიც შემდეგ
მისი მეუღლე გახდა. 1900 წელს მწერალი რომში მიდის. 1895 წელს იბეჭდება მისი კიდევ ერთი
ნაწარმოები *Anime oneste* (წმინდა სულები), 1900 წელს კი *Il vecchio della montagna* (მთის მოხუცი
შვილი). ამასთან ერთად იგი თანამშრომლობდა გაზეთ-ჟურნალებთან *La Sardegna* (სარდინი),
Piccola rivista (მინი ჟურნალი) და *Nuova Antologia* (ახალი ანთოლოგია). დელედას ნამუშევრებმა
დიდი ინტერესი დაიმსახურა.

1903 წელს მან დაბეჭდა *Elias Portolu* (ელიას პორტულო), რომლის შემდეგაც ის უკვე
აღიარეს მწერლად. ამის შემდეგ იგი უკვე იწყებს ნოველებისა და სასცენო ნაწარმოებების
გამოქვეყნებას: *Cenere* (ნაცარი - 1904), *L'edera* (სურო - 1908), *Sino al confine* (საზღვარზე - 1911),
Colombo e sparvieri (მტრედი და არწივი - 1912), *Canne al vento* (ლერწამი ქარში - 1913), *L'incendio
nell'oliveto* (ცეცხლი ზეითუნის კორომებში - 1918), *Il Dio dei venti* (1922). *Cenere*-ის მიხედვით
გადაიღეს ფილმი ცნობილი იტალიელი მსახიობის, ელეონორა დუზის, მონაწილოებით.
გრაცია დელედა გარდაიცვალა რომში 64 წლის ასაკში.

დელედას მთელი შემოქმედება დაფუძნებულია სიყვარულზე, ტკივილსა და სიკვდილზე. მის ნაშრომებში შეიძლება ამოვიცნოთ ჯოვანი ვერგას ვერიზმის გავლენა და გაბრიელ დ'ანუზიოს დეკადენტიზმი.

დელედას ნოველებში ასახულია ხალხის სოციალური მდგომარეობა და მათი გრძნობები.

მთავარი ნაშრომები

Fior di Sardegna (1892)

La via del male (1896)

Racconti sardi (1895)

Anime oneste (1895)

Dopo il divorzio (1902)

Elias Portolu (1903)

Genere (1904)

L'edera (1908)

Canne al vento (1913)

Marianna Sirca (1915)

La madre (1920)

La fuga in Egitto (1925)

Il sigillo d'amore (1926)

Cosima (1937)

Il cedro del Libano (1939)

კომპოზიტორი ჯორჯ გერშვინი

გენიალური ამერიკელი კომპოზიტორი ჯორჯ გერშვინი 1898 წლის 26 სექტემბერს, ბრუკლინი, ნიუ-იორკში დაიბადა. მისი ნამდვილი სახელია Jacob Gershowitz — იაკობ, ან ჯეიკობ გერშოვიც.

ჯორჯ გერშვინს ვოკალური და თეატრალური ნამუშევრების დიდი ნაწილი უფროს ძმასთან, ლირიკოს აირა გერშვინთან ერთად აქვს დაწერილი. შექმნილი აქვს ნაწარმოებები, როგორც ბროდვეისთვის, ასევე კლასიკური საკონცერტო დარბაზისთვის. იგი მრავალი ცნობილი სიმღერის ავტორია.

მის კომპოზიციათა დიდი ნაწილი გამოყენებული იყო ტელევიზიასა და კინოფილმებში, მრავალი მათგანი ჯაზის სტანდარტი



გახდა. ჯაზის მომღერალმა ელა ფიცჯერალდმა გერშვინის სიმღერათა დიდი ნაწილი მის გერშვინის სიმღერების ალბომში ჩაწერა (ნელსონ რიდლის არანჟირებით). მისი სიმღერები ჩაწერილი აქვს ასევე მრავალ სხვა განთქმული მუსიკოსს, მათ შორის :ბინგ კროსბის, ჯონ კოლტრეინს, ფრენკ სინატრას, ბილი ჰოლიდეის, მაილს დეივისს, ჰერბი ჰენკოვს, ჯუდი გარლანდს, ნინა სიმონეს, ჯონ ფეისა და სტინგს.

ტომას სტერნზ ელიოტი

1888 წლის 26 სექტემბერსდაიბადა — წარმოშობით ამერიკელი, ბრიტანელი ესეისტი, გამომცემელი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მოაზროვნე და „მეოცე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი პოეტი“. 25 წლის ასაკში, 1914 წელს, ის მშობლიური აშშ-დან დიდ ბრიტანეთში გადავიდა, დასახლდა, მუშაობა განაგრძო და იქვე დაქორწინდა. ელიოტის პოემა — „ალფრედ პრიუფროვის სიყვარულის სიმღერა“ — მოდერნისტული მიმდინარეობის შედევრად მიიჩნევა. ამ პოემას ინგლისურ ლიტერატურაში სხვა, კარგად ცნობილი, პოემები მოჰყვა: „ნარჩენთა მიწა“, (1922), „გამოფიტული კაცი“, (1925), „ოთხშაბათის ფერფლი“ (1930) და „ოთხი კვარტეტი“ (1945) ელიოტი ცნობილია თავისი შვიდი პიესითაც, უმეტესად, ლირიკული დრამით — მკვლელობა კათედრალში (1935).



მწერალს 1948 წელს ნობელის პრემია გადაეცა ლიტერატურის დარგში, „მისი, როგორც თანამედროვე პოეზიის ნოვატორის აღსანიშნავი ღვაწლისათვის“. იყო დიდი ბრიტანეთის დირსების ორდენის კავალერი. XX საუკუნის ერთ-ერთი ავტორიტეტული პიროვნება. ელიოტი იყო ღრმად მორწმუნე ქრიატიანი. ზოგიერთი თანამედროვე მას ბრალს სდებდა ანტისემიტიზმში. ელიოტი იყო ცნობილი ამერიკელი პოეტისა და ინგლისურენოვანი მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი დამაარსებლის — ეზრა ფაუნდის — თანამოაზრე. ელიოტი სწავლობდა სორბონის, ჰარვარდის და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. 1914 წ. საცხოვრებლად გადავიდა დიდ ბრიტანეთში და 1927 წ. მიიღო გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეობა. ამავე წელს გახდა ანგლიკანური ეკლესიის წევრი. 1928 წ. ელიოტმა შემდეგი დახასიათება მისცა თავის მსოფლმხედველობას: ლიტერატურაში — კლასიცისტი; პოლიტიკაში — როიალისტი; რელიგიაში — ანგლო-კათოლიკური.

ელიოტმა უზარმაზარი კვალი დატოვა ინგლისურენოვან პოეზიაში; ავტორია XX ს. უმნიშვნელოვანსი ფილოსოფიური პოემებისა (პრიუფროვის სასიყვარულო სიმღერა; იავარქმნილი მიწა; ოთხი კვარტეტი და ა.შ.). ელიოტი — რევოლუციური პოეტია; მან თანამედროვე ინგლისურენოვანი პოეზიის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

ელეიოტმა დიდი კვალი დატოვა ლიტერატურის კრიტიკაშიც. მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ახალი კრიტიკის სკოლაზე. ელიოტი იყო მრავალი ესსეს ავტორი (მათ შორის „მუსიკის პოეზია“). ელიოტი თანამედროვე ინგლისური ლიტერატურული ენის რეფორმატორია; ის იმდენად სკურპულოზურად ეკიდებოდა ამ საქმეს, რომ დღეს ბევრი კრიტიკოსი მას კრიპტო-ფაშისტატადაც კი მიიჩნევს.

დრამატურგიაში ელიოტს აგრეთვე, დიდი დამსახურება მიუძღვის. ის რამდენიმე ცნობილი პიესის ავტორია (ბედი; მკვლელობა საკათედრო ტაძარში, ოჯახის გაერთიანება; კოქტეილის წვეულება; კონფიდენციალური კლერკი და ა.შ.).

დამსახურება და საპატიო ორდენები

დიდი ბრიტანეთის ღირსების ორდენი (1948).

საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ოფიცერი (1951).

გოეთეს პრემიის ლაურეატი (1955).

დანტეს მედალის მფლობელი (1959).

ხელოვნების და ლიტერატურის ორდენი (1960).

თავისუფლების საპრეზიდენტო მედალი (1964).

13 უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (ოქსფორდის, კემბრიჯის, სორბონას, ჰარვარდის და ა.შ.)

ელიოტის გარდაცვალების შემდეგ კენტის უნივერსიტეტს კოლეჯს ეწოდა მისი სახელი.

1983 წ. მიენიჭა ტონის პრემია.

დაიბეჭდა მისი სახელობის მარკები.

პედრო ალმადოვარი

25 სექტემბერს ესპანური კინოს უდიდესი მოვლენა, დაიბადა.

პედრო ალმოდოვარ კაბალიერო (ესპ. Pedro Almodóvar Caballero; დ. 25 სექტემბერი, 1951,



კალსადა დე კალატრავა, ესპანეთი) — ესპანელი კინორეჟისორი, სცენარისტი და პროდიუსერია. 1980-იან წლებში პირველი ფილმის გადაღების შემდეგ დღემდე მას უკვე 30-მდე ფილმი აქვს დაწერილი, დადგმული და ზოგ მათგანში როლიც შეუსრულებია. მისი ფილმები აგებულია ადამიანურ ურთიერთობებზე, რომელიც ვითარდება წარმოუდგენელ

გარემოებებში, დამახასიათებელი მწვავე მელოდრამითა და განზრახ ხაზგასმული „კიჩით“.

პედრო ალმადოვარი გახლავთ კინოსამყაროს უმნიშვნელოვანესი ჯილდოების მფლობელი.

„კანის 72-ე კინოფესტივალზე, ლუმიერების დარბაზში, რომელიც რამდენიმე ათას მაყურებელს იტევს, პედრო ალმოდოვარის ფილმის პრემიერის შემდეგ ხალხი 15 წუთის განმავლობაში ფეხზე იდგა და ცრემლიანი თვალებით ტაშს უკრავდა რეჟისორს. დაბნეული, გახარებული და ასევე ცრემლიანი თვალებით ალმოდოვარი დადიოდა, ეხუტებოდა და კოცნიდა ყველას მის გარშემო. ეს სცენა ისეთივე გულის შემძვრელი იყო, როგორც თავად ფილმი.

ალმოდოვარის 8 ½, ასე იხსენიებენ მის ბოლო ფილმს „ტკივილი და დიდება“, რომელიც ავტობიოგრაფიულია და მისი ცხოვრების კრიზისულ ეტაპს ასახავს. თუ ფედერიკო ფელინის გვიდო, ფილმში 8 ½ შემოქმედებით კრიზისშია, ალმოდოვარის სალვადორი ეგზისტენციალურ ჩიხშია. ეს არის ალბათ ყველაზე სევდიანი ფილმი, რაც ოდესმე მინახავს. „ყველაზე დიდი პრობლემა რეჟისორისთვის ის არის, როდესაც დგება მომენტი, რომ არ იცი რის შესახებ გადაიღო შემდეგი ფილმი“, – ამბობს ესპანელი კინორეჟისორი და ამიტომ იღებს ფილმს საკუთარ თავზე, მარტოობაზე, სიკვდილის შიშზე, სიცოცხლის შიშზე, მის ბავშვობაზე, დედაზე და რაც მთავარია მის შემოქმედებით კრიზისზე.

ესპანელ კინორეჟისორს უკვე თითქმის ყველაფერი ჰქონდა მოყოლილი დედამისის შესახებ, მაგრამ ამ ფილმში ის კიდევ ერთხელ ბრუნდება მასთან. „შენ არ იყავი კარგი შვილი“,

ეუბნება ფილმში დედა პედროს პროტოტიპს. ერთ-ერთ ინტერვიუში, სადაც მას ეკითხებიან, რამდენად ავტობიოგრაფიულია სცენები, ის პასუხობს: „ერთი რამ შემიძლია გითხრათ, დედაჩემს არასდროს უთქვამს, რომ ცუდი შვილი ვიყავი, მაგრამ ამის განცდა მე თვითონ მაქვს“. სწორედ ყველაზე მოსიყვარულე შვილებს მშობლის სიკვდილის შემდეგ უჩნდებათ შეგრძნება, რომ კიდევ უფრო მეტი სიყვარული ვერ მისცეს მათ.

მელანქოლია ალმოდოვარის ფილმების თანამდევია, მაგრამ ის ყოველთვის შეზავებული იყო იუმორთან, ამიტომ მისი ფილმების ყურებისას რამდენი ცრემლიც მოგადგებოდათ თვალზე, ორ იმდენს იცინებდით. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია იმიტომ არის ტრაგიკულობამდე სევდიანი, რომ აღარ ჩანს ალმოდოვარისეული იუმორი. ნახავთ ფილმს და რამდენიმე დღე ივლით გულჩათხრობილი, რადგან აქ არა მხოლოდ შემოქმედებითი კრიზისია, არამედ ადამიანური. ადამიანი, რომელიც მიუხედავად წარსული თუ დღევანდელი დიდებისა, ვეღარ დასცინის საკუთარ ტკივილებს, მარტოობას და შიშებს.“

ნინია კაკაბაძე

უილიამ ფოლკნერი

უილიამ ფოლკნერი - ამერიკული ლიტერატურის სიამაყე, ნობელის პრემიის ლაურეატი, მაღალი მოდერნიზმის დიდოსტატი, რომელიც წერდა მოთხრობებს, ფილმის სცენარებს, ლექსებს, ესეებს, პიესებს და ყველაზე მეტად იოკნაპატოფას ოლქის შესახებ შექმნილი რომანებითაა ცნობილი, 1897 წლის 25 სექტემბერს, ნიუ-ოლბანიში, მისისიპის შტატში დაიბადა.

უილიამი უნივერსიტეტის საქმეთა მმართველის - მარი ჩარლზ ფოლკნერისა და მოდ ბატლერ ფოლკნერის პირველი შვილი იყო. მომავალ მწერალს სამი ძმა და სახელოვანი წინაპარი, ასევე - უილიამ (კლარკ) ფოლკნერი ჰყავდა, რომელიც სამოქალაქო ომში, სამხრეთის ჯარების რიგებში იბრძოდა და პოპულარული იყო რომანით - „მემფისის თეთრი ვარდი“.

ამ კაცმა მომავალი მწერლის ცხოვრებაში, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დიდი როლი შეასრულა. სამოქალაქო ომის გმირი, „მველი პოლკოვნიკი“, როგორც ოჯახში უწოდებდნენ, ხშირად ჰყვებოდა სამოქალაქო ომის ამბებს, რამაც შემდგომში ფოლკნერზე განსაკუთრებული კვალი დატოვა. როგორც მწერლის ბიოგრაფები აღნიშნავენ, „ოჯახის ღმერთი“ ფოლკნერის მწერლობაში უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდა.

როდესაც უილიამი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ოჯახი საცხოვრებლად ოქსფორდში, მისისიპის შტატში გადავიდა და შემდეგ, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრება ამ ქალაქში გაატარეს. დედამისი - მოდი, ბებია - ლელია ბატლერი და ბავშვის გადია - კაროლინა, ანუ კალი ბარი, ის ქალები იყვნენ, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს, რომ უილიამისთვის წარმოსახვა განევითარებინათ. მოგეხსენებათ, ეს ფოლკნერის უძლიერესი მხარეა.

დედაც და ბებიაც კარგი მკითხველები, ბრწყინვალე მხატვრები და ფოტოგრაფიით გატაცებული ადამიანები იყვნენ. ასე რომ, ახალგაზრდა ფოლკნერს ვიზუალური არტისტიზმი, ვიზუალური ენა სწორედ მათ განუვითარეს. სკოლაში გაგზავნამდე დედამ წერა-კითხვაც ასწავლა და ისეთი მწერლები შეაყვარა, როგორებიც იყვნენ: ჩარლზ დიკენსი, ძმები გრიმები... მომავალი მწერალი სკოლაში კარგად მომზადებული წავიდა, პირველ წლებში კარგადაც სწავლობდა, თუმცა ეტაპობრივად „აურია“ და საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ საშუალო სკოლა არ დაუსრულება.

მიუხედავად ამისა, მთელი ცხოვრების განმავლობაში ფოლკნერი განსაკუთრებულ, არაფორმალურ განათლებას იღებდა, მათ შორის კალი ბარისაგან, მისი ფერადკანიანი გადიისაგან, რომელმაც ასევე დიდი გავლენა მოახდინა მასზე. ეს ქალი შეგვიძლია იოლად ამოვიცნოთ დილსის - ყველაზე კეთილი და ადამიანური პერსონაჟის სახეში, რომელიც არა

მხოლოდ რომან „ხმაურსა და მძვინვარებაში“, არამედ ფოლკნერის სხვა ნაწარმოებებშიც გვხვდება.

საერთო ჯამში ბავშვობა საოცრად საინტერესო გარემოში გაატარა, მუდმივად ესმოდა ამბები ოჯახზე, ფოლკნერების ისტორიაზე, სამოქალაქო ომზე, მონობაზე, კუ-კლუქს-კლანზე, რაც, მომავალში აისახა კიდევ მის შემოქმედებაზე.

უილიამ ფოლკნერის ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი 17 წლის ასაკში დადგა, როდესაც მან ფილიპ სტოუნი გაიცნო. ლიტერატურით გატაცებულმა სტოუნმა, რომელიც თავადაც წერდა, ფოლკნერსაც მწერლობისკენ უბიძგა. (სხვათა შორის, ამ პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტი არ იყო, ფოლკნერი ხშირად ესწრებოდა ლექციებს. შემდეგში იგი უნივერსიტეტის „სიგმა-ალფა-ეფსილონის“ სამმოს შეუერთდა, რამაც მწერლობაზე ოცნებები გაუძლიერა).

როგორც გითხარით, სტოუნი ლიტერატურით იყო გატაცებული, ის ფოლკნერის ერთგვარ მენტორად იქცა და არაერთი მწერლის შემოქმედებასაც აზიარა, მათ შორის იყო ჯეიმზ ჯონსიც. მოგეხსენებათ, მომავალში, ჯონისმა ფოლკნერის მწერლობაზე დიდი გავლენა იქონია. XX საუკუნის 20-იან წლებში ფოლკნერი პოემებსა და მოკლე მოთხოვნებს წერდა, სტოუნი კი მის ნაშრომებს გამომცემლობებს უგზავნიდა. ფოლკნერის არცერთი ნაწარმოები დასაბეჭდად არ მიუღიათ.

უცნაური ამბავი მოხდა ფოლკნერის ცხოვრებაში 1918 წელს - მან გვარი, უფრო სწორად კი გვარის დაწერილობა შეიცვალა. მანამდე ბაბუის გვარი იწერებოდა, როგორც - Falkner; როგორც ამბობენ, მწერლის გვარის მითითებისას ასოთამწყობმა Falkner-ის ნაცვლად, Faulkner აკრიფა. ხოლო როდესაც უილიამისთვის უკითხავთ, შეეცვალათ თუ არა გვარის დაწერილობა, მას უპასუხია, რომ მისთვის ორივე ფორმა მისაღები იყო.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ფოლკნერის ცხოვრების კიდევ ერთი გარდამტეხი მოვლენა - ესტელ ოლდჰემი, მწერლის ბავშვობის მეგობარი, რომელიც უილიამს პატარაობიდანვე უყვარდა, სხვა კაცს - „წარმატებულსა და უმაღლესდამთავრებულს“ მიჰყება ცოლად. ამ ფაქტით გულდაწყვეტილი ფოლკნერი პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობასა და ფრონტზე წასვლას გადაწყვეტს. ამ ამბავშიც ხელი ეცარება - სიმაღლის გამო იწუნებენ... იმედგაცრუებული, კანადის სამეფო სამხედრო საპატიო ძალებში ეწერება მოხალისედ და ბრიტანეთის არმიის საფრენოსნო სკოლაში შედის. თუმცა მოსამზადებელი კურსის გავლამდე პირველი მსოფლიო ომი სრულდება.

სულ მალე, 1919 წელს ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატის ლიტერატურული დებიუტიც შედგა - ერთ-ერთ ჟურნალში მისი ლექსი „ფავნის ნაშუადღევი“ გამოქვეყნდა. მოგეხსენებათ,

სტეფან მალარმეს აქვს ლექსი - „ფავნუსის ნაშუადღევის დასვენება“. ფოლკნერის ლექსიც სწორედ ამ ნაწარმოების რემისცენციაა. საგულისხმოა, რომ ფავნის სახეს ფოლკნერი კარგა ხანს არ შორდებოდა, რადგან მისი ლექსების კრებულს, ავტორის პირველ წიგნს, რომელიც 1924 წელს გამოიცა, „მარმარილოს ფავნი“ ერქვა.

მომდევნო წელს, ერთ ისტორიულ დღეს, ნიუ-ორლეანში, ფოლკნერი მწერალ შერვუდ ანდერსონს გაიცნობს. სწორედ ანდერსონმა უბიძგა, რომ პოეზიას „შეშვებოდა“ და მეტი დრო პროზისთვის დაეთმო, ეწერა იმაზე, რაც ყველაზე უკეთ იცოდა: ამერიკის სამხრეთზე, იქაურ პრობლემებზე, სამხრეთელ ადამიანებზე, სამოქალაქო ომზე, ძველ გვარებზე, არისტოკრატიის დაცემაზე და ა.შ. ამისთვის კი რაიმე ადგილი შეერჩია, ისეთი პატარა, როგორც საფოსტო მარკაა.

ფოლკნერის შემოქმედებაში, ასეთ, საფოსტო მარკასავით პატარა მიწად, იოკნაპატოფა იქცა - გამოგონილი ოლქი, სადაც ვითარდება კიდევ მწერლის ნაწარმოებების უმეტესობის მოქმედება.

იოკნაპატოფა მისისიპის შტატის ლაფაიეტის ოლქს ეფუძნება, სადაც მწერალმა ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა. თავად სახელი ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენის ორი სიტყვისგან - იოკონა და პატოფა მოდის. ვირჯინიის უნივერსიტეტში გამოსვლისას ფოლკნერმა ეს სახელი თარგმნა, როგორც - „წყალი ნელა მიედინება ვაკეზე“. სწორედ აქ მოათავსა ფოლკნერმა თავისი პერსონაჟები, შექმნა მთელი საგა, ამერიკის სამხრეთის ისტორია, რომელშიც, ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი 1861-1865 წლების სამოქალაქო ომმა დაიკავა, რომელშიც სამხრეთელები სასტიკად დამარცხდნენ.

ამ საგის პირველი ნაწარმოები „სარტორისი“ იყო. რომანი სრულად მხოლოდ 1973 წელს გამოქვეყნდა, სათაურით - „დროშები მტვერში“.

1929 წელს ფოლკნერმა ამ საგის და ზოგადად, მთელი მისი შემოქმედების მთავარი ნაწარმოები - „ხმაური და მძვინვარება“ გამოაქვეყნა; ამავდროულად, დაქორწინდა ესტელ ოლდჰემზე, ქალზე, რომელმაც თავის დროზე სხვა კაცი არჩია. იქიდან გამომდინარე, რომ ფოლკნერის ნაწარმოებები დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა, ოჯახის შესანახად მან Metro Goldwyn Mayer-თან გააფორმა ხელშეკრულება და კვირაში 500 დოლარად, ფილმებისთვის წერდა სცენარებს. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო მისი ტალანტის შესაბამისი საქმიანობა, კაფუასა და ბარათაშვილის მსგავსად, საქმეს მთელი გულმოდგინებით ასრულებდა. ამ პოზიციაზე 15 წლის განმავლობაში მუშაობდა, თუმცა, ბოლოს და ბოლოს, როდესაც ნობელის პრემია მიიღო, მსოფლიო სახელი მოიხვეჭა და ევროპის შემდეგ, ახლა უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გახდა პოპულარული, ჰოლივუდს გამოეთხოვა. ორჯერ მიიღო პულიცერის პრემია, აღიარეს XX საუკუნის ყველაზე დიდ ამერიკელ მწერლად, „ხმაური და

მძვინვარება“ კი XX საუკუნის ინგლისურენოვანი ლიტერატურის სიაში მექანიზმები ნომრად შევიდა. ამ სიაში მოხვდა მისი სხვა ნაწარმოებებიც: „სული რომ ამომდიოდა“, „აგვისტოს ნათელი“, „აბესალომ, აბესალომ!“ (არ მახსოვს, რომ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ჩატარებულიყოს გამოკითხვა, სადაც XX საუკუნის 100 საუკეთესო წიგნში „ხმაური და მძვინვარება“ არ მოხვედრილიყო).

მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი მწერალი, კაცი რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ ადამიანი არათუ გადარჩება, არამედ გაიმარჯვებს კიდეც, 1962 წელს, გულის შეტევით გარდაიცვალა.

„ხმაური და მძვინვარება“

იმის მიუხედავად, რომ „ხმაური და მძვინვარება“ დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რომანია, პირველ ეტაპზე მას პრაქტიკულად არანაირი კომერციული წარმატება არ მოჰყოლია, რადგან კრიტიკოსებისგან განსხვავებით, მკითხველებს ნაწარმოები არ მოეწონათ.

რომანი, რომელიც მრავალი ტექნიკით, მათ შორის ცნობიერების ნაკადის გამოყენებით არის დაწერილი და მოდერნიზმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, მეტნაკლებად ცნობილი მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახდა, როდესაც 1931 წელს ფოლკნერმა მექანიზმები - „ტაძარი“ გამოაქვეყნა. ნაწარმოები, რომელშიც ქალიშვილის მოტაცების სენსაციური ისტორია, ბოროტების მთელი სიღრმე, ბუტლეგერობა, მკვლელობა, გაუპატიურება და ა.შ. გხვდება, დაწერილია მოკლე წინადადებებით, ფოლკნერის საფირმო ნიშნის - შეყოვნებული აზრის გარეშე. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მკითხველი, რომელსაც „ტაძარი“ მოეწონა, ავტორის სხვა ნაწარმოებებით, შესაბამისად, ფოლკნერის მთავარი წიგნითაც დაინტერესდა.

რომანის მოქმედება - ჯეფერსონში, იოკნაპატოფას ოლქის დედაქალაქში ვითარდება, ხოლო სიუჟეტური ხაზი გვიყვება იმის შესახებ, თუ როგორ დაეცა და ჩაქრა ამერიკის სამხრეთის ერთ-ერთი არისტოკრატიული ოჯახი - კომპსონების გვარი.

ზოგადად, ოჯახის დაცემის თემა XX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. ამ თემასთან დაკავშირებით „ბუდენბროკების“ გახსენებაც შეიძლება, მაგრამ, ფოლკნერთან ეს ამბავი სრულიად განსაკუთრებულად არის წარმოდგენილი.

რომანში მოქმედება თითქმის 30 წლის განმავლობაში მიმდინარეობს. აღწერილია მოვლენები, რომლებიც მოხდა 1910 და 1928 წლებში. ამავდროულად, ვხვდებით 1910 წლამდე მომხდარ ამბებსაც. კომპსონების ოჯახი შეეჯახა ფინანსურ კატასტროფას, რის შედეგადაც დაკარგეს წლობით გამყარებული პატივისცემა, ხოლო ოჯახის წევრების უმეტესობამ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

რომანი 4 ნაწილისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს მსგავსი ეპიზოდების სიმრავლით, სხვადასხვა პერსონაჟის - სხვადასხვა თვალთახედვით დანახული ერთი და იმავე ეპიზოდით უკავშირდება, სადაც სხვადასხვა აქცენტები ისმება. სიუჟეტის ეს გადაწნულობა, სტრუქტურის არახაზოვანება, დროის ცვალებადობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მკითხველს, რომ საერთოდ ვერ გაერკვეს ამ წიგნში.

ამას ემატება ისიც, რომ, ე.წ. ფლეშბექებისთვის ფოლკნერმა - კურსივი, ანუ დახრილი შრიფტი გამოიყენა. სხვათა შორის, თავდაპირველად ავტორს უცნაური, ლიტერატურაში მანამდე გაუგონარი ამბავი ჰქონდა განზრახული. სურდა, რომ სხვადასხვა პერსონაჟის მიერ გადმოცემული ამბავი განსხვავებული ფერის საღებავით ყოფილიყო წიგნში. რა თქმა უნდა, ამას გამომცემელი არ დასთანხმდა.

ყველაფერთან ერთად კი, ცალკე ამბავია ის, რომ ამ წიგნის მოკლე შინაარსის გადმოცემა აბსოლუტურად შეუძლებელია, თუ არ გჯერათ, სცადეთ...

რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომლისგანაც ფოლკნერია დავალებული. უკვე ვახსენეთ ჯეიმზ ჯონის, ცნობიერების ნაკადთან დაკავშირებით შეგვიძლია ვახსენოთ ვირჯინია ვულფი, მაგრამ შეუძლებელია არ დავინახოთ ის, ე.წ. პოლიფონიურობა, რომელიც ასე ახასიათებდა დოსტოევსკის რომანებს და „ხმაურისა და მძვინვარების“ მსგავსება „მემებ კარამაზოვებთან“ - არა მხოლოდ სიუჟეტურად, არამედ იმითაც, რომ ორივეგან ოჯახის ამბებია მოთხოვნილი, რომ მამა სვამს, რომ ერთ-ერთი შვილი ფაქტობრივად გაგიჟდება და ა.შ.

მსგავსებით, ფოლკნერი ბალზაკსაც ჰქონდა კავშირის მისამართის, იმიტომ, რომ, ე.წ. გამჭოლი პერსონაჟები მასთანაც გვხვდება. მაგალითად, ამ რომანში კვენტინი მოკვდება, „აბესალომ, აბესალომში“ კი გაცოცხლდება და ფაქტობრივად, ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი გახდება.

მიუხედავად ამისა, როდესაც მსგავსებებზე ვსაუბრობთ, რეალურად ეს არაფერს ნიშნავს, ფოლკნერი სულ სხვაა, რადგან სრულიად წარმოუდგენელია შინაგანად ასეთი ორიგინალური და გამორჩეული მწერალი.

როგორც უკვე ვთქვით, ნაწარმოები 4 ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში გვხვდება ბენჯამენ კომპსონის, 33 წლის კაცის ნაამბობი, რომელსაც ფსიქიკური პრობლემები აქვს და დროზე მეტად სივრცეში ორიენტირებს. იმის მიხედვით, თუ რომელი მომვლელი ახლავს ბენჯის, შეგვიძლია გავიგოთ, თუ რა დროს ხდება მოქმედება.

მეორე ნაწილი ბენჯის უფროს ძმას, კვენტინ კომპსონს ეძღვნება, ჰარვარდის სტუდენტს, რომელმაც თავი მოიკლა. ეს ნაწილი ისეა დაწერილი, ფოლკნერს ამის გარდა სხვა რომ არაფერი შეექმნა, მაინც ამერიკის ნომერ პირველი მწერალი იქნებოდა.

ავტორი ასეთი მაღალი დონით არ დაკმაყოფილდა და მესამე ნაწილი ცინიკური კაცის, უმცროსი ჯეისონის პირით გვიამბო. მეოთხე ნაწილში მოულოდნელად შემოიყვანა ობიექტური ავტორი - დამკვირვებელი - დილსი, კომპსონების ფერედკანიანი მსახური, რომლის რეალური პროტოტიპი მწერლის გადია იყო. ამ ნაწილში ავტორი სწორედ დილსის, მაღალი ზნეობის უკეთილშობილესი ადამიანის თვალით დანახულ კომპსონებს გვიხატავს.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ რომანში სულ ორი ნათელი წერტილია: დილსი და კედი კომპსონი. 1945 წელს ფოლკნერმა რომანის ერთგვარი დანართიც დაწერა, კომპსონების ოჯახის ოცდაათგვერდიანი ქრონიკა - 1699-დან 1945 წლამდე, რომელიც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს რომანის ნაწილად ან მის კომენტარად, მაგრამ ვისაც „ხმაური და მძვინვარება“ წაუკითხავს, ამ დანართის წაკითხვასაც ვურჩევთ.

დასასრულ, შევეხოთ დასაწყისს, სათაური - „ხმაური და მძვინვარება“ შექსპირიდან მოდის. როდესაც განათლებული ინგლისურენოვანი მკითხველი ამ წიგნს იღებს ხელში, მან შესანიშნავად იცის, რომ „ხმაური და მძვინვარება“ „მაკბეტში“ გხვდება, სადაც ვკითხულობთ, რომ ცხოვრება იდიოტის მოთხრობილი ზღაპარია, რომელიც სავსეა ხმაურითა და მძვინვარებით, მაგრამ აზრი არა აქვს.


ეს სერიოზული განაცხადია, რადგან ფოლკნერის რომანი სწორედ სულიერად თუ გონებრივად აშლილი ადამიანის ტექსტით იწყება! თხრობის მანერა სავსეა ხმაურით, მძვინვარებით, მაგრამ მასში თითქოს არ დევს შინაარსი.

ფაქტია, ფოლკნერმა ისე დაწერა რომანი, რამდენჯერმე თუ არ წავიკითხეთ, მისი შინაარსი არ გაგვეხსნება.

რომ შევაჯამოთ, „ხმაური და მძვინვარება“ XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტია, ვინაიდან თავად ეს საუკუნეც სავსე აღმოჩნდა აბსურდით, უშინაარსო ხმაურით, მძვინვარებითა და სიკვდილით. თავად ფოლკნერიც ხშირად უსვამდა ხაზს, რომ ცხოვრებისგან განსხვავებით, ლიტერატურა სრულყოფილია, მას შინაარსი აქვს.

აი, ჩვენ წინაშეა სრულყოფილი რომანი, რომანთა რომანი, რომლის დაწერის შემდეგ ფოლკნერს თავისუფლად შეეძლო კალმის გვერდით გადადება, რადგან ამ სიდიადის მან ვეღარაფერი შექმნა, ან რა გასაკვირია!

ლევან ბერძენიშვილი



სკოტ ფიცჯერალდი

სკოტ ფიცჯერალდი 1896 წლის 24 სექტემბერს სენტ პოლში, მინესოტას შტატში,



საშუალო ფენის ირლანდიურ-კათოლიკურ ოჯახში დაიბადა. ფიცჯერალდს სახელი მისი ცნობილი ბიძაშვილის, ფრენსის სკოტ კეის პატივსაცემად დაარქვეს. მისი სახელი მისი დის, ლუის სკოტის პატივსაცემადაც დაარქვეს, რომელიც მის დაბადებამდე გარდაიცვალა. 1898-1901 წლები მან სირაკუსში გაატარა, ხოლო 1903-1908 წლები ბაფალოში, ნიუ იორკში, სადაც იგი ნარდინის აკადემიაში სწავლობდა. როცა მისი მამა “პროქტერ ენდ გემბელიდან” გამოაგდეს, ოჯახი მინესოტაში დაბრუნდა, სადაც



ფიცჯერალდი სენტ-პოლის აკადემიაში ჩაირიცხა, სადაც იგი 1908-1911 წლებში სწავლობდა. მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები – დეტექტიური მოთხოვბა – სკოლის გაზეთში გამოქვეყნდა, როცა 12 წლის იყო. 16 წლის ასაკში სკოტი სენტ-პოლის აკადემიიდან გამოაგდეს ცუდად სწავლის გამო. ნიუ ჯერსიში. 1911-1912 წლებში მან პრინსტონის უნივერსიტეტში ჩააბარა 1917-იანების კლასში. იგი იქ მომავალ კრიტიკოსსა და მწერალ ედმუნდ უილსონსა და ჯონ პილ ბიშოპს დაუმეგობრდა და პრინსტონის თეატრის კლუბისთვის დაიწყო წერა. ამან ხელი შუწყო მის მიღებას ჩარლზ სკრიბნერის საგამომცემლო სახლში, სადაც ფიცჯერალდი რედაქტორს მოეწონა, მაგრამ წიგნის გამოშვებაზე უარი უთხრა. ცუდმა მოსწავლე ფიცჯერალდმა დატოვა პრინსტონი და ამერიკის ჯარს შეუერთდა I მსოფლიო ომისთვის. ფიცჯერალდის ჯარში წაყვანის შემდეგ ომი მაღევე დამთავრდა. 1917 წელს ამერიკის ჯარში იგი კვლავ მოხალისედ ჩაეწერა. 1918 წელს ალაბამში ყოფნისას გაიცნო ზელდა სეირი. 1919 წელს წამოვიდა ჯარიდან და დაიწყო მუშაობა ნიუ-იორკის სარეკლამო სააგენტოში. 1920 წელს დაქორწინდა ზელდა სეირზე. 1920 წელს გამოიცა მისი ორი რომანი “სამოთხის ეს მხარე” და ”გარყვნილები და ფილისოფოსები”. 1922


წელს ბესტსელერი გახდა „მშვენიერნი მაგრამ განწირულნი“ და „ჯაზის საუკუნის ზღაპრები“. 1924 წელს მიემგზავრება პარიზში ოჯახთან ერთად. პარიზში 1930 წლამდე ცხოვრობდნენ. 1925 წელს მან დაწერა თავისი ყველაზე უკვდავი ქმნილება დიდი გეტსბი“. 1934 წელს ფიცჯერალდმა დაასრულა რომანი „ნაზია ლამე“. 1940 წელს სკოტ ფიცჯერალდი გარდაიცვალა გულის შეტევით.

იკითხეთ ჩვენთან სკოტ ფიცჯერალდის ნაწარმოებები როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

საჯარო ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილების უფროსი ქეთევან ხოსრუაშვილი

რეი ჩარლზი

23 სექტემბერი ლეგენდარული მუსიკოსის -რეი ჩარლზი (Ray Charles Robinson) დაბადების დღეა. რეი ჩარლზი გახლავთ ამერიკელი მუსიკოსი, კომპოზიტორი, სიმღერების



ავტორი, რომელმაც დასაბამი მისცა რითმენდ-ბლუზის მიმდინარეობას. შემოიტანა სოულის ხმოვანება ქანთრიში, პოპ სტანდარტებში. ფრენკ სინატრამ მას უწოდა "ერთადერთი ნამდვილი გენიოსი ამ ბიზნესში", ხოლო ჟურნალმა "Rolling Stone" რეი ჩარლზს სიაში "უკვდავები: ყველა დროის 100 უდიდესი შემსრულებელი" (The Immortals: 100 Greatest Artists of All Time) მე-10 ადგილი მიუჩინა.

დაიბადა ჯორჯის შტატის პატარა ქალაქ ოლბანში. დედა არეტა რობინსონი, მამა ბეილი რობინსონი. რეის ოჯახი იყო ძალიან ღარიბი, როგორც თვითონ ამბობდა ისინი სხვა ზანგებს შორისაც კი ყველაზე დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, ყველას დაბლიდან უყურებდნენ და მათ ქვემოთ მხოლოდ მიწა იყო. როდესაც რეი რამდენიმე თვის იყო მისი ოჯახი გრინვილის დასახლებაში, სამხრეთ ფლორიდაში გადავიდა საცხოვრებლად. რეის მამა არ თამაშობდა მის ცხოვრებაში დიდ როლს, ხოლო შემდეგ მან საერთოდ დატოვა ოჯახი. როდესაც რეი ხუთი წლის იყო მისი ძმა ქუჩაში მდგარ ტაშტში ჩავარდა, ამის მომსწრე რეი ცდილობდა ძმის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ, ჯორჯი მისთვის საკმაოდ მძიმე იყო. ჯორჯი დაიხრჩო, ხოლო რეი გადატანილი სტრესის გამო თანდათან კარგავდა მხედველობას, ხოლო შვიდი წლის ასაკში საერთოდ დაბრმავდა. დაბრმავების მიზეზი უცნობი დარჩა, მაგრამ არსებობს დოკუმენტები, რომ გამომწვევი მიზეზი გლაუკომა იყო.

პირველად მისი მუსიკალური ტალანტი სამი წლის ასაკში გამოვლინდა. მასზე აფთიაქის მეპატრონემ იმოქმედა, რომელიც პიანინოზე უკრავდა. ამ უკანასკნელმა ასწავლა პირველი სამი ნოტი რეის. შემდგომ ჩააბარა ბრმებისა და ყრუებისათვის განკუთვნილ სკოლაში, სენტ-აუგუსტინეში, შტატი ფლორიდა. აქ რეიმ შეისწავლა ბრაილის ანბანი და რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, ესენია _ პიანინო, ორგანი, საქსოფონი, ტრომბონი და კლარინეტი. სკოლაში გამოვლინდა რეის მუსიკალური ტალანტი, იგი მღეროდა ბაპტისტურ გუნდში. 1945 წელს დაეღუპა დედა, ორი წლის შემდეგ კი მამა.

სკოლის დამთავრების შემდეგ რეი მონაწილეობდა ბევრ მუსიკალურ პროექტში, ძირითადად ჯაზის და ქანთრის სტილში. თავის შემოქმედებაში კრებდა ცნობილი ჯაზმენების შთაგონებას, როგორებიცაა – ქაუნთ ბეისი, არტ თეითუმი და ართი შოუ. პირველი ჯგუფი რომელშიც იგი მოღვაწეობდა ეწოდებოდა The Florida Playboys. 1947 წელს, როდესაც 600 დოლარი მოაგროვა, გაემგზავრა სიეტლში. აქ გიტარისტ გოსადი მაკისთან ერთად დაარსა ჯგუფი MacSon Trio (ხშირად Maxim-ს უწოდებდნენ). მალე მათ სიმღერების ჩაწერა დაიწყეს Swingtime Records-თან ერთად. პირველი სამი ჩანაწერი იყო Guitar Blues, Walkin' and Talkin' და Wonderin' and Wonderin'. იგი თანამშრომლობდა ცნობილ R&B შემსრულებელ ლოუელ ფულსონთან და მის ჯგუფთან, აკომპანიას უწევდა პიანინოთი. 1949 წელს გამოვიდა მისი ჰიტი Confession Blues. რეის შემდეგი პოპულარული სიმღერა იყო Baby, Let Me Hold Your Hand (1951). ამის შემდეგ, 1952 წელს გადადის Atlantic records-ში, როცა უკვე მიხვდა რომ Swingtime Records-ში ყოფნით ვერ მიაღწევდა სასურველ შემოქმედებით თავისუფლებას. მან სახელი შეიმოკლა და დაირქვა უბრალოდ რეი ჩარლზი, რადგან ბოქსიორ რეი რობინსონში არ არეოდათ (Ray Sugar Robinson). 1951 წლის 31 ივლისს დაქორწინდა ეილემ უილიამზე, ერთი წლის შემდეგ მათი ოჯახი დაინგრა. აღსანიშნავია რომ რეის 12 შვილი ჰყავდა და მხოლოდ 3 ოფიციალურად, ცოლებისაგან. 1955 წელს რეი ხელმეორედ დაქორწინდა, დელ ბეატრის რობინსონზე, რომელთანაც ეყოლა ჰოვარდი. მათი ოჯახი 1977 წელს დაინგრა.

1953 წელს გამოვიდა რეის ერთ-ერთი სინგლი Mess Around. ამავე წელს მან არანჟირება და აკომპანირება გაუწია ცნობილ ბლუზმენ გიტარ სლიმს (Guitar Slim), კომპოზიცია The Things That I Used To Do, რომელიც მათ ჩაწერეს, გაიყიდა მილიონზე მეტი ტირაჟით. ასეთივე წარმატებული იყო მისი სინგლი It Should Have Been Me, რომელიც მთლიანად მას ეკუთვნოდა. შემდეგი მწვერვალი რეიმ 1955 წელს დაიპყრო, როდესაც სინგლი I Got a Woman გამოვიდა. ამ უკანასკნელმა სიმღერამ პირველი ადგილი დაიკავა R&B ჩარტებში. სწორედ ეს სიმღერა უფრო ხშირად მოიხსენიება როგორც პირველი კომპოზიცია სოულის სტილში. ამ დროს რეის რეპერტუარი სანახევროდ გოსპელს წარმოადგენდა ტექსტის მიხედვით, ხოლო ნახევარი ბლუზს. საკუთარი შემოქმედებით ახერხებდა რომ R&B და გოსპელი გამხდარიყო პოპულარული ფართო საზოგადოებისთვის, იზიდავდა ახალ მსმენელებს – როგორც შავკანიანებს, ასევე თეთრკანიანებს. რეი ერთ-ერთი პირველი იყო იმ მუსიკოსებს შორის, რომლებიც ტრადიციულ შავ მუსიკას ავრცელებდა ხალხის მასებში. რეი ჩარლზი გახლავთ მრავალი მუსიკალური ჯილდოს მფლობელი და მისი ცხოვრების შესახებ ჰოლივუდმა მხატვრული ფილმიც კი გადაიღო.

ვერიკო ანჯაფარიძის იუბილე

გენიალური ქართველი მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე 1900 წლის 23 სექტემბერს ქუთაისში დაიბადა.

ვერიკო ანჯაფარიძის ოჯახი ქუთაისის ინტელიგენციას ეკუთვნოდა. მსახიობის ბაბუა გრიგოლ ანჯაფარიძე ცნობილი იურისტი იყო, მამა-ივლიანე ანჯაფარიძე კი-ნოტარიუსი. მსახიობის მამიდა ლიდია გრიგოლის ასული ანჯაფარიძე გათხოვილი იყო რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორ გიორგი ქორქაშვილზე, მეორე მამიდა მარიამ გრიგოლის ასული ანჯაფარიძე კი-აზნაურ გიორგი გეგელიაზე. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვერიკო ანჯაფარიძე სწავლობდა მოსკოვში - ს. აიდაროვისა (1916-1917) და თბილისში - გ. ჯაბადარის (1918-1920) დრამატულ სტუდიებში. 1920-1926 წლებში იყო თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის, 1926-1928 - ბათუმის თეატრისა და თბილისის „მუშათა თეატრის“, 1928-1932 - ქუთაისი-ბათუმის აკადემიური დრამის (ხელმძღვანელი კოტე მარჯანიშვილი) მსახიობი. 1932-1933 მუშაობდა მოსკოვის „რეალისტურ თეატრში“, სადაც მ. გორკის „დედაში“ სოფიას როლი შეასრულა . 1933 წელს თბილისში დაბრუნდა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სიცოცხლის ბოლომდე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. 1957-1959 წლებში იყო ამ თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

ანჯაფარიძე ძირითადად იყო ტრაგიკულ-დრამატული პლანის მსახიობი, თუმცა არაჩვეულებრივი სილალით განასახიერა მირანდოლინა კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისში“. იყო მკაფიო ინდივიდუალობის მსახიობი, ჰქონდა თანადროულობის მკაფიო



შეგრძნების უნარი, გამოირჩეოდა მეტყველი საშუალებების სიუხვით. ანჯაფარიძის მიერ შექმნილ ტრაგიკულ და დრამატულ სახეებს ახასიათებდა მაღალი პათეტიკურობა, უდიდესი ლირიზმი, უშუალობა, სცენური ნახაზის მკაფიობა.

ანჯაფარიძესთვის დამახასიათებელი იყო საოცარი სცენური მომხიბვლელობა, კულტურა, მგზნებარება, გულწრფელობა, მეტყველების მელოდიურობა, მაღალი პროფესიონალიზმი, გემოვნება, ღრმა ინტელექტი, ვირტუოზული ტექნიკა. ანჯაფარიძის შემოქმედებაში განვითარება ჰპოვა ქართული თეატრის რეალისტურმა და რომანტიკულმა ტრადიციებმა. ანჯაფარიძის სახელთან არის დაკავშირებული კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მრავალი დადგმა.

ამ თეატრში მუშაობის 60 წლის მანძილზე ანჯაფარიძემ განსაკუთრებული სცენური სახეების მთელი გალერეა შექმნა. მათ შორის: ოფელია (უ. შექსპირის „ჰამლეტი (პიესა)“), ივდითი (კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“), დეზდემონა (უ. შექსპირის „ოტელო“), ლიზი (ნ. შიუკაშვილის „სულელი“), გინატრე (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“), მარგარიტა (ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“), ცაბუ (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“), აიშე (ი. ვაკელის „შური“), ლარისა (ა. ოსტროვსკის „უმზითვო“), ჯავარა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), მაყვალა (ა. ყაზბეგის „მოძღვარი“), კლეოპატრა (უ. შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“), დარეჯანი (ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, სსრკ სახელმწიფო პრემია, 1952), გრაფინია (პ. ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“), შეპმენე ბანუ (ნ. ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“), მარიამ სტიუარტი (ფ. შილერის „მარიამ სტიუარტი“), მედეა (ევრიპიდეს „მედეა“), ბებია (ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“), ზეინაბი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ფრუ ალვინგი (ჰ. იბსენის „მოჩვენებანი“), ფატი გურიელი (ა. ჩხაიძის „შთამომავლობა“), ნენი (პ. ზინდელის „გვირილა“), ლედი მაკეთი (უ. შექსპირის „მაკეთი“), დედოფალი (მ. მრევლიშვილის „წამება დედოფლისა“), მისის ჰიგინზი (ბ. შოუს „პიგმალიონი“) და სხვა.

კინოში იღებდნენ 1925 წლიდან. შექმნა განუმეორებელი ეკრანული სახეები: მარო („საბა“, 1929), ლუიზა („კომუნარის ჩიბუხი“, 1929), კნეინა ბარათაშვილისა („არსენა“, 1937), რუსუდანი („გიორგი სააკაძე“, სსრკ სახელმწიფო პრემია 1943, 1946), ჰანსის დედა („ბერლინის დაცემა“, 1949), დაფინა („სკანდერბეგი“, 1956), ოთარაანთ ქვრივი („ოთარაანთ ქვრივი“, 1958), ნინო („ბედნიერი შეხვედრა“, 1949), კნეინა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, 1965), პელაგია („შეხვედრა წარსულთან“, 1966), მგზავრი („მონანიება“, 1984) და სხვა. ამ როლებით ვერიკო ანჯაფარიძემ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართული და საბჭოთა კინოს ისტორიაში.

ვერიკო ანჯაფარიძე მხატვრული კითხვის ოსტატიც იყო. გარდა ამისა, ასწავლიდა საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტსა და დრამატულ სტუდიებში და ეწეოდა რეჟისორულ

მოღვაწეობასაც, მან კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგა სპექტაკლები: ვ. როვის „ინჟინერი სერგეევი”, ა. კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან”, ა. აღლაძის „მღელვარე დღეები”. იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე. 1980 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ. სოციალისტური შრომის გმირი (1977). დაჯილდოებულია 3 ლენინის ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ვერიკომ გ.ჯაბადარის სტუდიაში გაიცნო მაშინ ჯერ კიდევ დამწყები მსახიობი, შემდეგში კი-ცნობილი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი. მათ შორის მალევე გაჩნდა გრძნობა, თუმცა წყვილის ურთიერთობა ვერ შედგა და 1918 წ. ვერიკო ანჯაფარიძემ იქორწინა შალვა ამირეჯიბთან. ქორწინებაც უიღბლო აღმოჩნდა. ერთადერთი ქალიშვილი ჩვილი გარდაიცვალა. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი და 1924 წლის აჯანყების მონაწილე ამირეჯიბი 1925 წელს იძულებული გახდა, საქართველოდან ევროპაში გაქცეულიყო. ვერიკო მას არ გაჰყოლია. შემოქმედებით ასპარეზზე ერთად მოღვაწეობამ ისევ დააახლოვა ვერიკო და მიხეილ ჭიაურელი და ისინი დაოჯახდნენ. მათი ქალიშვილი იყო მსახიობი სოფიკო ჭიაურელი.

ვერიკო ანჯაფარიძე გარდაიცვალა 1987 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.


მიღებული ჯილდოები - საქართველოს (1943) და სსრკ (1950) სახალხო არტისტი. სსრკ სახელმწიფო (1943, 1946, 1952), შოთა რუსთაველის სახელობის (1979) და ვ. მარჯანიშვილის სახელობის (1975) პრემიების ლაურეატი. თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მისი საუკეთესო იდეურ-მხატვრული ტრადიციების ერთ-ერთი შემქმნელი და დამამკვიდრებელი. ვ. მარჯანიშვილის თეატრის მრწამსის მიმდევარი და დამცველი.

სერ უილიამ ჯერალდ გოლდინგი

19 სექტემბერი ბრიტანელი ნობელიანტი მწერლის, XX

საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ლიტერატორის სერ უილიამ ჯერალდ გოლდინგის, დაბადების დღე.


►უილიამ გოლდინგი დაიბადა 1911 წელს კორნულში. დაამთავრა მარლბოროუს სკოლა, რის



შემდეგაც ჩაირიცხა ბრასენოსის კოლეჯში (ოქსფორდი). ცხოვრების განმავლობაში ბევრი სპეციალობით იყო დაკავებული. ის იყო სკოლის მასწავლებელი, ლექტორი, მეზღვაური, მუსიკოსი, მწერალი, მსახიობი. ბავშვობიდან უნდოდა გამხდარიყო მეცნიერი, თუმცა მოგვიანებით აზრი შეიცვალა. ოქსფორდში სწავლისას უილიამი ინგლისურ ლიტერატურას გაეცნო. 1935 წელს დაიბეჭდა მისი პოემების კრებული. ■►■უილიამ გოლდინგი დაიბადა 1911 წელს კორნულში. დაამთავრა მარლბოროუს სკოლა, რის

შემდეგაც ჩაირიცხა ბრასენოსის კოლეჯში (ოქსფორდი). ცხოვრების განმავლობაში ბევრი სპეციალობით იყო

დაკავებული. ის იყო სკოლის მასწავლებელი, ლექტორი, მეზღვაური, მუსიკოსი, მწერალი, მსახიობი. ბავშვობიდან უნდოდა გამხდარიყო მეცნიერი, თუმცა მოგვიანებით აზრი შეიცვალა. ოქსფორდში სწავლისას უილიამი ინგლისურ ლიტერატურას გაეცნო. 1935 წელს დაიბეჭდა მისი პოემების კრებული.



►1940 წელს ჩაეწერა საზღვაო ფლოტში. უილიამ გოლდინგმა 6 წელი ზღვაში გაატარა. ომის შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად. შემდეგ ხელმეორედ დაუბრუნდა თავის ძველ საქმიანობას და წერა დაიწყო. მწერლის ინტერესის სფეროებმა გავლენა მის ნაწარმოებებზეც მოახდინა. უკვე 40 წელს გადაცილებულმა დაწერა რომანი „ბუზთა ბატონი“ (1954) — უამრავი სიმბოლიკით დატვირთული ერთგვარი

ლიტერატურული პაროდია, „რობინზონიადას“ ერთ-ერთი ვარიანტი, რომელშიც ველური კუნძულის ერთადერთი ცივილიზებული წარმომადგენლები ბავშვები არიან. ამ რომანით მწერალმა არაერთი სტერეოტიპი დაანგრია და უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილი სკოლის მოსწავლეების მაგალითზე შეულამაზებლად ასახა ადამიანის ქვეცნობიერში ცივილიზებულობის მიღმა მიმალული ურჩხული. 1963 წელს ნაწარმოების მიხედვით ფილმიც გადაიღეს.

- სხვადასხვა დროს უილიამ გოლდინგს მიღებული აქვს ჯილდოები- ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში, ჯეიმზ ტაიტ ბლეკის სამახსოვრო პრემია, ბუკერის პრემია და ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორი.
- უილიამ გოლდინგი 1993 წლის 19 ივნისს გარდაიცვალა. 2008 წელს ჟურნალმა „ტაიმმა“ მას 50 საუკეთესო თანამედროვე ბრიტანელ ავტორთა სიაში მესამე ადგილი მიაკუთვნა.

17 სექტემბერი სესილია თაყაიშვილის დაბადების დღეა!!

„ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ნატვრის ხე“, „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „თოჯინები იცინიან“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ნერგები“ - ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, სადაც გენიალურმა ქართველმა მსახიობმა სესილია თაყაიშვილმა დაუვიწყარი სახეები შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, 17 სექტემბერს, მისი დაბადებიდან 113 წელი გავიდა, ნებისმიერი ასაკის მაყურებლისთვის იგი ჭეშმარიტ ხელოვნებასთან, ცხოვრებისეულ სიკეთესთან, წუთისოფლის სატკივართან ამაღლვებელი შეხვედრის სიმბოლოდ რჩება.

სესილია თაყაიშვილი 1906 წელს ბათუმში დაიბადა.

„მეოცე საუკუნის ბებიამ“ პირველი როლი (1914 წელს) სწორედ, ბათუმის დრამატულ თეატრში ითამაშა, სცენის მტვერიც პირველად ჩვენს მშობლიურ ქალაქში გადაყლაპა სამუდამოდ „მოიწალმა“.

სესილია თაყაიშვილმა სცენაზე 120-მდე როლი განასახიერა, კინო კი მის ცხოვრებაში 1945 წელს შემოვიდა. დებიუტი შოთა მანაგაძის ფილმში „ჭირვეული მეზობლები“ შედგა, სადაც რეჟისორმა გრამიტონის ცოლის, მანანას როლზე მიიწვია. ძალიან აღელვებდა და მუშაობისას თვით უმნიშვნელო ეპიზოდსაც კი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, თუმცა სცენაზე დგომა უფრო უყვარდა, ვიდრე გადაღების პროცესი. ამბობდა კიდეც : „არ მიყვარს ჩემი თავი ეკრანზე, რადგან ვიცი – რაც გაკეთებულია, ვერ დააბრუნებ, ვერ გაასწორებ და არ მინდა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, რომ შეიძლებოდა გაცილებით უკეთ მეთამაშა“...

მიუხედავად თეატრსა და კინოში განსახიერებული არაერთი საინტერესო გმირისა, სესილია თაყაიშვილის შემოქმედების მწვერვალად ოლღა ბებიას როლია აღიარებული, რომელიც ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით „დაიბადა“ ჯერ მარჯანიშვილის თეატრში 1960 წელს, შემდეგ კი – კინოში 1962 წელს. ამ როლისთვის სესილიამ მსხვერპლი გაიღო – ჯანსაღი კბილები ამოიღო, რომ ეჩიფჩიფა.

რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე იხსენებდა: „როდესაც სესილიამ ჩემს სპექტაკლში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ ითამაშა, ის მართლა საყოველთაო ბებია გახდა. ხალხს ოჯახში სესილიას სურათი ეკიდა, როგორც საკუთარი ბებიისა. მახსოვს, იმ პერიოდში საქართველოში ჩამოსული იყო ფრანგი რეჟისორი და სპექტაკლი რომ ნახა, თქვა: ეს თქვენი ბებია არა არის,



ბებიაჩემია, ახლაც ცოცხალია, პროვანსში ცხოვრობსო... ანუ მიიღო, როგორც ფრანგი ბებია. სესილია მაშინ 53 წლის იყო. იმ რეჟისორმა სესილიას სპექტაკლის შემდეგ დაუჩოქა და კაბის კალთაზე ემთხვია.

სხვათა შორის, მისი ეკრანული გმირების, განსაკუთრებით ოლღა ბებიას ბედს ძალიან განიცდიდნენ ოჯახის წევრები, უფრო მეტად – შვილიშვილები. თავად ქალბატონი სესილია იხსენებდა: „ოლღა ბებიამ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიდან“ მომსპო და გამაწამა. გახსოვთ ალბათ, ვკვდები იქ... ფუი ეშმაკს! მე კი არა, ოლღა ბებია კვდება. ჰოდა, რამდენჯერაც უყურებენ ამ ფილმს შვილიშვილები, იმდენჯერ ტირიან, ვეუბნები: თქვე დალოცვილებო, შემომხედეთ, აგერ არ ვარ ცოცხალი-მეთქი?! მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ვინ იცის, რამდენჯერ დამიტირეს ეს ცოცხალი ადამიანი?! მაინც რა მიყო ნოდარ დუმბაძემ?! ვითომ რა იქნებოდა, არ მოეკლა ეს კეთილი ქალი?!.. თუმცა, მაგას რა ენაღვლება: რაღაც თვე-ნახევარში დაწერა თურმე რომანი და მორჩა, მე კი აგერ ორმოცდაათი წელია ვკვდები და ვკვდები! როგორი საქმეა?!..“

სესილია თაყაიშვილი და მისი ოლღა ბებია მაყურებლის ხსოვნაში დღემდე ცოცხალია, თუმცა, სამწუხაროდ, იგი ამ სტრიქონების წარმოთქმიდან სულ რაღაც ერთ წელიწადში (1984 წლის 22 მაისს), 78 წლის ასაკში, დაახლოებით ისე გარდაიცვალა, როგორც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ მისი გმირი კვდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ როდესაც საავადმყოფოში მიიყვანეს, ზურიკელას როლის შემსრულებელმა, სერგო ორჯონიკიძემ აიყვანა საოპერაციოში. ბოლო წუთებში მასთან სწორედ ზურიკელა იყო....

განუმეორებელი მსახიობის ბოლო კინოროლი მოხუცი ბუღალტერი იყო ელდარ შენგელაიას ფილმში „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, სადაც სესილია სულ შვიდჯერ ჩნდება კადრში. მძიმე ავადმყოფი მიდიოდა ხოლმე გადაღებებზე, რადგან იცოდა, რომ ძალიან საჭირო იყო ფილმისთვის. კი ამბობდა, რას ვაკეთებ ისეთს, რომ სხვა მსახიობით ვერ შემცვალონ, მაგრამ... გადაღებების დროს გარეთ სასწრაფო ელოდებოდა, რაიმე რომ არ დამართნოდა (მისი სცენების ნაწილი ინფარქტამდეა გადაღებული, ნაწილი – ინფარქტის შემდეგ), დიდი მსახიობი ლამის სიცოცხლესთან განშორების გარდაუვალობის წინაშე იდგა, მაგრამ მაინც ძველებურად იხარჯებოდა.

ფილმის გამოსვლიდან მსახიობი სულ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

მისივე ანდერძის თანახმა, იგი საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ჯილდოები: 1939 წელს - მარჯანიშვილის თეატრის ათი წლისთავთან დაკავშირებით, მსახიობთა ჯგუფთან ერთად სესილია თაყაიშვილს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, 1966 წელს - სსრკ სახალხო არტისტი გახდა; დაჯილდოებული იყო ლენინის,

შრომის წითელი დროშის ორდენებით; 1982 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება; 1983 წლის დასაწყისში კი, გარდაცვალებამდე სულ რაღაც ერთი წლით ადრე, ქართველი ხალხის უსაყვარლესი მსახიობი შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა;

1985 წელს, გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელი

✓ ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საბავშვო ბიბლიოთეკის დამაარსებელი და საზოგადო მოღვაწე 6 სექტემბერს დაიბადა. თბილისში დაამთავრა ჯერ ფავრის პანსიონი,



შემდეგ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი (1865). იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი, „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა“ და ქალთა საზოგადოება „განათლების“ დამმარსებელი. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებაში.

✓ 1870-იან წლებში ანასტასია თუმანიშვილი თანამშრომლობდა და ევროპული განათლების შესახებ ინფორმაცის იღებდა ციურიხში მყოფი ქართველი ქალებისაგან: პელაგია ნაცვლიშვილი, ეკატერინე და ოლიმპიადა ნიკოლაძეები, ოლღა გურამიშვილი, ეფემია ელიოზიშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ წერეთელი. სულ მაღე კი, 1876 წელს, თავად ჩავიდა შვეიცარიასა და საფრანგეთში, სადაც გაეცნო პესტალოცის მეთოდებზე დამყარებულ პედაგოგიურ იდეებს.

✓ სამშობლოში დაბრუნებულმა (1881-1884) გაზეთებში „დროება“ და „ივერია“ გამოაქვეყნა მოთხრობებისა და პუბლიცისტური წერილების სერია: „მოლოდინი“, „ნუცა“, „ინსტიტუტკას დღიური“, „სოფელი ხელთუბანი“ (ეხება ამ სოფელში ღარიბი ოჯახის შვილებისათვის ანასტასიას ინიციატივით გახსნილ სკოლას), „მამის მსხვერპლი“, „რძალ-მული“.

✓ ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილთან და კეკე მესხთან ერთად, დაუღალავად იღვწიოდა პედაგოგთა გადამზადებისა და გოგონათა განათლების გასაუმჯობესებლად. სწორედ ამ იდეებს ამუშავებს იგი წერილებში: „საზოგადოების საყურადღებოდ“ და „ქალების პროფესიონალური ხელსაქმის სკოლა თბილისში“. 1890 წელს მის მიერ დაარსებულ-გამოცემული ჟურნალები „ჯეჯილი“ და „კვალი“ გასაბჭოებამდე საგანმანათლებლო მოძრაობის უმნიშვნელოვანესი საყრდენია.

✓ გაზეთში „დროება“ (1883, #225) ანასტასია თუმანიშვილი წერდა: „რა საშუალებით შეიძლება მშრომელ ქალს ხელი ისე გავუმართოთ, რომ ერთი-ორი თვე შეძლოს თავის დარჩენა, ვიდრე შრომის ნახევარ ფასს მაინც შეაძლევენ? ავადმყოფობის დროს და გაჭირვებაში როგორ იშოვოს იმან სესხით ფული ცოტა ხნობით მაინც, როგორ გაუადვილონ საზოგადოებას მასწავლებლის შოვნა და მასწავლებლებს – გაკვეთილებისა, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს და არ მოუნდეთ კარდაკარ სიარული?!“ ამ მოწოდებას, 1886 წელს, შედეგად „მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოების“ ჩამოყალიბება მოჰყვა, რომელსაც 33 წელი ხელმძღვანელობდა ანასტასია თუმანიშვილი.

✓ 1891 წელს ანასტასია ცნობილ ქართველ მწერალ, გიორგი წერეთელი ქორწინდება და მასთან ერთად 1893-1904 წლებში ჟურნალ „კვალის“ რედაქტორ-გამომცემელია. 1891 წლიდანვე მწერალი ქალი იწყებს საბავშვო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას თბილისის უბნებში: კუკია, ავლაბარი, ვერა, ნაძალადევი.

✓ 1908 წელს იგი აფუძნებს ქალთა ახალ საზოგადოებას „განათლება“ და ქალთა საშუალო სასწავლებელს ყაზბეგის ქუჩაზე (ე. წ. „ყაზბეგის სკოლა“). წამოწყებაში მისი თანამოაზრები და თანამებრძოლები არიან კატო და ანიკო ნიკოლაძეები, სოფიო კალანდარიშვილი, ალექსანდრა ფალავა, მარიამ მაჩაბელი, კეკე მესხი, ანეტა პავლიაშვილი, ნინო ბარათაშვილი, ელისაბედ ყაზბეგი. „განათლება“ რამდენიმე წელიწადში იმდენად სახელმოხვეჭილი გახდა, რომ მეცენატთა ყურადღებაც მიიპყრო. სწორედ მათი დახმარებით გახდა შესაძლებელი ქალთა საშუალო სკოლის, პროფესიული განყოფილებებისა და სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის შენახვა-შენარჩუნება.

✓ 1923 წელს, ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, „ჯეჯილიც“ და „განათლებაც“ ლიკვიდაციას დაექვემდებარა.

ანასტასია თუმანიშვილი 83 წლის ასაკში, 1932 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა.

✓ დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში.

"მე მზად ვარ ჩემი გული
გადაგიშალოთ..."

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ეკა კვიციანთან



დილა ეკა კვიციანთან ერთად♥

- მოგესალმებით ჩემო ძვირფასო მეგობრებო, დიდი ხანია უდროობის გამო ჩემი პატარა ინტერვიუები "მე მინდა გული გადაგიშალოთ" არ ჩამიწერია, მაგრამ ამ დილით ძალიან მომენატრეთ და გადავწყვიტე ისევ შეგეხმიანოთ, მე ხომ თქვენი სიყვარულის გარეშე არ შემიძლია.♥
- ეკა კვიციანი ეკა, შენი ფოტო ამოტივტივდა მთავარ გვერდზე, როცა მთებსა და ღრუბლებს შორის ხარ და ასე ფიქრობ - „უკურნებელი სახადისგან მიხსენი, მთაო, ჩააქრე ცეცხლი!“ ჰოდა, რა არის მთა შენთვის??
- რადგან ამ ლექს შევეხეთ, ვიტყვი, რომ მთა ჩემთვის უპირველეს ყოვლისა, არის მკურნალი. იმ სნეულებებისგან, რომლებიც ადამიანის სულს ასნეულებენ. ეჭვისგან, ბრაზისგან, წყენისგან, უნდობლობისგან. მთა საიმედო მეგობარია. მიეყრდნობი და იცი, არასოდეს ჩამოგენგრევა....
- რა ცუდია, რომ მთაში მხოლოდ რამდენიე დღით ვარ ნამყოფი და როცა მათი სიდიადე შევიგრძენი, მაშინ ნათლად მივხვდი რა პატარები და რა უსუსურები ვართ ჩვენ, ადამიანები....." არასდროს წამოგცდეს ეს სიტყვა: -

"სიყვარული!" - მოვლენ, ცივ ხელებზე თეთრ ხელთათმანებს მოირგებენ, გულში ღრმა ორმოს ამოგითხრიან, მათი ზომის ორმოს." - რამხელა ტკივილია ამ სტრიქონებში, იქნებ ამ იარის გახსენება არც ღირის ამ ულამაზეს დილას, მაგრამ როგორი სიყვარულით გინდა იყვეთ გარემოცული?

- არაუშავს. ეს იარები იმიტომაც არსებობენ, რომ სულ გვახსოვდნენ. “როგორია სიყვარული?”, - არ ვიცი. მთავარი ის არის, რომ სიყვარული სულ არსებობდეს. მინდობა შემეძლოს, არ დაპატარავდეს... როგორებიც ვართ, ისეთივეა ჩვენი სიყვარულიც, ალბათ. ჩემი სიყვარული ახლა მიმტევებელია, მშვიდი, მტკიცე. სამყაროს ნათელ ფერებში ხედავს. ასეთი მინდოდა, ყოფილიყო და გახდა ასეთი...
- სიყვარული მართლაც სამყაროს ნათელ ფერებში ხედვაა. კიდევ ერთი შეკითხვა, ასეთი შეკითხვები ახლა ნაკლებად გვხდება ინტერვიუებში, მაგრამ მაინც - რა არის სამშობლო? თითქოს ყველაფერი გაუფასურდა და დაიკარგა ღირებულებები, მაგრამ მაინც რა არის თქვენთვის სამშობლო?
- მე თქვენს შეკითხვებს ტყიდან ვპასუხობ ახლა. უღრანი ტყიდან, სადაც, მგონი, კაციშვილი არ ჭაჭანებს ჩემს მეტი. დილაადრიან წამოვედი, კენკრას ვკრეფდი და გულში, ჩუმად კი არა, ხმამაღლა ვლაპარაკობდი: - "ღმერთო, რა კარგი ბიჭი ხარ, აქ რომ ინებე ჩემი დაბადება"... ხის ფესვებია ჩემი სამშობლო, მოფრთხილება და მოვლა რომ სჭირდება, ჯანსაღი ფოთლების შრიალი რომ შეძლოს.
- თქვენი გზავნილი მეგობრებს და სამყაროს?
- ჩემს მეგობრებსაც, არამეგობრებსაც და მთელ სამყაროს სიყვარულს ვუგზავნი დედმიწის ყველაზე წრფელი და ქათქათა ადგილიდან და ვთხოვ: - გიყვარდეთ და მხოლოდ გიყვარდეთ! ჩვენი ვალი ეს არის ამ სამყაროში და ეს ვალი აუცილებლად მოსახდელია, რომ სამყაროს ჩვენი წილი სასიცოცხლო ენერგია მივაწოდოთ.

დიდი მადლობა, ქალბატონო ინგა. ბედნიერ დღეს გისურვებთ! ♥

დიდი მადლობა თქვენც ჩვენო ლამაზო და ჭკვიანო ქალბატონო, ერთი დღეც არ გეცხოვროთ სიყვარულის გარეშე.

ბათუმში მზეა-ინგა გოგიბერიძე

უშბაზე მზეა-ეკა კვიციანი.

2019 წელი.26 აგვისტოს დილა.

„მზე ამოდის, ჭალარა მთებს

ოქროსფერი ედება,

გაუმარჯოს სიყვარულის

გულში შემოხეტებას!" ●●●●ე.კ.

ინგა გოგიბერიძის ინტერვიუ ზურაბ მარტიაშვილთან

ბათუმი ზურაბ მარტიაშვილის ნახატებს დაელოდება

= თქვენს წერილზე ბათუმი რომ წავიკითხე ათასი დადებითი ემოცია ვიგრძენი! სულ ერთხელ ვარ ნამყოფი, ამ ორიოდე წლის წინ სულ 3 დღით, მაგრამ დამამახსოვრდა მალიან კარგად და შემიყვარდა ბათუმი! ალბათ თბილისზე მეტადაც..... მადლობა ამ სიტყვებისათვის თქვენ... მეც ყველა ქალაქებიდან, ყველაზე მეტად ბათუმი მიყვარს.

გასაუბრება მხატვარ ზურაბ მარტიაშვილთან

==ამ დალოცვილ დედამიწაზე მალიან ბევრი საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი დადის, მაგრამ როცა მხატვარ ზურაბ მარტიაშვილის ნახატებს ათვალიერებ, სწორედ მაშინ რწმუნდები რომ ქართველი კაცის ნიჭიერებას საზღვარი არ აქვს. მოგესალმებით ბატონო ზურაბ. მიხარია, რომ აღმოგაჩინეთ ... თქვენმა ნახატებმა გუშინდელი დილა გამიფერადა... საიდან მოდის ფერთა ასეთი სიმრავლე თქვენს შემოქმედებაში?

== გამარჯობათ!

სიმართლე გითხრათ არასდროს დავფიქრებულვარ ამაზე))) ამ წუთამდე.. და საკუთარ თავს ვიჭერ იმაზე რომ ყოველთვის ვცდილობ რომ ნახატში ყველა ფერი ვიხმარო.. ანუ ეს შეიძლება ვთქვათ შინაგანი მოთხოვნილებაა ჩემი. და თუ რატომ? არ ვიცი ვერ გეტყვით))

== რომ ეს ფერთა გამა მიიღოთ როგორ აზავებთ საღებავებს, დიდხანს ფიქრობთ ფერის მიღებაზე, თუ ინტუიციურად უკვე იცით აუცილებლად ეს ზღაპრული ფერები დაისადგურებს თქვენ ტილოზე?

==უმეტეს შემთხვევაში კომპოზიციის შექმნისას ვხედავ სად რა ფერი უნდა იყოს.. რათქმაუნდა პროცესში ხშირად ხდება ცვლილებებიც..

რაც შეეხება ფერების შეზავებას, საიდუმლოს გაგიმხელთ თუ რატომ ჟღერს ჩემს ნახატებში ყოველი ფერი ასე კაშკაშად. აქ საქმე არა ფერის მიღებაშია არამედ მთლიანობაში ნახატზე რომელი ფერი რომლის ფონად ან რომლის მეზობლად აღმოჩნდება.. ვცდილობ შევქმნა კონტრასტი! თეთრი შავთან! ყვითელი ცისფერთან! წითელი მწვანესთან ან თეთრთან! ანუ ეს ისეთი ფერებია რომლებიც აძლიერებენ ერთმანეთს როდესაც ისინი გვერდიგვერდ ხვდებიან..

== ვფიქრობ რომ ჩვენი ცხოვრებაც ასეთი კონტრასტული დღეებისგან და ფერებისგან შედგება .. ერთი დღე ნაღვლიანია, მეორე ხალისიანი.....როგორია თქვენი ერთი დილა, ან თუნდაც ერთი ჩვეულებრივი დღე?

==დილით ბოლო წელიწადნახევარია ჩემი ტყუპი გოგოები მაღვიძებენ ყოველთვის))

მერე რა თქმა უნდა ყავა და ფეისბუკი, დაახლოებით ნახევარი საათი.. ხოლო შემდეგ საღამოს 5-6 საათამდე პალიტრა, ფუნჯები, საღებავები ტილო და პერსონაჟები... და თუ კომპოზიცია ძალიან მომწონს, ხშირად ერთი სული მაქვს გათენდეს მეორე დღე რომ გავაგრძელო მასზე მუშაობა..

= ღმერთმა თქვენი გოგონები კარგად გიმყოფოთ, გაგიზარდოთ და ამაზე სასიამოვნო ალბათ რა უნდა იყოს? ოჯახი არის ადამიანის სავანე.... ვიცი, რომ დიდი მხატვრების დინასტიის წარმომადგენელი ბრძანდებით, მოგვიყევით თქვენს ოჯახზე? რაიმე გამორჩეულ ოჯახურ ტრადიციაზე?

=დინასტია ალბათ ხმამაღალი ნათქვამია.. თუმცა მამა, ძმა, მხატვრები მყავს.. ვიცი რომ ბებიაც და მამაჩემის მამიდაც ხატავდნენ)) ასე რომ სისხლში გვაქვს ალბათ..

რაც შეეხება ტრადიციებს ალბათ გამორჩეულის ვერაფერს გეტყვით) როგორც უმეტეს ქართულ ოჯახებში ჩვენც ქართული ტრადიციების მიმდევარი ოჯახი გვაქვს..

=როგორი ბავშვობა გქონდათ? თქვენ რომ გესაუბრებით არ შემიძლია თქვენი ძმაც დავითი არ ვახსენო, თითქოს თქვენი ნახატები ერთმანეთს ავსებსო ასეთი შთაბეჭდილება მაქვს... ჩხუბობდით თუ არა ბავშვობაში, ერთად აღმოაჩინეთ ნიჭი საკუთარ სულებში, როდი შექმენით პირველი ნახატი?

=ალბათ თუ კი ვიტყვი რომ ჩემი ბავშვობა დაემთხვა 1988-1995-6 წლებს ამით ყველაფერი ნათქვამი იქნება.. მაგრამ ამის მიუხედავად ბედნიერი ბავშვობა გვქონდა) უდარდელი..

ძმასთან არ ვჩხუბობდით.. მხოლოდ მაშინ ,როდესაც ველოსიპედს არ მათხოვებდა ხოლმე))) ხატვის ნიჭი მე ალბათ ბავშვობიდან მქონდა, მაგრამ უფრო სკოლის პერიოდში გამიტაცა ხატვამ. განსაკუთრებით ფიზიკის ქიმიის ალგებრის და მათემატიკის გაკვეთილებზე.. არ მიყვარდა ეს საგნები და იმის მაგივრად რომ ჩამეწერა რვეულში რამე მე ვიჯექი და ვხატავდი კალმით)) არა ერთ ძველი იყო ნახატებით შევსებული)) მომავალში რამოდენიმე იდეა ტილოზეც გადავიტანე.. თუმცა უნდა აღინიშნოს რო ჩემი მხატვრად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა მამაჩემმა, რომელმაც დაინახა ჩემში ეს ნიჭი და პერსპექტივა და ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით დამაძალა დამეხატა ერთი ნახატი ტილოზე ზეთით! რისი კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი მე. რადგან მიმაჩნდა რომ ის რასაც მე ვხატავ არ წარმოადგენდა არანაირ ფასეულობას არავისთვის ჩემს გარდა. როგორც აღმოჩნდა ვცდებოდი.. დავითიც მამაჩემის ინიციატივით იქნა მიყვანილი კერძო სამხატვრო კოლეჯში იმ პერიოდში, როცა ჩემი ძმა გაურკვეველ მდგომარეობაში იყო და არც კი იცოდა რა გზას უნდა დადგომოდა და რა პროფესიას დაუფლებოდა სამომავლოდ))

= კარგია, როცა გვერდით ისეთი ადამიანები გყავს, ვისაც შეიძლება დაეყრდნო...შემთხვევით პირველი ნახატი ხომ არ გაქვთ შენახული?

=წინა კითხვაზე პასუხს გავაგრძელებ იმ ადგილიდან პირველი ნახატი რომ დამაძალა მამაჩემმა დამეხატა)) სამწუხაროდ ერთის მხრივ და საბედნიეროდ მეორეს მხრივ ის ნახატი გაყიდული იქნა მშრალ ხიდზე 30 ლარად)) რამაც სტიმული მომცა კიდევ დამეხატა.. ის პირველი ნახატი მის მერე მრავალჯერ გავიმეორე) ერთდროს სავიზიტო ბარათადაც კი მექცა.. ეს იყო წითელი ძროხა შავი ლაქებით ყვავილებით პირში..

= წარმომიდგენია რა საყვარელი ძროხუკა იქნებოდა..... დღეს, როცა ქართული ტრადიციები ცოტა შეირყა, მაინტერესებს, დედამ რა როლს შეასრულა თქვენს პიროვნულ განვითარებაში?

=დედამ დიდი როლი ითამაშა ჩემს დამოუკიდებელ და პასუხისმგებელ პიროვნებად ჩამოყალიბებაში! დედა არასდროს არაფერს არ მიკრძალავდა! ყოველთვის აკრძალვას ქონდა რჩევის სახე მიცემული) ვაკეთებ იმას და ისე, როგორსაც ვთვლი საჭიროდ და როგორც მე მიმაჩნია სწორად.

=ეს ყველა დედას არ შეუძლია... რჩევის მიცემა... სწორედ ამ დროს ყალიბდება ბავშვსა და მშობელს შორის მეგობრული ურთიერთობა, რაც მეტწილად დღეს მშობელთა უმეტ ნაწილს ცოტა უჭირს... ალბათ ამან თქვენი დამოუკიდებლობაც განაპირობა.... უამბეთ მკითხველს რომელ გამოფენებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული და ახლო მომავალში ხომ არ გეგმავთ თბილისში გამოფენას?

= გამოფენებს რაც შეეხება მქონდა არა ერთი და ორი) მაგრამ რათქმაუნდა ყველაზე დამამახსოვრებელი იყო ჩემი პირველი გამოფენა კიევში თანაც ხრეშატიკზე)) რათქმაუნდა ორგანიზატორი მე არ ვყოფილვარ, მაშინ სულ ორიოდე წელი იყო რაც ტილოზე დავიწყე ხატვა.. მის მერე კიდევ მქონდა გამოფენები კიევში.. რუსეთში სინგაპურში. ესპანეთში. და ბოლოს შვეიცარიაში ქალაქ ჟენევაში «LA CITÉ DU TEMPS»

საქართველოში ძალიან მინდა გამოფენის გაკეთება. სამწუხაროდ დროის უქონლობის გამო ორგანიზაციას ვერ ვახერხებ) თუკი ვინმეს ექნება სურვილი და ორგანიზაციას აიღებს თავის თავზე მე დიდი სიამოვნებით დავთანხმდები))

თუმცა არის გარკვეული შემოთავაზებები და თუ კი დაიგეგმა გამოფენა ყველას ვაცნობებ ჩემი ფეისბუკის გვერდის მეშვეობით.

= სურვილს ვიტოვებ რომ ბათუმში თქვენი გამოფენის ინიციატორი მე ვიქნები... თქვენი ნახატებიდან, როგორც მუსიკა ისე იღვრება სიყვარული.. თქვენი აზრით რა არის სიყვარული?

= სიყვარული არის ღმერთი! სიყვარული არის ყველაფრის დასაბამი) რაც კი კარგია ამ ქვეყანაზე ყველაფერი სიყვარულით არის შექმნილი.

== პირველს არა და მეორე სიყვარულს გაიხსენებთ?

== მეორე სიყვარული მაშინ რო მეგონა მეორეა თქო ეხლა ვხვდები რომ პირველთან შედარებით არაფერი ყოფილა))) ეს უფრო ბავშვური გატაცება იყო ალბათ! მხოლოდ ემოციები, თუმცა მასაც თავისი ხიბლი აქვს! მოგვიანებით მივხვდი რომ სიყვარული არ შედგება მხოლოდ ერთი გრძნობის და ემოციისგან! სიყვარულს ათასი კომპონენტი აქვს ,რომლის ერთობლიობაც სიყვარულს უკვდავს ხდის.

== რა არის თქვენთვის სამშობლო და სად მოღვაწეობთ ახლა? სამომავლო გეგმები.

== სამშობლო ჩემი ოჯახია! მემგონი ამ შედარებით ბევრია ნათქვამი. და ის რომ 10 წელი უცხოეთში მოღვაწეობის შემდეგ გადავწყვიტე დაბრუნება და საქართველოში დასახლება ამის დასტურია. უახლოესი გეგმა სახლის მშენებლობის დასრულება) შემდგომს ცხოვრება გვიჩვენებს)) და რა თქმა უნდა მხატვრობაში ახალი მწვერვალების დაპყრობა!

== ულევი წარმატება ჩემგან.

დიდი დიდი დიდი მადლობა თქვენ ჩემი პიროვნებით დაინტერესებისათვის!

ბათუმი-თბილისი

ინგა გოგიბერიძე

ზურაბ მარტიაშვილი



2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების გახსენება

2019 წლის 11 სექტემბერს, 16 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის "ამერიკულ კუთხეში", ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11



სექტემბერს განხორციელებულ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებული საღამო-გახსენება გაიმართა.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე „ამერიკულ კუთხეში“ შეკრებილ ახალგაზრდებს, ქალაქ ბათუმის მერიის, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის უმაღლესი საბჭო და

ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლებს 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტსა და მის სავალალო შედეგებზე ესაუბრა.

ბათუმის „ამერიკული კუთხის“ კოორდინატორმა მამუკა საფარიძემ იმ საგანმანათლებლო პროექტებსა და მიმართულებებზე ისაუბრა, რომელიც ხელს უწყობს არაფორმალურ განათლებას; სხვადასხვა შეხედულებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრირებას საზოგადოებაში; ტოლერანტობასა და ურთიერთმიმღებლობას, რათა მსოფლიო უფრო უკეთესი და მშვიდობიანი გახდეს.

საღამოზე ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი, რომელიც ნათლად და შემზარავად ასახავს იმ რეალობას, თუ რამდენად დიდი საფრთხეა 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიოსათვის ტერორიზმი.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საზოგადოებასთან და საეთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა - თეა ჭანტურიშვილმა გაიხსენა ის ტრაგიკული დღე და პირადი ემოციები, რომელიც მაშინ გაიარა მსოფლიომ და საქართველოს დიპლომატიურმა სამსახურებმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენელმა - ირმა გაბინაშვილმა 2001 წლის შემდგომი მსოფლიო უსაფრთხოებისა და სამხედრო გაერთიანების როლზე ისაუბრა. „მსოფლიო ველარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო“ - 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ეს სიტყვები არ კარგავს აქტუალობას.

ამ დღემ შეცვალა მსოფლიო და მასთან ერთად ტერორიზმის საფრთხე არ მცირდება..

ამერიკის დამოუკიდებლობის დღე

დღეს, 4 ივნისს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხეში გაიმართა ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიმღვნილი შეხვედრა.♥

ამერიკელ ხალხს ვულოცავთ ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს!



ინგლისურენოვანი ლიტერატურის ონლაინ კატალოგი

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში არსებულ „ამერიკულ კუთხეში“ შესაძლებელია ინგლისურენოვანი ლიტერატურის ონლაინ კატალოგის მეშვეობით სარგებლობა.

1.000-ზე მეტი ინგლისურენოვანი წიგნი ბათუმის ამერიკულ კუთხეში.

1.000+ English Books at American Corner Batumi ☺


გაეცანით „ამერიკული კუთხის“ ინგლისურენოვან ბიბლიოთეკას ონლაინ კატალოგის მეშვეობით.

Browse our online catalogue to know more about our rich English library.

ონლაინ კატალოგის ბმული: <https://urlzs.com/GoRS8>

#ჩვენვმუშაობთთქვენთვის

მადლობა ამერიკულ კუთხეს საინტერესო სიახლისათვის!



1.000+ English Books
@American Corner Batumi



Browse our Library catalogue online

კინო-კლუბი „ფილმების საღამოები“

✓ 2019 წლის 30 სექტემბერს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კომპიუტერულ ცენტრის კინო-კლუბში, პროექტის „ფილმების საღამოები“ ფარგლებში, რეჟისორ დრიუ ბერიმორის 2019 წლის კომედიური ფილმის „გასრიადის“ ჩვენება გაიმართა.

✓ კინო - ჩვენებას ბათუმის ბათუმის მეათე საჯარო სკოლის მესამე კლასის



მოსწავლეები დაესწრნენ (დამრიგებელი ინგა ებრალიძე). მოსწავლეებს ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერამე მიესალმა, ფილმი კი კომპიუტერული ცენტრის წამყვანმა ბიბლიოთეკარმა ნანა ბერიძემ წარადგინა.

✓ კომედიური ჟანრის ფილმი მოგვითრობს ისტორიას გოგონაზე ქალაქ ტეხასიდან. მთავარი გმირი, რომელიც სილამაზის კონკურსების მუდმივი მონაწილეა, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვეტს საკუთარი, პატარა ქალაქის მოსაწყენ ყოველდღიურობას გაექცეს და გორგოლაჭებით შეჯიბრის ლიგაში გაწევრიანდება. სწორედ, ამ შეჯიბრში მონაწილეობით მიაგნებს იგი ნამდვილ მოწოდებას და გადაწყვეტს იყოს გმირი მხოლოდ საკუთარი თავისთვის.

✓ ფილმის დასრულების შემდეგ, ჩვენების ორგანიზატორებთან ერთად კომედიის განხილვა გაიმართა.

დისკუსია “აჭარის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცლები”

- ✓ 2019 წლის 26 სექტემბერს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო დარბაზში გაიმართა დისკუსია თემაზე: “აჭარის ისტორიის ყველაზე ტრაგიკული ფურცლები”. ღონისძიება მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელეონორა ძიგუამ მოამზადა და მასში ბათუმის #22-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.
- ✓ ღონისძიება საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსმა თინა ცენტერამედ გახსნა. აჭარის ისტორიის ტრაგიკულ ისტორიაზე ისაუბრა საერთო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ელეონორა ძიგუამ და ბათუმის #22-ე სკოლის პედაგოგმა ნარგული ხიმშიაშვილმა.
- ✓ მოსწავლეებმა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მონაკვეთზე და მის ცნობილ და უსახელო გმირებზე ისაუბრეს - ადამიანებზე, რომლებმაც თავდადებული ბრძოლითა და რუდუნებით მოიტანეს ჩვენამდე დედა ენა, ჩვენი რწმენა, ქართული ადათი და ტრადიციები. წაიკითხეს ზურამ გორგილაძის, ფრიდონ ხალვაშის, აკაკი წერეთლისა და სხვა გამოჩენილი ქართველი პოეტების ლექსები. ღონისძიების დასასრულს კი წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამშობლოსათვის თავგანწირული გმირების ხსოვნას.



პატარებს წაუკითხეს “სიზარმაცეს მათხოვრობა ახლავს”

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო ახალგაზრდობის განყოფილების კლუბმა “საზღაპრეთმა” მუშაობა განაახლა.



“სიკეთე და ადამიანები” მოთხრობა “სიზარმაცეს მათხოვრობა ახლავს” წაუკითხა. განიხილეს ნაწარმოების შინაარსი, იმსჯელეს გმირების საქციელზე და მივიღნენ დასკვნამდე, რომ წიგნის კითხვა და სწავლა აუცილებელია.

✓ ბიბლიოთეკაში სტუმრობისას მოსწავლეებმა ბავშვთა დარბაზის გარდა, სხვა სივრცეებიც დაათვალიერეს და საცავებში განთავსებულ წიგნად ფონდს გაეცნენ. ასევე, დარეგისტრირდნენ მკითხველებად.

✓ პირველი სტუმრები ბათუმის

მეათე საჯარო სკოლიდან გვეწვივნენ. მესამე კლასელებს განყოფილების უფროსი თინა ცენტერამე მიესალმა, მასპინძლობა კი ტრადიციულად, ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ გაუწია.

✓ მესამე კლასელებს ლელა

სურმანიძემ იაკობ გოგებაშვილის წიგნიდან

“სიკეთე და ადამიანები” მოთხრობა “სიზარმაცეს მათხოვრობა ახლავს” წაუკითხა. განიხილეს

ნაწარმოების შინაარსი, იმსჯელეს გმირების საქციელზე და მივიღნენ დასკვნამდე, რომ წიგნის კითხვა და სწავლა აუცილებელია.

✓ ბიბლიოთეკაში სტუმრობისას მოსწავლეებმა ბავშვთა დარბაზის გარდა, სხვა

სივრცეებიც დაათვალიერეს და საცავებში განთავსებულ წიგნად ფონდს გაეცნენ. ასევე, დარეგისტრირდნენ მკითხველებად.

"კინო -კლუბი „ფილმების საღამოები“

✓ 2019 წლის 31 ივლისს, ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის

განყოფილების კომპიუტერულ ცენტრის კინო-კლუბში, პროექტის „ფილმების საღამოები“ ფარგლებში, რეჟისორ ტიან მიაო პრნგის კომედიის „მაიმუნების მეფის“ ჩვენება გაიმართა.

✓ ჩვენებას ბათუმის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების აქტიური მკითხველები (ასაკი 6-10 წელი) დაესწრნენ, ორგანიზატორი-კომპიუტერული ცენტრის წამყვანი ბიბლიოთეკარი ნანა ბერიძე.

✓ ფილმის დასრულების შემდეგ, ჩვენების ორგანიზატორებთან

ერთად კომედიის განხილვა გაიმართა.



შეხვედრა კლუბ „საზღაპრეთში“ აქტიურ მკითხველებთან

- ✓ 2019 წლის 24 ივლისს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში არსებულ კლუბ „საზღაპრეთში“ აქტიურ მკითხველებთან შეხვედრა გაიმართა.
- ✓ ბიბლიოთეკის სტუმრებს საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი თინა ცენტერამე მიესალმა. პატარებს კი ტრადიციულად, ბავშვთა დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა უმასპინძლა.
- ✓ ლელა სურმანიძემ სტუმრებს, ამჯერად, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნის კარი“- იგავები ყველაზე პატარებისთვის წაუკითხა, განიხილეს მმები გრიმების „რაპუნცელი“ და ზღაპრის საყვარელ გმირებზე ისაუბრეს.
- ✓ ყველაზე სახალისო ჩვენი მკითხველებისთვის კი სამაგიდო თამაში „დევების ციხესიმაგრე“ აღმოჩნდა.
- ✓ ღონისძიების დასასრულს პატარებს ლელა სურმანიძემ ბავშვთა დარბაზის წიგნადი ფონდი დაათვალიერებინა და საზაფხულო არდადეგებზე საკითხავი სარეკომენდაციო წიგნების სიაც გააცნო.



ვისაც სამაგიდო თამაშები გიყვართ

პატარა მეგობრებო, თქვენთვის სიახლე გვაქვს!!!

ჩვენთან, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში სტუმრობისას, წიგნის კითხვის პარალელურად, შეგიძლიათ გაერთოთ კიდევ ვისაც სამაგიდო თამაშები გიყვართ, შეგიძლიათ გვეწვიოთ და ერთად ვითამაშოთ ყველაზე ქართული და სახალისო თამაში "დევების ციხესიმაგრე".

✓ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვის განვითარება თამაშით იწყება. ის უნარები, ჩვევები, ცოდნა, რომელსაც მოზარდი თამაშით იღებს, აღარასდროს ავიწყდება. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ბავშვი სულ პატარაობიდანვე ისეთი თამაშებით დავაინტერესოთ, რომელიც მას პოზიტიური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება. ასეთი კი სამაგიდო თამაშებია, რომელიც რამდენიმე მოთამაშის თანამონაწილეობას მოითხოვს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამაგიდო თამაშებში პატარებთან ერთად უფროსებიც აქტიურად ჩაერთონ.

✓ სამაგიდო თამაშები, ერთმანეთთან დაახლოების გარდა, გონების გავარჯიშების სასიამოვნო და საინტერესო საშუალებაა. თამაშს თავისი წესები აქვს. ასე რომ, თამაშისას ბავშვი პირველ რიგში წესების დაცვას სწავლობს. უვითარდება მოთმინების უნარი, ეჩვევა მოგებისკენ სწრაფვას და წაგებასთან შეგუებას.

✓ PS. პატარა მეგობრებო, თუ კი ზაფხულში ქალაქებრეთ ვერ ახერხებთ გასვლას, გვეწვიეთ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში, რომელიც ჯავახიშვილის #72 მდებარეობს და გპირდებით, რომ თქვენი შვილები დროს საინტერესოდ გაატარებენ.



ახალი წიგნების წარდგენა

23 ივლისს აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების საერთო-სამკითხველო დარბაზში, ახალი წიგნების



წარდგენა გაიმართა. შეხვედრას ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები დაესწრნენ.

მკითხველებს წიგნები
საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-
ახალგაზრდობის განყოფილების
უფროსმა თინა ცენტერამებ

წარუდგინა, ესაუბრა მათ წიგნების ავტორებზე, გააცნო ნაწარმოებების მოკლე შინაარსი.

ახალგაზრდებმა ახალი წიგნები დაათვალიერეს და მათთვის საინტერესო ლიტერატურა შეარჩიეს.

კლუბ „საზღაპრეთის“ გასვლითი შეხვედრა

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების კლუბი „საზღაპრეთი“ ბათუმის N9 ბაღს ეწვია (ბაღის გამგე ეთერ ბოხუა).

საბავშვო-ახალგაზრდობის
განყოფილების ბავშვთა დარბაზის მთავარმა
ბიბლიოთეკარმა ლელა სურმანიძემ
პატარებს ქართული ხალხური ზღაპარი
„დევებით სავსე ქუდი“ წაუკითხა.



აბონემენტის განყოფილება

ეს ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის აბონემენტის განყოფილებაა (განყოფილების უფროსი ნაირა მენაფირე), სადაც თავისუფალი დაშვების თაროებია დამონტაჟებული.

მთელი დღის განმავლობაში არ წყდება მკითხველთა ნაკადი, რომლებიც საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევენ მხატვრულ ლიტერატურას.....

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ხომ მუდმივად განახლებადია♥♥



გაატარეთ ზაფხულის დღეები ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ავტორის წიგნი.

აბონემენტის განყოფილება
2019 წლის 12 აგვისტო
#იკითხეჩვენთან



ბიბლიოთეკის ღონისძიებები და აქტივობები

მუსიკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული საღამო

აკავი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში 2019 წლის 1



ოქტომბერს, 18 საათზე ჩატარდა მუსიკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული საღამო. დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცულ ლიტერატურას მუსიკის ისტორიის შესახებ, ვინილის ფირფიტებს და სხვადასხვა წლების სანოტო გამოცემებს. საღამო კლასიკური მუსიკის გენიალური

ნიმუშებით წარმოადგინეს:

ა(ა)იპ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლამ - ალექსანდრე ანთიძე -კამილ სენ-საენსი „გედი“ (კლარნეტი)

პედაგოგი -ზურა ჯუგნარაძე

კონცერტმაისტერი -სვეტა ურუშაძე

ნიკოლოზ ვადაჭვიორია - ი.ს.ბახი მენუეტი (ფლეიტა)

პედაგოგი - ვერონიკა ასლანოვა

კონცერტმაისტერი - ეკა სოსელია

ელისაბედ დოლიძე - ო.რიდინგი კონცერტი სი მინორი, პირველი ნაწილი (ვიოლინო)

ანიტა არაბული - კ.ზეიცი კონცერტი, მესამე ნაწილი (ვიოლინო)

პედაგოგი - ელენე კონკალიძი

კონცერტმაისტერი - რუსუდან ჯინჭარაძე

და ქალაქ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტმა- სალომე მახათელაშვილი - Ernesto De Curtis- „non ti scordar di me „

დავით დიასამიძე - Francesco Paolo Tosti - „l'alba separa dalla Luce l'ombra“

კონცერტმაისტერი - ნინო ნიშნიანიძე.

ეს განსხვავებული და სასიამოვნო შეხვედრა ბიბლიოთეკის ახალი პროექტის #თანამშრომლობაკარგია ფარგლებში ჩატარდა და ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით მომავალშიც იგეგმება მსგავსი მჭიდრო თანამშრომლობა.

თეა ჭანტურიშვილის საჯარო ლექცია - „იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს შემოქმედება

2019 წლის 1 ოქტომბერს, 16 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, იტალიური ლიტერატურისა და კულტურისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოს ფარგლებში აჭარის ა/რ განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო და საზოგადობასთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, თეა ჭანტურიშვილის საჯარო ლექცია - „იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს შემოქმედება“ ჩატარდა. საოცრად საინტერესო და შემეცნებით საჯარო ლექციას ქალაქ ბათუმის სხვადასხვა თაობის საზოგადოება, სკოლა - ლიცეუმ მასტერკლასის ლიტერატურული კლუბის „ლიტერპოლოს“ წევრები, კლუბის ხელმძღვანელ ნადია გუნდაძესთან ერთად და შ.პ.ს. კერძო სკოლა „განათლების“ ლიტერატურული კლუბის წევრები ეწრებოდნენ. ქალბატონმა თეამ დეტალურად და მრავლწახნაგოვნად ისაუბრა გენიალური იტალიელი მწერლის შემოქმედებასა და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ. #იკითხეთჩვენთანერთად.



2019 წლის 20 სექტემბერს, 17 საათზე აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარის, პოეტ დავით თედორაძის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებული შემოქმედებითი საღამო „მელაპარაკე ქართულად...“ ჩატარდა.

ბიბლიოთეკის ძირითადი საცავისა და პერიოდის განყოფილებამ გამოფინა ბატონი დავითის ყველა კრებული, ჟურნალ „ჭოროხის“ პირველი გამოცემები, მისი პოეზიის ხელნაწერები და ასევე აჭარაში მოღვაწე თანამედროვე მწერლების სხვადასხვა წლებში გამოცემული წიგნები.

საღამო ძირითადად ბატონი დავით თედორაძის შემოქმედების განხილვას დაეთმო. მწერლებმა შოთა ზოიძემ, ბელა ქებურიამ, ცისანა ანთაძემ, ვახტანგ ღლონტმა, სანდრო ბერიძემ და ასოცირებულმა პროფესორებმა შორენა მახაჭაძემ, თინა შიოშვილმა დეტალურად ისაუბრეს ბატონი დავითის შემოქმედებით გზაზე. აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ბადრი ნაკაშიძემ, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ინგა გოგიბერიძემ და დამსწრე საზოგადოებამ განსაკუთრებულად მიულოცეს გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იუბილე და სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცეს.



„ბიჭი ზოლიან პიუამაში“ ნოველისა და ფილმის განხილვა-ჩვენება

2019 წლის 12 სექტემბერს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ირლანდიელი მწერლის ჯონ ბოინის ნოველის - „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“ განხილვა და ჩვენება გაიმართა ფილმისა, რომელიც კინორეჟისორ მარკ ჰერმანის მიერაა გადაღებული.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ინგა გოგიბერიძე ფილმის ჩვენებაზე მოსულ ახალგაზრდებს ლიტერატურული ნოველის შესახებ ესაუბრა.

ფილმში, ისევე, როგორც ნოველაში, მეორე მსოფლიო ომის დროინდელი უდანაშაულო ბრუნოს თვალით დანახული ისტორიაა ასახული; რვა წლის ბიჭი საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტის შვილია, მას ებრაელ ბავშვთან მეგობრობას უკრძალავენ, რომელიც ბანაკის ჭაობის მეორე მხარეს არის და მოვლენების განვითარებას ელოდება...



შეხვედრა პოეტია ეკელთან

2019 წლის 17 აგვისტოს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში, გაიმართა შეხვედრა პოეტია ეკელთან, რომელმაც წარადგინა თავისი ლექსების მეშვიდე კრებული - „პოეზიის მანიფესტი“.



საზოგადოება ესწრებოდა.

პოეტი საკუთარ შემოქმედებაზე, პედაგოგიურ საქმიანობასა და ადამიანის, პოეტის, სულიერ მდგომარეობაზე ესაუბრა ახალგაზრდებს. მისი შემოქმედება სავსეა სამშობლოს, მისი ისტორიის, ყოველი კუთხის სიყვარულითა და ემოციური ფრაზებით.

„ია ეკელი“ პოეტის ფსევდონიმია; მისი ნამდვილი სახელი და გვარია - მაია ოთარის ასული ქანთარია.

ის გახლავთ პოეტი, პროზაიკოსი, ისტორიის მასწავლებელი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ფაზისის აკადემიის წევრი, აფხაზეთის შემოქმედებითი გაერთიანების წევრი, ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, აკაკი წერეთლის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, „თამარიონის ენდალმის“ ლაურეატი, ბაგრატიონთა სამეფო კლუბის წევრი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურულ საქველმოქმედო ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი. ია ეკელი ექვსი პოეტური და ერთი პროზაული წიგნის ავტორია. მან სამ თვეში შემოიარა საქართველოს 18 კუთხე; დაიწყო აჭარიდან და დაასრულა ჯავახეთით. სწორედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას ნანახმა ემოციებმა და განცდებმა დააწერინა შემდეგი - მეშვიდე კრებული.

ამჯერად პოეტი მუშაობს ისტორიულ რომანზე.

საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა - ინგა გოგიბერიძემ პოეტი საღამოზე მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა და მისი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსიც წაიკითხა.

სალონურ შეხვედრას ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები, მოსწავლეები, პოეტის მეგობრები, ჩვენი თანაქალაქელები და პოეზიის მოყვარული

ჩვენი დილის სტუმარი, პოეტი ცირა მამალაძე-ნუცუბიძისა

2019 წლის 20 აგვისტოს ბიბლიოთეკას ესტუმრა პროფესორ შალვა ნუცუბიძის ვაჟი თამაზ ნუცუბიძე, მეუღლითურთ. ი ცირა მამალაძე-ნუცუბიძისა გახლავთ პოეტი და რამდენიმე წიგნის ავტორი, მან ბიბლიოთეკის ფონდს წიგნი-სიყვარული გადაგვარჩენს“ უსახსოვრა, ბატონმა თამაზმა კი რარიტეტული „ვეფხისტყაოსანი“ გვაჩუქა ჩვენი ახალი მუზეუმის ფონდისათვის.



შეხვედრა მწერალ ლევან ლორიასთან

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ, სპეციალურად ბათუმის ხელოვნების ფესტივალ „არგანში“ მონაწილეობისათვის მოწვეულია მწერალი ლევან ლორია, რომელმაც გუშინ, ბათუმის ცენტრალურ პარკში ფესტივალ „არგანის“ მიმდინარეობისას წარადგინა საკუთარი წიგნი - „მე და დუდუ“.

დღეს კი, საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველს საშუალება ჰქონდა თანამედროვე ქართველი მწერლების გივი ჩილვინაძისა და ლევან ლორიას ახალ წიგნებს და მათ შემოქმედებას გასცნობოდა.

მწერალმა ლევან ლორიამ საკუთარი წიგნიდან „მე და დუდუ“ მოკლე ეპიზოდი და გივი ჩილვინაძის რჩეული ლექსები წაიკითხა. სასიამოვნო და პოზიტიური შეხვედრა შედგა.

დღეს, ასევე შეგიძლიათ ესტუმროთ ჩვენს ბიბლიოთეკას, სადაც ლევან ლორიასა და გივი ჩილვინაძის წიგნების გამოფენა - გაყიდვა იმართება.



თანამედროვე ავტორების ავტოგრაფიანი წიგნების გამოფენა

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ღია სამკითხველო
ეზოში, 2019 წლის 2 აგვისტოს, ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცული თანამედროვე
ავტორების ავტოგრაფიანი
წიგნების გამოფენა, პოეზიისა
და ქალაქური მუსიკის საღამო
გაიმართა.

საჯარო ბიბლიოთეკის
დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ
ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში
დაცულ ავტოგრაფიან წიგნებზე
დაწერილი სიტყვები
ამოიკითხა, რომლებიც
სხვადასხვა დროს მწერლებმა
და პოეტებმა უსახსოვრეს
ბიბლიოთეკას.



საღამოზე ერთმანეთის მონაცვლეობით ისმოდა ლამაზი ჰანგები, სიყვარულით გამთბარი
ლექსები და ბათუმზე დაწერილი ლიტერატურული მინიატურები, რომლებიც საჯარო
ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ, პოეტებმა: ცისანა ანთაძემ, რუსუდან
სალუქვაძემ, სოფიო ღლონტმა და ეკატერინე ქაჯაიამ წაიკითხეს.

ბათუმი ხომ სიყვარულისა და წვიმის ქალაქია, ჰოდა, ამ სიყვარულს ბათუმური წვიმა
ზედგამოჭრილად შემოუერთდა და „გვაიძულა“ სამკითხველო ეზოდან ბიბლიოთეკის დიდ
დარბაზში გაგვეგრძელებინა საღამო.

ბიბლიოთეკის სტუმრებს შორის იყვნენ პოეზიისა და მუსიკის მოყვარულნი, ჩვენი
თანაქალაქელები, ბათუმში სტუმრად მყოფი ქალბატონები თბილისიდან და წინანდლიდან.
საღამო მუსიკალურად კიდევ უფრო გაალამაზეს პოეტმა სოფიო ღლონტმა და მუსიკოსმა
სალომე მილორავამ.

10 ივლისს, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დიდ სამკითხველო დარბაზში გაიმართა შეხვედრა აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარე - რუსლან აბაშიძესა და „ქართულ-აფხაზური საგას“ წარმომადგენლებს შორის.

შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა; ორგანიზატორი აჭარაში მოქმედი „ევროპის სოროპტიმისტ ინტერნაციონალის ბათუმის ქალთა კლუბი“ იყო, რომელიც „ქართულ-აფხაზური საგას“ დამფუძნებელია.

საუბარი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე, შექმნილ პრობლემებსა და გადჭრის გზებზე მიმდინარეობდა.

„ქართულ-აფხაზური საგას“ ხელმძღვანელმა - ნათელა დუმბაძემ ვრცლად ისაუბრა ორი, ისტორიულად შესისხლხორცებული კუთხის, აფხაზეთისა და აჭარის მკვიდრთა ძმურ ურთიერთობებსა და უახლოეს წარსულში მომხდარ ტკივილზე.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ გააუღერა ინიციატივა, რომ საერთაშორისო ფორმატში მოხდეს ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებში რათა, ახალგაზრდა თაობებს შორის მოხდეს ურთიერთობების გაღრმავება და ერთმანეთის უკეთ გაცნობა.



შეხვედრა მწერალ ანზორ კუდბასთან

2019 წლის 5 ივლისს, აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, გაიმართა შეხვედრა მწერალ ანზორ კუდბასთან და მისი წიგნის - „ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“- პრეზენტაცია.

შეხვედრა დაიწყო აჭარის ტელევიზიის მიერ შექმნილი მწერლის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიულ-პორტრეტული ფილმით, სადაც ბატონი ანზორი საუბრობს თავის მოღვაწეობაზე და ეფერება ბათუმს;

ასევე ვიხილეთ ისტორიული ფრაგმენტი საქრთველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებისა, სადაც მწერალი, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, აჭარიდან წარდგენილი დელეგატი და ერთ-ერთი ხელმომწერია ამ უმნიშვნელოვანესი აქტისა. საღამოზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმა საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი - ინგა გოგიბერიძე, რომელმაც საზოგადოებას ბიბლიოთეკის ფონდში არსებული ანზორ კუდბას ნაშრომები გააცნო და აღნიშნა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის ყოველდღიურობა ანზორ კუდბას გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

მას ბიბლიოთეკის კედლებსა და სივრცეში საპატიო ადგილი უჭირავს, ბიბლიოთეკის გუნდისთვის კი ეს ყოველდღიური, სასიამოვნო შეხვედრებია.

მართლაც, ეს გახლავთ კაცი - დიდი სულის, ფიქრის, ნიჭისა და გონების მატარებელი, რომელიც საოცრად უხდება ბათუმს და კიდევ უფრო დიდ სიფაქიზეს სძენს მაშინ, როცა მისი განუყრელი ქუდითა და დიდი ხელჩანთით ისე, თითქოს არც კი ეხება მიწას, დიდსულოვნად დააბიჯებს მშობლიურ ქალაქში.

ანზორ კუდბა ხომ საპატიო ბათუმელია და ამ სტატუსს ღირსეულადაც ატარებს.

შეხვედრა, საუბარი, წარდგინება დიალოგის რეჟიმში წარიმართა.

მწერლის ახალი ისტორიული რომანი - „ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“ - მისი შემოქმედების გვირგვინია.

„საიდან მოდის ქართული სული?!“- წიგნში განხილულია ქართველი ადამიანის ისტორია მისი წარმოშობიდან დღემდე და ჩანს იდეა, რომ ქართველმა უნდა იცოცხლოს, საქართველო უნდა აღსდგეს ფენიქსივით და „ადამი“ უნდა დაუბრუნდეს თავის თავს!

საღამოზე მოწვეულმა სტუმრებმა, მწერლებმა, პოეტებმა, ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლებმა, ისაუბრეს ანზორ კუდბას პიროვნების, მისი უნიკალური შემოქმედებისა და ნიჭის შესახებ.

ავტორის თქმით, წიგნი, რომელიც შეიქმნა დიდი ჩაფიქრებისა და ფიქრთა კონცენტრაციით, მედიტაციითა თუ ქართულის სულის ძიების მიზნით, ქართველ ადამიანს აპოვნინებს პასუხს მარადიულ კითხვებზე: „საიდან მოვდივართ, რანი ვართ...“; როგორია გზა

უფლის ქმნილებიდან - ადამიდან - ადამიანამდე; ადამიანმა არ უნდა დაკარგოს ჩრდილი და სულიერება... ამიტომაც, უნდა დავიბრუნოთ წარსული, რომ გვქონდეს მომავალი...

მწერალმა დასძინა, რომ სწორედ ამ წიგნზე მუშაობისას გაიგო მანძილი შუამდინარეთიდან სამოთხემდე და საქართველოდან სამოთხემდე...

და გამომდინარე აქედან, ყველა, ვინც გადაწყვეტს წაიკითხოს ეს წიგნი, კარგად უნდა მოკალათდეს „ფიქრის სავარძელში“...

შეხვედრა მწერალ ანზორ კუდბასთან



საბიბლიოოთეკო შეხვედრა - "საჯარო ლექციებისა და ტრენინგების კვალდაკვალ"

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში 2019 წლის 25 სექტემბერს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, ჩატარდა შეხვედრა „საჯარო ლექციებისა და ტრენინგების კვალდაკვალ 2018-2019 წ.წ.“.

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ინგა გოგიბერიძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა 2018-2019 წ.წ. ჩატარებული ბიბლიოთეკის თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამღლებელად ჩატარებული სატრენინგო კურსების და რეგიონალური ბიბლიოთეკებისათვის განხორციელებული მეთოდური დახმარების შესახებ დეტალური



ინფორმაცია. აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექციამ 2018-2019 წლებში ტრენინგის მონაწილეებს გადასცა 181 ცალი სერთიფიკატი და მეთოდური დახმარება გაუწია ქობულეთისა და ხელვაჩაურის საბიბლიოთეკო სისტემაში 60 ბიბლიოთეკარს. ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ უზრუნველყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის სწავლება, სასწავლო პროგრამისა და სწავლების გეგმის შესაბამისად. სულ -11 სტუდენტი. შეხვედრის ბოლოს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გადაეცათ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის მიერ ჩატარებული საბიბლიოთეკო ტრენინგის „ციფრული ბიბლიოთეკის განვითარების ტენდენციები და პროექტის „ივერიელი“ ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ესეების კონკურსი - "ფიქრები ერთ წიგნზე"

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ გამოცხადებული კონკურსი საუკეთესო ესეს შექმნაზე - "ფიქრები ერთ წიგნზე"- მსოფლიო ახლაგაზრდობის დღის კვალდაკვალ, წარმატებით დასრულდა.

2019 წლის 24 სექტემბერს, 17 საათზე ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში გაიმართა გამარჯვებულთა გამოვლენა და დაჯილდოება. პირველი



ადგილის მფლობელი გახდა სტუდენტი ზოია დუმბაძე. მეორე ადგილი დაიკავა პირველი საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ლიზი გოგეშვილმა, ხოლო მესამე ადგილი მეათე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე მარიამ ცეცხლაძემ და მეორე საჯარო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე გიორგი დუმბაძემ გაინაწილეს. კონკურსის კიდევ

სამ გამორჩეულ მონაწილეს, მერვე საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე თამარ წულუკიძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მინიკო ემირიძეს და მერვე საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ნინო ხალვაშს წარჩინებული მონაწილეების სიგელი გადაეცათ. თითოეულმა კონკურსანტმა საზოგადოებას თავად გააცნო წარმოდგენილი ესეები. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა, დაჯილდოების ცერემონიალის შემდგომ, შესანიშნავ ახალგაზრდებს მისი ესეების წარუდგინა და საჩუქრად წიგნები და 2020 წლის მკითხველის უფასო ბარათები გადასცა. კონკურსის მონაწილე ესეები გამოქვეყნდება ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ვებ გვერდზე.

#იკითხეთჩვენთანერთად

2019 წლის სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული გამოფენა

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის გამოფენა - "გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას" 2019 წლის 16 სექტემბერს გაიხსნა ქალაქ ბათუმის მერიის ფოიეში.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია იხილოს საჯარო ბიბლიოთეკის საცავში დაცული წიგნადი ფონდის ცალკეული ეგზემპლარები..

წარმოდგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სხვადასხვა წლის გამოცემები, რარიტეტული და ქალაქ ბათუმისა და აჭარის შესახებ გამოცემული წიგნები.

გამოფენა 30 სექტემბრამდე გაგრძელდება.

#იკითხეთჩვენთან #ჩვენთანმუდამსიახლეებია



ბიბლიოთეკის განახლებული შემოსასვლელი

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში მუდამ სიახლეებია.

გადავწყვიტეთ ცოტათი გაგვემრავალფეროვნებინა შემოსასვლელი და ბუმბერაზი მწერლების,

აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის
ბიუსტების გვერდით მათი დიდი
შემოქმედებაც გამოვფინეთ♥♥
დილა წიგნიერებისა მეგობრებო.
#იკითხეთჩვენთან



ჟურნალების ანალიტიკური აღწერილობის

ელექტრონული კატალოგები

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ და სამხარეთმცოდნეო განყოფილებაში, აჭარაში გამოცემული ჟურნალების, კერძოდ „ლიტერატურული აჭარის“ მონაცემთა ბაზის შექმნაზე მუშაობა 2018 წლიდან დაიწყო. ჩვენს ფონდში, ამ სახელწოდებით, ჟურნალი ფიქსირდება 1958 წლიდან. დღეისასთვის აღწერილია ლიტერატურული აჭარის 1958-1983 წლების გამოცემები.

განსაკუთრებით საინტერესოა რუბრიკა სახელწოდებით: „რას მოგვითხრობენ ტოპონიმები“. (ტოპონიმიკა - შეისწავლის გეოგრაფიულ სახელწოდებებს, მათ მნიშვნელობას, აგებულებას და წარმომავლობას.)


საინტერესო სტატიები:

- 1) პურეულთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში (ავტ. გუგული დიასამიძე) 1983 წ. №3 (ჭოროხი).
 - 2) კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის-მეღვინეობა-მევენახეობასთან დაკავშირებული ტოპონიმები (ავტ. მაქსიმე ქალდანი. ჭოროხი 1983 წ. №8) 1958 წლიდან-1969 წლამდე ჟურნალი გამოდის „ლიტერატურული აჭარის“ სახელწოდებით, 1970 წლიდან-1998 წლამდე კი „ჭოროხის“ სახელწოდებით.
- ბიბლიოგრაფი მზია დავითაძე



E-რესურსები

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის ინტერნეტ სივრცეში <http://www.bpl.ge/> განთავსებულია 131, 575 ერთეული ელექტრონული კატალოგი: <http://cat.bpl.ge/ec/ka/changedb.html> სადაც აღწერილია ქართული და უცხოური წიგნების კატალოგები, ჟურნალ გაზეთების და კომპაქტ-დისკების ანალიტიკური აღწერილობა (ჩვენს ფონდში არსებული ლიტერატურა სხვადასხვა წლების მიხედვით).



1958-1983 წლების ჩათვლით დამუშავებულია ჟურნალი „ჭოროხი“, სადაც შეგიძლიათ გაეცნოთ აჭარაში მოღვაწე პოეტების და მწერლების ნაწარმოებებს, განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი ბიბლიოგრაფების მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი პურეულთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში.

მონაცემთა ბაზაში შეტანილია გაზეთების დასახელება, წლიური კომპლექტი და სულ ერთეული. ეს არ მოიცავს გაზეთების სრული ფორმატით დასკანერებას PDF ფაილად გარდაქმნას და ატვირთვას, რომელსაც სჭირდება ძალიან დიდი ფორმატის სკანერის გარეშე.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა ჩართულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის [პროექტში](http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/2003), ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელი" - <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/111698> კოლექცია ეძღვნება აჭარას და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

გვაქვს მონაცემთა ბაზა "საქართველოს გაზეთები"- <http://213.131.46.154/paper/ka>. აღნიშნული ბაზა შეიცავს საქართველოში დაბეჭდილ გაზეთებს და ერთჯერად გამოცემებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აჭარაში გამოცემულ პრესას.


„იმედი მაქვს, ბიბლიოთეკა არასოდეს დაიცლება“

გაზეთი „აჭარა“ (05.09.2019) ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

ადამიანის აზროვნების განვითარების მთელი ისტორია მეტწილად წიგნთან და შესაბამისად, ბიბლიოთეკასთან არის დაკავშირებული. დღეს ბიბლიოთეკა სიმშვიდესთან და წესრიგთან ასოცირდება. ამ სიმშვიდეში, თაროებზე ჩამწკრივებულ ქაღალდის აკინძულ ფურცლებზე შემონახულია კაცობრიობის წარსულიცა და დღევანდელობაც, რომელსაც მუდმივი გაფრთხილება და გამოყენება სჭირდება. მკითხველთა მომსახურება ბიბლიოთეკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. მომხმარებლის საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება აქცევს მას ბიბლიოთეკად, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექნება მხოლოდ წიგნთსაცავი.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ძნელად იპოვით თანამშრომელს, რომელსაც 10 წელზე ნაკლები მუშაობის სტაჟი აქვს. კითხვაზე, რატომ შემორჩნენ ამდენი წელი ერთ სამსახურს, ყველას ერთნაირი პასუხი აქვს – წიგნების უზომო სიყვარულის გამო.

გაზეთ "აჭარასთან" ლელა ჭყონია საუბრობს, რომელიც ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში 1998 წლიდან დღემდე წამყვანი ბიბლიოთეკარია.



საბიბლიოთეკო ტრენინგი

2019 წლის 20 აგვისტოს, აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა საბიბლიოთეკო ტრენინგი „ციფრული ბიბლიოთეკის განვითარების ტენდენციები და პროექტი „ივერიელი“, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკართათვის წარმოადგინა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა -

რუსუდან ასათიანმა.

ტრენინგზე საუბარი იყო საბიბლიოთეკო საქმიანობის მიმდინარეობისას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასა და დანერგვაზე; ციფრული, ჰიბრიდული და ვირტუალური საბიბლიოთეკო ტიპების უზრუნველყოფასა და მასზე შეუფერხებელ წვდომაზე; ელექტრონული რესურსების შექმნის საერთაშორისო გამოცდილებასა და მის ისტორიაზე.

რუსუდან ასათიანმა ისაუბრა ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელზე“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერითა და

უზრუნველყოფით მიმდინარეობს და მასში ჩართულია აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაც; იგი მუდმივად განახლების და მუშაობის პროცესშია და მომხმარებელს სთავაზობს დაცული წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, ნოტების, აუდიო მასალების, ფოტოების და სხვა იშვიათი გამოცემების ელექტრონულ ასლებს სხვადასხვა ფორმატში (Adobe PDF, JPEG, MPEG Audio). აქვე შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნულ დისერტაციებს და ავტორეფერატებს.

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა მხარს უბამს თანამედროვე-ციფრული საბიბლიოთეკო საქმიანობის მიმდინაობასა და განვითარების პროცესს.

#იკითხეთჩვენთან

#ბიბლიოთეკაყველგან

#აქინახებაჩვენიმატიანე

ბიბლიოთეკას გაზეთების ახალი საცავი შეემატა

ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის არსებულ საცავებს 21 კვადრატული მეტრის ფართობის ჟურნალ – გაზეთების ახალი საცავი შეემატა.... მზის სხივები ლიცლიცებს და კიდევ უფრო ლამაზს ხდის კულტურული პროგრამების და სამკითხველო დარბაზებით მომსახურების განყოფილების თანამშრომლების - მაია ჩხატარაშვილის, მანანა ყაჭეიშვილის, ირმა ბერიძის და ელენე ტუღუშის მიერ ფაქიზად დასუფთავებულ და საბიბლიოთეკო წესების სრული დაცით აწყობილ ლიტერატურას.

მადლობთ გოგოებო ასეთი შრომისათვის

#მემიყვარსჩემისამსახური



საზაფხულო-სამკითხველოს გახსნა

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეებს კიდევ ერთი ლამაზი, ფერადი,



გამორჩეული და ყველასათვის ღია, საზაფხულო-სამკითხველო ეზო შეემატა.

საოცარი სილამაზე, ფერადოვნება, მყუდრო გარემო და მკითხველისათვის სასიამოვნო აურა სუფეს ირგვლივ.

ა(ა)იპ „მწვანე ბათუმის“ ხელმძღვანელობისა და მათი ფლორისტების დახმარებით სამკითხველო ეზო ულამაზესი ერთწლოვანი ყვავილებით გაივსო.

სამკითხველოს ოფიციალური გახსნის ცერემონიაში მონაწილეობისათვის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მაკა დიდებულიძე და ამავე ბიბლიოთეკასთან არსებული თეატრალური წრის მოსწავლეები: ანა ლაბაძე, საბა ლაბაძე, სანდრო ციყელაშვილი, მარიამ მახარაშვილი, ხატია მურჯიკნელი, თამარ ცუცქირიძე, თინათინ ცუცქირიძე, საბა ფანჩულიძე, გიორგი ღვალაძე, ლუკა ჩაუჩიძე სტუმრობდნენ. (პედაგოგები - ნონა ტეფნაძე, ლალი პაპუაშვილი);

მოსწავლეებმა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მიხედვით თეატრალური პერფორმანსი - „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“ წარმოადგინეს.

გახსნაზე მობრძალებული სტუმრები დიდი სიამოვნებითა და ყურადღებით უსმენდნენ მოსწავლეებისა და მათი პედაგოგის მიერ შესრულებულ გალაკტიონის უკვდავ პოეზიას.

საჯარო ბიბლიოთეკის საზაფხულო-სამკითხველო ეზო ღია ყველასათვის, ვისაც უნდა ისარგებლოს ღია სივრცით. აქ გაიმართება სალონური, ლიტერატურული, კლუბური შეხვედრები; აქ, შეიძლება დასვენება, განტვირთვა, კითხვა, სასიამოვნო მუსიკისა და თეატრალური წარმოდგენების ნახვა და მოსმენა.

ეს ეზო ქალაქის სავიზიტო ბარათი გახდება მალე...

ველოდებით ქალაქის სტუმრებს და ვიზიტორებს...

ბიბლიოთეკაში დასვენება ყველაზე სასიამოვნო განტვირთვაა...

შემოქმედებითი მასტერკლასი ღია სამკითხველო სივრცეში

დღეს, საჯარო ბიბლიოთეკის ღია სამკითხველო ეზოში საინტერსო და ორიგინალური მასტერკლასი ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა თამარ ბუთურიშვილმა და ალექსანდრე გოგელიამ ჩატარეს; ხელოვანმა და მინაზე ხატვის ოსტატმა - თამარ ბუთურიშვილმა ბიბლიოთეკის ახალი საგანმანათლებლო სივრცისათვის, მასტერკლასის მიმდინარეობისას ორი ნახატი-სიუჟეტი შეასრულა: „პატარა უფლისწული“ და „დონ კიხოტი“, რომელიც რესტავრირებულ ჩარჩოში მოთავსდება. თამარის მიერ შესრულებული ზღაპრის გმირების ამსახველი კიდევ ორი ნამუშევარი პროექტ „კითხვის დრო“-ს სივრცეში გამოიფინება.

ინტელექტუალური რესურსების მობილიზებასთან ერთად, დირექტორისა და თანამშრომლების მიერ სარდაფში აღმოჩენილ ძველ, ულამაზეს წიგნების თაროებს რესტავრაცია ჩაუტარა ჩვენი ბიბლიოთეკის „ხელმარჯვე ოსტატმა“, ალექსანდრე გოგელიამ; მათ ახალი სიცოცხლე, ფერი და სილამაზე შესძინა, რომლებიც რეაბილიტირებულ სარდაფში ახალ საგანმანათლებლო სივრცეს დაამშვენებენ.

